# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 14 მარტი 2000 №46 (1068) | ფასი 50 თეთრი






რა განსხვავებაა გაზეთ „სარბიელსა“ და ჟურნალ „სარბიელს“ შორის?

○ გაზეთი „სარბიელი“ თითქმის ათი წელიწადია რაც გამოდის, ჟურნალი „სარბიელი“ კი

ორშაბათიდან იყიდება

○ გაზეთი „სარბიელი“ კვირაში ხუთჯერ მიდის მკითხველთან, ჟურნალი „სარბიელი“ თვეში ერთხელ მივა.

○ გაზეთი „სარბიელი“ შავ-თეთრია, ჟურნალი „სარბიელი“ — ფერადი.

○ და რა არის საერთო გაზეთ „სარბიელსა“ და ჟურნალ „სარბიელს“ შორის?

ორივე სარბიელია


# ტორპედო წვიმამ შეაჩერა, დინამო კი კოლხეთმა



შაბათს ბათუმში: კოკისპირულმა წვიმამ „დინამოს“ სტადიონი ისე დატბორა, „ბათუმი“ — „ტორპედო“ აპრილამდე გადადო

*კოკისპირული წვიმისგან დატბორილ „დინამოს“ მოედანზე „ბათუმი“ — „ტორპედოს“ გამართვა შეუძლებელი აღმოჩნდა. შინ გაბრუნებულმა ქუთაისელებმა გზად ფოთში შეიარეს და ატალახებულ „ფაზისზე“ „კოლხეთის“ წინააღმდეგ მოთამაშე „დინამოს“ მორიგი 2 ქულის დაკარგვის თვითმხილველნი შეიქნენ. სამტრედიასა და მცხეთაში ჩატარებული „ა“ ზონის კიდევ ორ შეხვედრაში მასპინძლებმა იმარჯვეს — „იბერიამ“ „დილას“ აჯობა, „ვიტ ჯორჯიამ“ კი „სიონს“. „ბ“ ზონაში სტუმარ-მასპინძლებმა თანაბრად იხეირეს. „მერანმა“ წყალტუბოში ზედიზედ მეორე საგარეო სამი ქულა მიითვალა, თამაშით თსუ-სგან ნაჯობნმა „ლოკომოტივმა“ კი მაინც მოახერხა სტუდენტთა დამარცხება. „გორდამ“ ძმები კილასონიების წყალობით სტუმარი „თბილისი“ მშრალზე დატოვა, სენაკში მასპინძლის რანგში მოასპარეზე „ხობმა“ კი „არსენალის“ ახალ თავკაც ჯონი ჯანელიძეს დებიუტი წაუხდინა*

იხილეთ მეორე, მესამე, მეოთხე გვერდები

საქართველოს ჩემპიონატი — მეორე ეტაპი

## 2 ტური

«ა» ზონა
11 მარტი, შაბათი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 0 |
| დინამო | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| სიონი | 0 |
| იბერია | 2 |
| დილა | 1 |
| ბათუმი | გადაიდო |
| ტორპედო | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 21 |
| დინამო | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 19 |
| ბათუმი | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 16 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 16 |
| სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 14 |
| კოლხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 14 |
| იბერია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:7 | 12 |
| დილა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 10 |

«ბ» ზონა
12 მარტი, კვირა

| | |
|---|---|
| თსუ | 0 |
| ლოკომოტივი | 1 |
| გორდა | 2 |
| თბილისი | 0 |
| სამგურალი | 0 |
| მერანი | 1 |
| ხობი | 2 |
| არსენალი | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 15 |
| მერანი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 14 |
| გორდა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 11 |
| თსუ | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 11 |
| ხობი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 8 |
| თბილისი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 7 |
| სამგურალი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 6 |
| არსენალი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 5 |

# რაც არის, არის: კალენდარი გვაქვს!

დაადგა საშველი. გუშინ ციურიხში მსოფლიოს ჩემპიონატის მერვე შესარჩევი ჯგუფის გუნდების წარმომადგენლები შეიკრიბნენ და ფიფას გენერალური მდივნის მიშელ ცენრუფინენის თანდასწრებით 2000-2001 წლების მატჩების კალენდარზე შეთანხმდნენ, უფრო სწორად, ხუთივე გუნდი ცენრუფინენმა შეათანხმა.

გუშინ, ჩვენი დროით ოთხის ნახევარზე გადაწყდა, რომ...

2000: 2-3 სექტემბერი: რუმინეთი — ლიტვა; უნგრეთი — იტალია; 7 ოქტომბერი: *ლიტვა — საქართველო;* იტალია — რუმინეთი; 11 ოქტომბერი: *იტალია — საქართველო;* ლიტვა — უნგრეთი

2001: 24 მარტი: უნგრეთი — ლიტვა; რუმინეთი — იტალია; 28 მარტი: *საქართველო — რუმინეთი;* იტალია — ლიტვა; 2 ივნისი: *საქართველო — იტალია;* რუმინეთი — უნგრეთი; 6 ივნისი: *უნგრეთი — საქართველო;* ლიტვა — რუმინეთი; 1 სექტემბერი: *საქართველო — უნგრეთი;* ლიტვა — იტალია; 5 სექტემბერი: *საქართველო — ლიტვა;* უნგრეთი — რუმინეთი; 6 ოქტომბერი: *რუმინეთი — საქართველო;* იტალია — უნგრეთი

საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩს 7 ოქტომბერს ლიტველებთან, ოთხი დღის შემდეგ კი იტალიელებთან სტუმრად გამართავს. ჯგუფის პირველ ტურში, 2-3 სექტემბერს, ჩვენებურები დაისვენებენ. წლეულს ქართველები შინ ვერ ითამაშებენ, საკუთარ მოედანზე მეტოქეს გაისად 28 მარტს მიიღებენ, საქართველოში ევროპის ჩემპიონატმოვლილი რუმინეთის ნაკრები ჩამოვა. ჩვენი აზრით, პირველი ორი მატჩის, თანაც ოთხდღიანი შუალედით სტუმრად ჩატარება მთლად კარგი ვარიანტი ვერ უნდა იყოს.

ოქტომბერში იტალიაში კლიმატური პირობები ქართველებს ეგებ არც უეცხოოთ, მაგრამ ოთხი დღით ადრე ლიტვაში თამაში სითბოს შეჩვეულთ, ვფიქრობთ, გაუჭირდებათ. თითქმის ასე იყო შარშანაც, მაგრამ მაშინ პირველ მატჩში ალბანელებს უმასპინძლეს ქართველებმა და ძოძუაშვილის ლატვიასთან გამარჯვებულები ჩავიდნენ, საიდანაც ოთხ დღეში საბერძნეთს ესტუმრნენ. საქართველოს ნაკრებმა შარშან, 10 ოქტომბერს ითამაშა ლატვიაში და 0:1 წააგო, 14 ოქტომბერს საბერძნეთში 0:3 განადგურდა. ლატვია-საბერძნეთსა და ლიტვა-იტალიას შორის კი, კლიმატურად დიდი სხვაობა რომ არაა, ალბათ დაგვეთანხმებით.

ეს რაც შეეხებოდა საწყის ორ ტურს. კალენდრის კომენტარი კი საქართველოს ნაკრების ერთ მწვრთნელს რევაზ ძოძუაშვილს ვთხოვეთ.

— არ არის კარგი კალენდარი, თუმცა უარესიც შეიძლებოდა ყოფილიყო. სჯობდა პირველად, ნებისმიერ მეტოქესთან, უმჯობესი იქნებოდა იტალიასთან ან რუმინეთთან შინ გვეთამაშა. ჩვენ კი ახლა ერთი საზრუნავი გაგვიჩნდა — მეტოქეები რომ პირველ ტურში ითამაშებენ, ჩვენ ამხანაგური მატჩი უნდა გავახერხოთ, ლიტვის ან იტალიის მსგავსად მოთამაშე რომელიმე გუნდთან. ისე კი, პირველად, იტალიაში სტუმრობას ნამდვილად აჯობებს ლიტვაში თამაში, აპენინებზე შედარებით შეთამაშებულები ჩავალთ. მით უმეტეს, თუ სექტემბერში ამხანაგურადაც ვითამაშებთ.

— *კალენდრის თქვენეული ვარიანტიც გქონდათ, თანაც არა ერთი... უკმაყოფილო ხართ...?*

— ჩვენთვის ხელსაყრელი კალენდრის ოთხი ვარიანტი გვქონდა, მაგრამ დანარჩენი მეტოქეებიც თავისას ცდილობდნენ. საბოლოოდ ეს გამოვიდა და ახლა, მოდით, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ, რაც არის, არის, დამტკიცებულია და აღარაფერი შეიცვლება. ჩვენი ვერ გავიტანეთ.

— *უკეთესი ვარიანტი რომელი იყო?*

— ვთქვათ, პირველად რომ ლიტვასთან, თუნდაც უნგრეთთან შინ გვეთამაშა, ეს ყველაფერს აჯობებდა.

— *ლატვია და საქართველო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში თანაჯგუფელები რომ იყვნენ, ჩვენთვის მაშინდელი კალენდარი უკეთესი იყო თუ...*

— რა თქმა უნდა, საქართველომ მაშინ ჯერ ალბანეთს უმასპინძლა, მერე ლატვიაში ჩამოვიდა... რა შედარებაა?

ეს გვითხრა ეროვნული გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა, აშკარაა, კალენდრით უკმაყოფილომ.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია კი სხვაგვარად ფიქრობს:

— ნორმალური კალენდარია. მსოფლიოს ჩემპიონატში მოხვედრაზე თუ გვაქვს პრეტენზია, მაშინ ლიტველები სტუმრად უეჭველად უნდა დავამარცხოთ, ჯგუფში გამარჯვებისთვის მებრძოლმა გუნდმა სტუმრად, პირველი მატჩის მიუხედავად ლიტვაც უნდა დაამარცხოს, უნგრეთიც და...

ნაწილობრივ კარგიცაა პირველ ტურს რომ ვტოვებთ, ნაკრების ორივე მწვრთნელს საშუალება ექნება მეტოქეთა მატჩებს დაესწროს და შესაბამისი დასკვნები გააკეთოს. ძოძუაშვილი და ყიფიანი ევროპის ჩემპიონატის მატჩებშიც იხილავენ მეტოქეებს.

ციურიხში მყოფმა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ კი, კალენდრის თუ ციურიხული ამბების კომენტარისგან ჯერჯერობით თავი შეიკავა, საჭესთან ვარ, ფრანკფურტს მივდივარ, ხვალ ვილაპარაკოთო...

ქობა ინასარიძე

საქართველოს ჩემპიონატი 11 მეორე ეტაპი

## 2 ტური

# ისევ ბუბლიკები

ფოთი
11 მარტი
15 საათი
ფაზისი
2 000 (ტევადობა 6 000)

**კოლხეთი 0:0 დინამო**

**კოლხეთი:** ქვაჩახია, გ. ჩიტაია, ტორჩინავა, მ. ქობულაძე, გოროზია, ფანჩულიძე, კილაიშვილი, ტრაპაიძე, ლაღაძიძე, ხუჭუა (რ. ახალკაცი 75), შავგულიძე
*სათადარიგონი:* მ. გვასალია; პაპავა, ანჯაფარიძე, კრასოვსკი, დ. კვირკველია, ქუთელია
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე (რუხაძე 65), ვაშაკიძე, დიდავა, გუჩუა, სიჭინავა, ა. ჯინჭარაძე, ა. სახვაძე, დათუაძე (ხუციშვილი 55), წიტაიშვილი, გ. შენგელია
**გაფრთხილებები:** გუჩუა (11), დიდავა (80), გოროზია (85)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ვ. ჩოჩიშვილი, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი);
**სფფ-ის ინსპექტორი:** კ. ყრუაშვილი

გოჩა ჯანაშია ფოთიდან

ფაფიდაა, პეე, ის „დინამო" აღარ არის? აი, კითხვა, რომელიც სულ უფრო და უფრო ბევრ ადამიანს უჩნდება ჩვენში და არცთუ უსაფუძვლოდ. ბათუმი, მეორე ტურისთვის ელიტზონის ყველა გუნდს თითო მოგება მაინც აქვს, „დინამომ" კი ოდენ ორი ფრე, ისიც უგოლო, გააჩერა.

შაბათს ფოთში, „კოლხეთთან" შინფულ ამინდში მოპოვებულმა ქულამ ჩვენში მარადი ჩემპიონის მაღალ ამბიციებს კარგა გვარიანი წყალი შეუყენა, არა, ჯერ არაფერი გარკვეულა, მაგრამ ზედიზედ მეთერთმეტე ტახტზე წამოსკუპება იოლი საქმე როდი იქნება კორლალიძის საწყისოსთვის.

ამ გუნდების მატჩს ინტრიგა არასდროს კლებია და გამონაკლისი არც ახლა იყო. ოღონდ სასწორი უფრო „დინამოსკენ" იხრებოდა და ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა: ერთ-ერთი, კოლხთა შესუსტებული შემადგენლობა იყო. დავითიძე, შალამბერიძე, კუდულაშვილი და ელდარ გვასალია დისკვალიფიცირებული იყვნენ. მათი არყოფნა რომ დიდი დანაკლისია, ამას ბევრი ფიცი-მტკიცი არ სჭირდება.

„კოლხეთის" თავკაცმა გია ტყებუჩავამ შემადგენლობაში გარკვეული კორექტივები შეიტანა და უფრო დაცვითი ტაქტიკა ირჩია. თითქმის უკანა ხაზს ოდნავ წინ, ცენტრში გოროზია დაუმატა, რომელსაც შავი სამუშაოს შესრულება დაევალა. კახამაც ნდობა გაამართლა. ნახევარდაცვის შუაში თამაშის დალაგება და წარმართვა კილაიშვილ-ლაღაძიძის დუეტს ავალება, ხოლო ფლანგებზე ტრაპაიძის და ხუჭუას სისწრაფეზე იყო აქცენტი გაკეთებული. წინ მხოლოდ ლევან შავგულიძე იბრძოდა — ხშირად არცთუ ნაყოფიერად.

„დინამოს" წინა ხაზზე ორი ფორვარდი — წიტაიშვილი და შენგელია ჰყავდა. ამათ ოდნავ უკან აჩნაძის არყოფნაში გამთამაშებლად გამოყენებული დათუაძე მოქმედებდა, რომელმაც დიდი ვერაფერი გამოიჩინა თავი. კვლავ ტაიმის დასაწყისშივე შეცვალა კიდეც ოთარ კორლალიძემ.

წვიმისგან დამძიმებულმა გრუნტმა გარკვეული დაღი დაასვა თამაშის სანახაობრივ მხარეს, განსაკუთრებით პირველ ნახევარში. ბრძოლა, იცოცხლეთ, პირველივე წუთებიდან ფიცხელი გამოდგა და ტემპიც მაღალი იყო, ოღონდ ეგაა, ბურთი უფრო მოედნის ცენტრში ტრიალებდა, რადგან სტუმარ-მასპინძელს საკუთარი კარის მისადგომები მჭიდროდ ჰქონდათ ჩაკეტილი. ხშირად კარში დარტყმამდე და მით უმეტეს საგოლე მომენტებამდე საქმე არც მიდიოდა. ერთადერთი ეპიზოდის განსხვავება თუ ღირს, როცა ტაიმის შუაში წიტაიშვილის წამოწყებულ შეტევას არჩილ სახვაძე გამოეხმაურა, თუმცა ქვაჩახიას ვერაფერი ავნო. ამის შემდეგ თამაში ოდნავ დაწყნარდა და შესვენებამდე საინტერესო არც არაფერი მომხდარა.

ცხადი იყო, ორივე გუნდი მეორე ნახევარში ეცდებოდა ჩარხის წაღმა დატრიალებას. ასეც მოხდა და თუ პირველ ტაიმში მეტოქენი უფრო ფრთხილობდნენ, მეორეში გაიხსნენ, შეტევებს მიეძალნენ და დაძაბულობამაც ერთიორად იმატა. აქ პირველი ნიშანი თამაშის განახლებისთანავე იშვა. ლაღაძიძემ საჯარიმო ჩვეულად დაარტყა და გრიშიკაშვილსაც თავის გამოჩენა მოუხდა.

„დინამოს" ცუდად ენიშნა ეს ამბავი და უმალ უპასუხა. ზედიზედ ორჯერ წიტაიშვილს მართებდა გატანა. პირველ შემთხვევაში ფლანგიდან კარის გასწვრივ ჯინჭარაძის დახლ პასზე ოდნავ შეაგვიანდა, ხოლო ორიოდ წუთში მცველების უხეიროდ მოგერიებული ბურთი მოიხელთა და საჯარიმოში მარცხნიდან შესუსტ სიზუსტე უმტყუნა.

კორლალიძემ თავის შეგირდებს ფლანგებზე აქტიურობა დაავალა და სახვაძემ მარცხნივ, ხოლო ჯინჭარაძემ მარჯვნივ ერთობ მოინდომეს. ხშირ შემთხვევაში სწორედ ამათ ქმედებას ახლდა თან. ამასობაში კოლხებს დაღლა დაეტყოთ და ხისტად თამაში სულ უფრო უჭირდათ. ამან ცარიელი სივრცეები გაზარდა და „დინამოს" კონტრშეტევებში ხელ-ფეხი გეხსნა. აქტიურ წიტაიშვილს არც შენგელია ჩამორჩა. დროის მცირე მონაკვეთში მათ ორჯერ მიეცათ გატანის შანსი და ორჯერვე არაზუსტად დაარტყეს.

66-ე წუთზე წესით ანგარიში უნდა გახსნილიყო. სტუმართა ლამაზი კომბინაცია სახვაძემ წამოიწყო, საჯარიმოში შენგელია მოძებნა. მან ქუსლით მოხდენილად დაუგორა ბურთი ხუციშვილს. თითქოს გოლი გარდაუვალი ჩანდა, თუმც ქვაჩახიამ იქონია — თითქმის წაეპოტინა ბურთს და კუთხურზე გადააგდო.

ისე, კაცმა რომ თქვას, „კოლხეთი" მარცხს კი გადაურჩა, მაგრამ მოგებაც შეეძლო. დასრულებამდე 10 წუთით ადრე შავგულიძე მეურვეებს ბოლოს და ბოლოს რომ დაუსხლტდა, გრძელი გარღვევა განახორციელა და გრიშიკაშვილსაც დაუპირისპირდა, ოღონდ ამაოდ — მახვილი კუთხიდან დარტყმული ოდნავ აეჭრა და ბურთმა შორეულ ძელს ჩაუქროლა.

ბოლო წუთებში „დინამომ" მორიგი ბუბლიკების უსიამოვნო სუნი იგრნო. შტურმი მოუწყო მეტოქეს, რომელიც მარცხისგან სასწაულმა იხსნა. მეოთხე მსაჯს ორი წუთის დასამატებელი აბრა აწეული ჰქონდა, როცა კოლხთა საჯარიმოში დიდი არეულობა შეიქმნა. ხანგძლივი შეტევისას ბურთი რუხაძეს მიუვიდა და მანაც ახლოდან კარში დაარტყა. ამ ეპიზოდში ქვაჩახიას მშველელად ჯერ ძელი გამოუჩნდა, ხოლო რუხაძის განმეორებულ დარტყმულზე კარის ხაზზე მიხეილ ქობულაძე, რომელმაც ბურთი თავით მოიგერია. თამაში სწორედ აქ დასრულდა.

ამ შედეგით, ბუნებრვია, „დინამოს" თავკაცობა უკმაყოფილო დარჩა. სამაგიეროდ, ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელებმა და ქომაგებმა გაიხარეს. დიახ, მათ მატჩის მიწურულს შეძლეს ბათუმიდან ჩამოსვლა და ამ დრამატულ წუთებში „კოლხეთს" უქომაგეს.

ასეც ხდება-ხოლმე.


მამუკა დარჩია ფოთიდან

სახვაძემ (მარცხნივ) და გუჩუამ გოროზიას და ბურთს ზურგი აქციეს

# გოლი ტალახში

მცხეთა
11 მარტი
15 საათი
არმაზი
200 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 1:0 სიონი**

1:0 გოცირიძე (89)
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ჯ. მუჯირი (ზ. გვაზავა 77), ჭანკოტაძე, თოდუა, საჯაია, ვ. გოჩაშვილი (რ. გოცირიძე 78), ლ. ნოზაძე, ი. ხაჭაპურიძე (დილმელაშვილი 61), ყიფიანი, გიორგი ქორიძე, ლ. მელქაძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; კოტორაშვილი, კობიაშვილი, დ. დოლიძე
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, დიმიტრიშვილი, მ. სამხარაძე, ნ. მინდიაშვილი, თ. სამხარაძე, მოსეშვილი (ელბაქიძე 87), მაზანიშვილი (ჩაგელიშვილი 89), მ. გოგოლაძე, ბ. შენგელია (ა. ბოკერია 46), კ. გოგოლაძე
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; კენჭოშვილი, ფ. არჩვაძე
**გაფრთხილებები:** მ. გოგოლაძე (49), კ. გოგოლაძე (77)
**მსაჯები:** ა. ორდენიძე (ონი); ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ა. შილაკაძე (თბილისი); ს. კახიანი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

კობა ინასარიძე მცხეთიდან

ავდარი დაემთხვა ამ მატჩს. სამის ნახევარი იქნებოდა, როცა ცა მოიქუფრა და ისე გაწვიმდა, მინდორი სანახევროდ დაიტბორა. თამაშის დაწყებამდე იქაურობა სულ ატალახდა. სირბილს ვინ ჩივის, ნორმალურად სიარულიც ჭირდა. მაყურებელმა თავს უშველა, გადახურულ ლოჟას შეეფარა, გუნდების თავგადაკლული ქომაგები კი ვერც თავსხმამ შეაშინა, შედგნენ ტრიბუნაზე და... „სიონის" გულშემატკივრები ალას თამადობით მცხეთას ორი „იკარუსით" ესტუმრნენ, დასცხეს და დასცხეს, ამათ არც „ვიტ ჯორჯიას" ყმაწვილბიჭები ჩამორჩნენ და შემოჰკრეს დოლს, მაგრამ რა შემოჰკრეს... მსმენელი ნამდვილად არ მოიწყენდა, თუმც თამაშისა რა მოგახსენოთ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. თავად განსაჯეთ, შესვენებამდე მასპინძლებმა კარში სულ ერთხელ დაარტყეს, სტუმრებმა ვერც ერთხელ. ეგ იყო, სიონელი შენგელია ჭურაძესთან პირისპირ დარჩენას ლამობდა და ფეხი რომ დაუცდა, ამას თუ ჩავთვლით სახიფათო მომენტად. სამაგიეროდ, უჩვეულოდ ბევრჯერ დაჯარიმდნენ ფეხბურთელები. თამაში ყოველ წუთს წყდებოდა, ორდენიძეც ენერგიულად იქნევდა ხელს იქით-აქეთ. მოთამაშეები ატალახებულ გაზონზე ფეხს ვერ იკიდებდნენ.

შედარება არ შეიძლება. მეორე ტაიმში ორივე გუნდი გამოცოცხლდა. „სიონის" მწვრთნელმა სპარტაკ არჩვაძემ შენგელია ბოკერიათი შეცვალა და ბოლნისელთა შეტევებიც გამწვავდა. მოგებას თუ არა, სტუმრები წაგებას ნამდვილად არ იმსახურებდნენ. ერთი, საბედისწერო შეცდომა კი სამ ქულად დაუჯდათ. თამაში ბოლოსწინა წუთზე წააგეს. თუმცა იქამდე გამოცდილ კახა გოგოლაძეს რომ ეყოჩალა, ვინ იცის, შემდეგ რა მოხდებოდა. 57-ე წუთი იყო. ბოკერიამ მასპინძელი მცველი კუთხეში მოიმწყვდია, აიძულა, არაზუსტი პასი გაეკეთებინა. ბურთი მაზანაშვილმა მოიგდო და გოგოლაძეს ჩინებული პასი გადააწოდა, მანაც ერთი შეხებით გაისწორა, ჭურაძესთან პირისპირ დარჩა. გოლი გარდუვალი ჩანდა, მაგრამ მეკარემ იმარჯვა, სამიოდ მეტრიდან დარტყმულ ბურთს ზედ დაახტა. წუთის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას" ჯერი დადგა, გოჩაშვილს მიზანმა უმტყუნა, თუმცა კი გოგოლაძის მომენტი სულ სხვა იყო.

„სიონი" დაცვაში გონივრულად თამაშობდა. ფლანგებიც გადაეკეტათ და დიმიტრიშვილიც საიმედოდ აზღვევდა პარტნიორებს. ბურთი უმეტესწილად მასპინძლებისა გახლდათ, მაგრამ კარს ვერასდიდებით უახლოვდებოდნენ, მიადგებოდნენ საჯარიმოს და შეტევაც იშლებოდა. „სიონი" რომ ბურთს წაიღებდა, „ვიტ ჯორჯიას" მაშინ უნდა ეკითხა. სტუმრებს სისწრაფე აკლდათ, თორემ ორ-სამჯერ შეეძლოთ გოლის გატანა. ისე, ამაში საჯაიაც გვარიანად უშლიდა ხელს. მოსეშვილი მარცხნიდან ბურთიანად რომ გაიქცეოდა, საჯაიას ველარ ჯაბნიდა, მცველი ტანს უდგამდა. ჯანი, იცოცხლეთ, აქვს და ბოლნისელიც იძულებული იყო, უკან გამობრუნებულიყო. ზემოთ-ქვემოთ სირბილმა კი დალალა „სიონის" კაპიტანი, ფეხიც ოდნავ დაიშავა და შესაცვლელიც შეიქმნა. მოატანა 89-ე წუთმაც. ბოლნისელებმა სწორედ მარცხენა ფლანგზე ჩააბარეს ბურთი ვიტელებს, ამას საპირისპირო მხარეს გადაიტანეს და ქორიძემ მოკურცხლა, პასმაც არ დააყოვნა. ბოლნისელები ჩამორჩნენ, ქორიძემ კი კარის გასწვრივ ჩააწოდა, გოჩაშვილის შემცვლელმა გოცირიძემ ყველას დაასწრო და ვიტელებს სამი ქულა მოუტანა.

მერე სპარტაკ არჩვაძემ ბოკერიასა და გოგოლაძეს ერთი თავდამსხმელიც დაუმატა, ეგებ ანგარიში გავათანაბროთო, მაგრამ დრო აღარ იყო. ბურთმა ჭურაძის კარამდეც ვერ მიაღწია, არადა... არ უნდა წაეგო „სიონს". ამით „ვიტ ჯორჯიას" გამარჯვებას როდი ვაკნინებ, თამაში ხომ 90 წუთს, ხშირად მეტხანსაც გრძელდება.


ბადრი კეთილაძე მცხეთიდან

ვიტელები გიორგი ქორიძე და ლევან მელქაძე სიონელ ნუკრი მინდიაშვილს ბურთს ეცილებიან

# ცოდვა თუ არცოდნა?

მცხეთა
12 მარტი
15 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

**თსუ 0:1 ლოკომოტივი**

0:1 გოდერძიშვილი (33)
**თსუ:** მერლანი, ინწკირველი, ებრალიძე, ადამია, წუწუნავა, დეკანოსიძე, მესხი, ხართიშვილი, ერაძე, კვიციანი, მაზიაშვილი
*სათადარიგონი:* გუგუნავა; თ. ბოკერია, სვანაძე, ქადაგიძე, ლობჟანიძე, ბ. ნოზაძე, გ. გოცირიძე
**ლოკომოტივი:** ლომაია, ონიანი, ბაქრაძე, აბრამიძე, გ. ჩიხრაძე, გ. ჩხაიძე, კვარაცხელია, ჯულელი, ძოძუაშვილი (პარამონოვი 21, გ. გვაზავა 68), დ. გოდერძიშვილი, კაციაშვილი
*სათადარიგონი:* ნიკურაძე; გულორდავა, ლ. ჩხაიძე, სალუქვაძე, ჩაჩუა
**გაფრთხილება:** ინწკირველი (9), კვიციანი (23), ებრალიძე (72), ბაქრაძე (78), მესხი (81), ლომაია (87), ერაძე (89)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა

**პაატა კვანტალიანი მცხეთიდან**

ნამატჩევს მსაჯთა გასახდელის მისადგომი საჩქაროდ დაიკავეს პოლიციელებმა. მართალია, შავოსანთა ოთახისკენ არ გაწეულან მასპინძლები, მაგრამ თსუ-ს ხელმძღვანელობას დანა პირს არ უხსნიდა. თვალებში რისხვა და იმედგაცრუება ჩასდგომოდათ. ჰქონდათ კიდეც საამისო საბაბი...

სრულ სამ საათზე, წინადღით „ვიტ ჯორჯია" — „სიონის" კალენდარული მატჩით გადათელილ „არმაზის" საფარზე გამწკრივდნენ გუნდები. არა მგონია, მარტო მძიმე გრუნტის ბრალი ყოფილიყო, მაგრამ ფაქტია — მეოცე წუთამდე მოედანზე საინტერესო არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ შეხვედრის ამ მონაკვეთში რევაზ ძოძუაშვილს ტრავმის გამო მოგვარის პარამონოვით შეცვლა მოუხდა. მატჩი ამის მერეც უინტერესოდ გაგრძელდა. თსუ-მ შეტევისთვის მარჯვენა ფრთა ირჩია, რატომღაც სტუმრებმაც მარცხენა ფლანგზე მყოფ ვეტერან ჯულელზე ააგეს თამაში (სხვა საქმეა, როგორ გამოდიოდათ ეს ძოძუაშვილის შეგირდებს) და ასე ცალ ფრთას შეყოლილებმა, მოსაწყენად იბურთავეს 32-ე წუთამდე. მერე კი ჯარიმა დაინიშნა სტუდენტთა კარში. ჩაწოდებული ბურთი ჯულელმა საჯარიმოში თავით ჩააგდო. იქ კი ყველას გოდერძიშვილმა დაასწრო და ახლო მანძილიდან მერლანს შანსი არ დაუტოვა — 0:1.

გოლმა მასპინძლები გამოაფხიზლა და თამაშიც რკინიგზელთა ნახევარზე გაჩაღდა. 39-ე წუთზე მაზიაშვილმა მარცხენა ფლანგზე კარგ პოზიციაზე გაიყვანა ადამია, თუმც ამის დარტყმულმა ბურთმა მცირედ ჩაუარა მეკარისგან შორეულ ძელს. ტაიმის ბოლო წუთზე კი მესხმა გაილაღა ფლანგზე. კარგადაც შეიჭრა საჯარიმოში, მაგრამ მისი გამჭოლი პასი ერაძემ ვერ შეირგო — ბურთი გვარიანად აასცილა სტუმართა კარს.

მეორე ნახევარში კი „ლოკომოტივი" საბოლოოდ წახდა. თსუ-მ მოედნის ცენტრში საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა და არაერთი ხელსაყრელი მომენტი შექმნა რკინიგზელთა კართან. ძოძუაშვილის შეგირდები კი ძირითადად კონტრშეტევის იმედად იყვნენ, თუმც ამას ისე უხეიროდ აკეთებდნენ, რომ მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში ერთადერთხელ დაემუქრნენ მერლანის კარს. თსუ კი უტევდა... 55-ე წუთზე საჯარიმოს სიახლოვეს დეკანოსიძემ მოხდენილად ჩამოიშორა მეურვე და ძლიერი დარტყმით კარისკენ გაგზავნა ბურთი — ლომაიას დროულმა ნახტომმა აშკარა გოლისგან იხსნა რკინიგზელები. ხუთი წუთის შემდეგ უმეთვალყურეოდ დარჩენილი მესხი მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოში შეიჭრა, დაარტყა, მაგრამ ბურთი ბოლო წამს ბაქრაძის ფეხმა აისხლიტა და თსუ მხოლოდ კუთხურს გამორჩა. სტუდენტებს დაღლა დაეტყოთ, მაგრამ შეტევებს არ წყვეტდნენ. 73-ე წუთზე მაზიაშვილის წამოწყებულ კომბინაციას ისევ მესხი აგვირგვინდა, მცველებმა შეძლეს ბურთის საჯარიმოდან გამოტანა, რასაც ხართიშვილის შორეული, ყუმბარისებური დარტყმა მოჰყვა და კვლავაც უშეცდომოდ ითამაშა ლომაიამ. თუმც შეხვედრის ბოლოსწინა წუთზე „ლოკომოტივის" კარის დარაჯი მაინც შეცდა გამოსვლაზე, შედეგად ერაძე კარიდან ხუთიოდე მეტრში დარჩა, მაგრამ ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან და ძლიერად დარტყმული ბურთი კარის ხაზზე მდგომ ონიანს გაარტყა... სულ ეს იყო და მატჩიც დამთავრდა. მერე კი პოლიციელებმა მსაჯთა ოთახის მისადგომი გადაკეტეს. შეხვედრის არბიტრ პაატა დოგრაშვილზე ძვირი არც არავის დასცდენია, მაგრამ მისი ასისტენტების შეცდომები კი სტუდენტთათვის საბედისწერო გამოდგა. მთელი შეხვედრის განმავლობაში თსუ 6-ჯერ დარჩა თამაშგარეთ, აქედან სამ შემთხვევაში გვერდითმა მსაჯებმა ისეთი ოფსაიდები დააფიქსირეს, მატჩზე მყოფმა ფეხბურთის სპეციალისტებმაც კი გაკვირვებისგან ხელები გაშალეს. ნამატჩევს კი თანამსაჯების მოქმედებით აღშფოთებულმა მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა თენგიზ კაციამ „სარბიელს" ეს უთხრა: „ისინი ან უცოდინარები არიან, ან შეგნებულად აკეთებდნენ ამას".



დავით გოდერძიშვილი კახა ებრალიძეს დაუსხლტა და გაიტანა



გორდელი ვალერი კილასონია თბილისელ ილია კანდელაკსა (№3) და ზვიად პაპიძეს შორის

# გიუშ, პასი, გენაცვალე!

რუსთავი
12 მარტი
15 საათი
ფოლადი
1 000 (ტევადობა 10 700)

**გორდა 2:0 თბილისი**

1:0, 2:0 ვ. კილასონია (54, 72)
ზ. ლაბაძემ ვერ გაიტანა პენალტი (78)
**გორდა:** ბედიაშვილი, დ. ბერიძე, ბურნაძე, გაბელაია, ვ. კილასონია, მელაძე, გ. კილასონია, მიშველიძე, ბექაური, ზ. ლაბაძე (ა. ბუკია 80), კ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* გონგაძე; კიტეიშვილი, მ. სახვაძე, მჭედლიძე, ლ. სილაგაძე, ქოქიაშვილი
**თბილისი:** ბათიაშვილი, ზამთარაძე, მაჭავარიანი, პაპიძე, კანდელაკი, ამაშუკელი (დ. ტყებუჩავა 57), ბარნოვი, კ. მელქაძე (გონჩაროვი 66), ი. შენგელია, ბურდული, გადელია
*სათადარიგონი:* მამალაძე; კოხრეიძე, ზვ. ლაბაძე, ლოლაძე, თ. მაისურაძე
**გაფრთხილება:** ბარნოვი (32), ბექაური (59)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე, ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

**გიორგი ვაშაკიძე რუსთავიდან**

ჩემპიონატის მეორე ეტაპზე „გორდასთვის" ეს პირველი თამაში გახლდათ, რადგან გუნდმა პირველი ტურის მატჩი გამოტოვა. რუსთაველთა თავკაცმა იასონ ალადაშვილმა მოქმედი დებულებით ისარგებლა და რადგან კილასონიები ხორვატიაში მსოფლიოს მინი-ფეხბურთის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ეროვნულ ნაკრებში იყვნენ მიწვეულნი, „არსენალთან" მატჩი ჯერჯერობით გაურკვეველი ვადით გადაიდო.

შაბათს კი ძმები მშობლიურ გუნდს დაუბრუნდნენ. „გორდამაც", უკაცრავად, კილასონიებმა რამაზ მუმლაძის გადახალისებულ გუნდს იოლად სძლიეს.

„...გიუშ, პასი, გენაცვალე" — გასძახებდა ვარლამი ძმას და... ოსტატურად შესრულებული, მოხდენილი პასიც მზად იყო, დანარჩენი კი თავად იცოდა.

გუნდებმა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყეს მატჩი და ძმების მეოხებით „გორდა" ტერიტორიულ უპირატესობასაც ნელ-ნელა დაეუფლა, თუმცა საფრთხე ჯერ „თბილისმა" შექმნა.

26-ე წუთზე თემურ გადელიამ მარცხენა ფლანგიდან კარგი გადაცემა მიაწოდა ბურდულს, ლადოც საჯარიმოში შევიდა და უძლიერესად დაარტყა. თბილისელები უკვე გოლს ზეიმობდნენ, მაგრამ ჩინებული რეაქცია გამოავლინა ბედიაშვილმა და „გორდა" იხსნა.

ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე კი კილასონიებმა გაიბრწყინეს. ასისტენტის როლში ამჯერად ვალერი მოგვევლინა. მის შესანიშნავ პასს სტუმართა საჯარიმოში შესული გიას ყუმბარისებური, უძლიერესად დარტყმული მოჰყვა... მაგრამ არანაკლებ ბრწყინვალედ ითამაშა ახლა უკვე 18-წლამდელთა ნაკრების ძირითადმა გოლკიპერმა ზურაბ ბათიაშვილმა, მან მუშტებით აკრობატულ ნახტომში კარს ზემოთ გადააგდო ბურთი.

მეორე ნახევარში ძმების შეხმატკბილებულმა მოქმედებამ „თბილისის" დაცვა სულ მთლად არია. 54-ე წუთზე ვარლამმა ითამაშა საუცხოოდ — ლაბაძის პასი ოსტატურად მიიღო და ოდნავი ცრუმოძრაობითა და სტუმართა საჯარიმოს მისადგომებიდან შემოტრიალებით ბათიაშვილს მარცხენა დაბალ კუთხეში უძლიერესად დაურტყა — 1:0.

62-ე წუთზე ერთი საინტერესო ფაქტი მოხდა. აქამდე თბილისელებს მთელი მატჩის განმავლობაში ერთი კუთხურიც კი არ მოუწოდებიათ. ამ დროს კი ზედიზედ სამჯერ მოუხდათ სტანდარტული სიტუაციის შესრულება.

72-ე წუთზე ვარლამ კილასონიამ მეორედაც გაიტანა.. ბურთს „თბილისის" ნახევარზე ოდნავ გადასული პირით ხაზთან დაეუფლა, ამას სიჩქარე და ოსტატობაც დაუმატეთ და ბათიაშვილის კარში ბურთი მეორედ გაეხვია. ამ ეპიზოდმა სტუმართა უკმაყოფილება გამოიწვია. ბურდული და გადელია თანამსაჯ დოლიძეს ემართლებოდნენ, თამაშგარე იყოო.

სულ ექვს წუთში დუბლის ავტორს ჰეთ-თრიქის შესრულებაც შეეძლო. ბათიაშვილმა მიშველიძე საჯარიმოში წააქცია და მესხმაც უყოყმანოდ მიუთითა თერთმეტმეტრიანისკენ. ბურთთან კი... ლაბაძე მივიდა. ორი ზურაბის დუელი მეკარის გამარჯვებით დასრულდა. ისე, ვერ გამიგია, რატომ არ დაარტყა პენალტი კილასონიამ?

ასეა თუ ისე, „გორდამ" მოიგო, მეორე ეტაპზე ჩინებული სტარტი აიღო და არა მგონია, ლიგაში ადგილის შენარჩუნება გაუჭირდეს. აი, „თბილისმა" კი უკვე მეორე მატჩი წააგო. რამაზ მუმლაძეს უდავოდ მართებს თავისი გუნდის თამაშში კორექტივების შეტანა.

# დინამოს რატიანი უპრეზიდენტებს

საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამო" წელიწადზე მეტია, უპრეზიდენტოდ იყო. მერაბ ჟორდანიას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ქვეყნის ჩემპიონ კლუბს დირექტორატი ხელმძღვანელობდა, ერთი ხანობა კი პრეზიდენტის მოვალეობას რომან შოთაძე ასრულებდა: ახლახან „დინამოს" კრებაზე, რომელსაც ფეხბურთელები, დირექტორატის წევრები, მწვრთნელები ესწრებოდნენ, კლუბის პრეზიდენტად აირჩიეს 39 წლის მერაბ რატიანი. ჯერჯერობით არ გადაწყვეტილა, ვინ იქნება „დინამოს" ვიცე-პრეზიდენტი. ადრე ამ რანგშიც რომან შოთაძე მუშაობდა.

მერაბ რატიანი კარგა ხანია, „დინამოშია", პრეზიდენტობამდე ისიც დირექტორატის წევრი იყო.

„დინამოს" ახლა უჭირს, საჩემპიონოდ კონკურენტებიც მოუმრავლდნენ. არც ფინანსურად ულხინს უწინდებურად საქართველოს ჩემპიონს. აწი კი მერაბ რატიანზეა. აგერ ის, აგერ „დინამო".

**ქობა ინასარიძე**

# კაიდარაშვილი: სამი წლით ტარანთან

გორელმა ალეკო კაიდარაშვილმა კრივოი როგის „კრივბასთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„დილა" — „ნივა" — „კრივბასი", მისი განვლილი კარიერა აშკარად პროგრესის მანიშნებელია. ქართველს ემადლიერება ტერნოპოლის „ნივაც". ტერნოპოლელებმა აქამდე დაცარიელებული სალარო შეივსეს და ამიერიდან უძლიერესთა რიგებში დასარჩენადაც გაორკეცებული ენერგიით იბრძოლებენ.

რაც მთავარია, კმაყოფილია „კრივბასის" მთავარი დამრიგებელი ოლეგ ტარანი. მწვრთნელმა კარგი თავდამსხმელი, ალეკო კაიდარაშვილი, იშოვა.

კაიდარაშვილმა „კრივბასის" რიგებში უკვე მოასწრო ერთი სათასო მატჩის ჩატარება. ტარანის ბიჭებმა მეთექვსმეტედფინალში „პოლიგრაფტეხნიკას" სძლიეს 1:0 და მერვედფინალში გავიდნენ. ალეკომ 90 წუთს ითამაშა და უმაღლესი შეფასებაც დაიმსახურა.

ახლა დანარჩენ ჩვენებურებზეც მოგახსენებთ, რომლებიც „კრივბასში" აპირებდნენ მოწყობას. ეროვნული ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე ბოლო მომენტში პირობებზე ვერ შეუთანხმდა კლუბის ხელმძღვანელებს და თბილისში დაბრუნდა.

რაც შეეხებათ ზურაბ ხიზანიშვილსა და ოთარ ხიზანეიშვილს, მათი საკითხი საბოლოოდ ორ კვირაში გაირკვევა. ზურაბი და ოთარი „კრივბასის" სათადარიგო გუნდს მიჰყვებიან ათდღიან შეკრებაზე. ეს ქართველებს ძლიერ წაადგებათო — უთქვამს ტარანს. ამის შემდეგ კონტრაქტის პირობებზეც იმსჯელებენ.

მოკლედ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „კრივბასში" კიდევ ორი ქართველი ჩაირიცხება.

**მამუკა კვანტალიანი**



მამუკა დარჩიას წყალტუბოდან

მერანელი იოსებ დევიძე ირაკლი გიორგობიანის ფერხთით

# აი, ფორტუნა!

წყალტუბო
12 მარტი
15 საათი
26 მაისი
1 000 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 0:1 მერანი**

0:1 კაკაბაძე (90)
**სამგურალი:** სტურუა, ჩხაბერიძე, ფრანგიშვილი (გ. ძაგნიძე 46), ხუნდაძე, გ. ჯანელიძე (ბაბუნაშვილი 66), გიორგობიანი, სუხიაშვილი, ჭყონია, დარსაძე, ზ. ქუთათელაძე, ლონლაძე (ვადაჭკორია 80)
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ნებიერიძე, კვერნაძე, ფუტკარაძე
**მერანი:** ნაჭყეპია, ცქიფურიშვილი, გუჯაბიძე, დევიძე, გ. ილურიძე, გ. კვეტენაძე, კობესაშვილი, თოლორდავა (კაკაბაძე 70), ბოლქვაძე (ჭინჭარაული 46), კარიაული, როსტიაშვილი (ივანიშვილი 75)
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ლურსმანაშვილი, ჯიშკარიანი, მელიქია
**გაფრთხილება:** ილურიძე (67)
**გაძევება:** ილურიძე (90)
**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); დ. სანაია (სოხუმი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

„26 მაისზე" მოპაექრეებმა განსხვავებულად დაიწყეს მეორე ეტაპი. „მერანმა" სასტარტო მატჩში „თბილისის" ძლევით 3 ქულა ჩაიჯიბა, „სამგურალი" კი ხელმოცარული დაბრუნდა მცხეთიდან, სადაც თსუ-ს ეთამაშებოდა. გაზაფხულზე რომ ქულები ძვირად ფასობს, სალაპარაკოც არ არის. განსაკუთრებით „სახლის გუნდებისთვის". წყალტუბოური კლუბი სწორედ ამ კატეგორიას განეკუთნება, ტრადიციულად საკუთარ კედლებში აგროვებს ქულებს და, ფაქტობრივად, ამით გააქვს თავი. „სამგურალი" ადრეც ბევრჯერ მდგარა უძლიერესთა ჯგუფის დატოვების საფრთხის წინაშე და, როგორც ჩანს, ახლაც უმძიმესი ბრძოლების გადატანა მოუწევს არასასიამოვნო პროცედურისაგან თავის დასახსნელად.

მასპინძლები თამაშის წინ ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი. გასულ კვირაში, კლუბმა, როგორც იქნა, რუსული გუნდებიდან წამოსული ირაკლი გიორგობიანის და მამუკა ხუნდაძის სატრანსფერო საკითხები მოაგვარა. „სამგურალის" თავკაცს იასონ ბზიკაძეს ამ ორი ფეხბურთელის დიდი იმედი ჰქონდა და ორივე უმალ ძირითადში დააყენა. გიორგობიანი მარჯვენა ნახევარმცველად გაამწესა, ხუნდაძე კი ზვიად ქუთათელაძეს შეუწყვილა თავდასხმის ცენტრში.

მოედანზე გასამარჯვებლად გასული წყალტუბოელები საწყის წუთებში თითქოსდა ინიციატივას დაეუფლნენ. ისინი დიდი ძალებით გადადიოდნენ სტუმართა ნახევარზე, ფლანგებიდან ცდილობდნენ იერიშების ორგანიზებას, ოღონდ ტრანსპორტელებიც მაგრად დაუხვდნენ მეტოქეს, დაცვაში ფხიზლობდნენ და, ფაქტობრივად, ჩანასახის სტადიაშივე ანეიტრალებდნენ მასპინძელთა არაორგანიზებულ შეტევებს. პირველი სახიფათო მომენტი „მერანის" კართან სტანდარტული მდგომარეობიდან შეიქმნა. მე-12 წუთზე ჭყონიამ დაახლოებით 20 მეტრიდან ძლიერად დაარტყა საჯარიმო, მაგრამ ნაჭყეპია ადგილზე დაუხვდა ბურთს. ამის შემდეგ მთელი ნახევარი საათი საინტერესო არაფერი მომხდარა. „სამგურალი" ქაოტურად უტევდა, „მერანი" კი დინჯად იცავდა თავს და მეტოქის კონტრშეტევაზე გამოჭერას ცდილობდა. სტუმრებს მიეცათ კიდევაც ამის შესაძლებლობა. 33-ე წუთზე გიორგი კვეტენაძემ მარჯვენა ფლანგზე ჩამოიცილა მეურვე, ოდნავ წინ გაიჭრა და კარგადაც ჩააწოდა „სამგურალის" საჯარიმოში, იქ ბურთზე თოლორდავა გავიდა კარგად, მაგრამ ფეხი აუცდა, მერანელმა გატანის ასპროცენტიანი შანსი დაჰკარგა, ისევე როგორც ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე სუხიაშვილმა, რომელიც სამეკარეოს კუთხიდან თავით ურტყამდა გიორგობიანის ჩაწოდებულზე, მაგრამ ნაჭყეპიას ვერ ააცილა. შესვენებამდე მეტოქეებმა თითოჯერ შეაწუხეს ერთმანეთი. ჯერ ლონლაძე — გიორგობიანი — ქუთათელაძის კომბინაციაში ისევ მერანელთა კარის დარაჯი ჩაერია და წამით დაასწრო დასარტყმელად მომზადებულ წყალტუბოელს, მერე სტუმართა კაპიტანმა კვეტენაძემ მარტო გაილაშქრა „სამგურალის" ნახევარზე და შორიდან ძლიერი დარტყმაც მიაყოლა, ბურთმა რაღაც სანტიმეტრებში გადაუქროლა ხარიხას.

პირველისა არ იყოს, მეორე ტაიმიც ულიმლამო გამოდგა. რამდენიმე ეპიზოდი თუ ღირს აღსანიშნავად. 66-ე წუთზე გიორგობიანის გრძელ გადაცემას „მერანის" საჯარიმოში ხუნდაძე გამოეხმაურა, მაგრამ არაზუსტი თაურით. 82-ე წუთზე შეცვლაზე გამოსულმა ბაბუნაშვილმა შორიდან შეუჩერებლივ დაბალ კუთხეში დაურტყა სტუმართა მეკარეს და მეკარემ ამ მომენტშიც იმარჯვა. სულ ეს იყო, „მერანს" სხვა საფრთხე არ შეუქმნია და თამაშიც, თითქოს, უშედეგოდ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ... მერანელებმა ტრავმების მომიზეზებით იმდენი იკოტრიალეს მინდორზე, არბიტრს 3 წუთზე მეტიც უნდა დაემატებინა. მასპინძლები ამ დამატებულშიც ვერაფერს გახდნენ, სამაგიეროდ „მერანს" გაუღიმა ფორტუნამ. ბოლო წამები იყო, წყალტუბოელი მცველი უხეშად შეცდა თავისსავე საჯარიმოში, ბურთი დევიძეს ჩააბარა, ამანაც დრო იხელთა, იქვე მდგარ კაკაბაძეს დაუგორა დასარტყმელად და... იცოცხლეთ, გაიხარეს სტუმრებმა. ერთერთ მათგანს ზედმეტიც მოუვიდა. ილურიძემ, რბილად რომ ვთქვათ, უზრდელი ჟესტით გამოხატა მოჭარბებული ემოცია და ანიაშვილიც სამართლიანად მოიქცა, მანამდე განაფრთხილებ ფეხბურთელს წითელი ბარათი უჩვენა. ილურიძემ თანაგუნდელებთან ერთად დატოვა მოედანი. გოლის შემდეგ თამაში, აღარ განახლებულა.

# მიდი, კოჭოია, მიდი!

სენაკი
12 მარტი
15 საათი
ეგრისი
1 000 (ტევადობა 8 000)

**ხობი 2:1 არსენალი**

1:0, 2:0 ოდიშარია (46, 79), 2:1 ხოსროშვილი (83)
**ხობი:** ნიქაბერიძე, ჯამბურია (დ. დანელია 74), ოდიშარია, ვ. ალანია, ზურაბ აიანადი, კ. ხურცილავა, გ. გიორგაძე, ქაშიბაძე, ლ. ბუკია, ვ. ჩიტაია, ზაზა აიანადი
*სათადარიგონი:* რ. თოლორდავა; ვართაგავა, აბაკელია, ჯიქია, მ. ტყებუჩავა
**არსენალი:** კუპატაძე, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, ხარებავა, გ. ტულუში (სულაძე 62), შუკაკიძე, ი. კაპანაძე (ქოიავა 64), ხოსროშვილი, კაკაშვილი, წივწივაძე
*სათადარიგონი:* ქაცარავა; თ. კვირკველია, წონკოლაური, ჯობაძე, გ. ჩალაძე
**გაფრთხილება:** ტულუში (18), ზურაბ აიანადი (24), ასპინძელაშვილი (26), წივწივაძე (28), ზაზა აიანადი (45), ალადაშვილი (60)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი), ნ. რუსიშვილი (ჭიათურა); კ. გაბრიაძე (ქუთაისი);
**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

**თენგიზ ძოჩუა სენაკიდან**

ხობელთა საშინაო არენის დისკვალიფიკაციის გამო ორი აუტსაიდერი სენაკში შეხვდა. ორივე გუნდს გამარჯვების გემო კარგა ხნის მონატრებული ჰქონდა, თუმცა კი პირველ ლიგაში დარჩენის შანსი მაინც შერჩენოდათ. ამიტომაც მოსალოდნელი იყო, მატჩი დაძაბული და უშელავათო გამოსულიყო.

სიმართლე უნდა ითქვას, ორივე გუნდის მოთამაშეებს მონდომება და საბრძოლო სულისკვეთება არ აკლდათ, მაგრამ მარტო ეს ვერაფერი ნუგეშია. ამ მატჩმა თვალნათლივ ცხადყო, რატომ არიან ეს გუნდები ცხრილის ფსკერზე.

პირველი ტაიმი ნელ ტემპში დაიწყო. ბურთი უმეტესად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. მეტოქეები ერიდებოდნენ თამაშის გამწვავებას. აშკარა საგოლე მომენტი არცერთ კართან შექმნილა. სტუმრებმა შორიდანაც სცადეს ბედი, მაგრამ ნიქაბერიძე საიმედოდ იდგა კარში.

ხობელები შეტევის ბოლო ფაზაში ცდებოდნენ. ხურცილავა და ჩიტაია რამდენჯერმე ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდნენ, მაგრამ...

მეორე ტაიმი უფრო საინტერესო და მიმზიდველი გამოდგა. „ხობი" ტაიმის დაწყებისთანავე დაწინაურდა. სტუმართა საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ოდიშარია დახვდა, მცველი კარგი ფინტით ჩამოიშორა და მეკარისგან მარჯვენა კუთხეში ლამაზად გაიტანა — 1:0.

„ხობი" კვლავ უტევდა. აღსანიშნავია მისი მე-17 ნომრის, ვეტერანი გია გიორგაძის გარჯა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გიორგაძე იმ დღეს საუკეთესო გახლდათ, მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდში მასზე მეტად ახალგაზრდება ფეხბურთელები თამაშობდნენ. სწორედ გიორგაძის აქტიურობის შედეგად იქმნებოდა სახიფათო მომენტები არმიელთა კართან. მისი შეჩერება შეუძლებელი იყო. ის კი არა, საჰაერო დუელი მასზე გაცილებით მაღალ მეტოქეებთანაც რამდენჯერმე მოიგო, რითაც გულშემატკივარი კდეც გაამხიარულა. სტადიონი სულ „კოჭო, მიდი", „კოჭოია, შენ იცის" გაიძახოდა... და „კოჭოიაც" თამაშობდა. 79-ე წუთზე კი მარჯვენა ფლანგზე მეტოქე დაიბრიყვა. მის ზუსტ პასს კვლავ ოდიშარია გამოეხმაურა და კუპატაძეს მეორედ გამოატანინა ბადიდან ბურთი.

ამის მერე „ხობი" მოეშვა. „არსენალმა" გაიბრძოლა და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნა. ხობელები აირივნენ და... სტუმრებმა სამჯერ დაურტყეს საჯარიმოს შიგნიდან, მაგრამ მასპინძლები სასწაულმა იხსნა.

მატჩის ბოლოს თამაშს ინტრიგა მაინც მიეცა. 83-ე წუთზე კუთხურიდან ჩამოწოდებისას ნიქაბერიძე შეცდა, ამით ხოსროშვილმა ისარგებლა და სხვაობა შეამცირა, მაგრამ სულ ეს იყო.

# ცოტა ბალახი, ბევრი ტალახი

სამტრედია
11 მარტი
15 საათი
ეროსი მანჯგალაძე
100 (ტევადობა 14 000)

**იბერია 2:1 დილა**

1:0 გიგიაძე (16), 2:0 მუმლაძე (35), 2:1 ხორგაუშვილი (52)
**იბერია:** გ. დოლიძე, ჟვანია, დ. ნოზაძე (ხმალაძე 81), გეგეშიძე, მიქელთაძე, ნ. გიორგაძე (კ. ჯანაშია 75), მ. ჯინჭარაძე, გიგიაძე, სანიკიძე, ივეჩინი, მუმლაძე
*სათადარიგონი:* ჩომახიძე, გედენიძე, ოდიკაძე
**დილა:** მდივანი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, ვ. სამხარაძე, კარელიძე, ლომიძე, მარეხაშვილი (ციცქიშვილი 46), ოლგესაშვილი, სულთანიშვილი, ხორგუაშვილი, არუთინიანი (საყვარელიძე 82)
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი, ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, თ. ილურიძე
**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ლ. ყიფოანი

**კონსტანტინე გოგიშვილი სამტრედიიდან**

მარტმა ტალახში ამოსვარა ქართული ფეხბურთი. ზამთარმა იძალა ნარვამარტევს და იმგვარი თოვლ-ჭყაპი მოუვლინა საფეხბურთო საქართველოს, თქვენი მოწონებული. იქ თამაში გადაიდო... აქ კინაღამ გადაიდო... იმათ ფეხბურთის მაგიერ ჰოკეი ითამაშეს, ამათ ბურთაობას ფეხბურთს ვერც დაარქმევდი და ასე...

სამტრედია რა გამონაკლისი იქნებოდა ვითომ, ვისზე ნაკლებტენიან ადგილზეა, რომ თოვლჭყაპიანობაში რომელიმე ქალაქს ჩამორჩენოდა და „იბერია" — „დილას" მატჩი იმგვარი ამინდის აკომპანიმენტით წარიმართა, ჩაიკოვსკის რომ ენახა თავის „წელიწადის დრონში" გაზაფხულს უთუოდ ზამთრად „გადაასწორებდა".

ეს შესავლისთვის და როდესაც გუნდებმა ბურთი გააგორეს, სპორტის „ყინულოვან" სახეობებთან ერთად საწყალოსნო სახეობებიც ამეკვიატა. „ეროსი მანჯგალაძე" წყლით იყო გასისინებული და ბუნებრივია, ოსტატობასთან ერთად გვარიანი ინსტიქტიც სჭირდებოდათ ფეხბურთელებს, რათა მრავალრიცხოვანი ტბორებისთვის გვერდი აევლოთ (ბურთიანად, რა თქმა უნდა).

სოსო ფრუიძეს გაცდენილი საშუასეზონო მომზადების ანაზღაურება მოუნდომებია და როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, გრძელ-გრძელი კროსებით ქანცს აცლის თურმე იბერიელებს. შეეტყოთ კიდეც მასპინძლებს — პირველი ნახევრის განმავლობაში სამტრედიელები „უტყლიპოებივით" დარბოდნენ (ეს მცირერიცხოვანი ქომაგის შენიშვნაა) და ამ სარბილმა გამოიღო კიდეც ნაყოფი — დაახლოებით ნახევარ საათში „იბერია" უკვე ორი ბურთით გახლდათ წინ.

ორივე ბურთი გორელთა დაცვის ერთ ხაზზე განლაგების „ცოდვებს" მოჰყვა — ჯერ სოსო გიგიაძემ „დაუხოხა" მეკარე მდივანს ძელიდან ასხლეტილი, მერე კი მუმლაძემ ლამის ოცდაათი მეტრი ირბინა და გორელთა მეკარესთან პირისპირ გასულს მიზანმა არ უმტყუნა.

აღსანიშნავია, რომ „იბერია" თექვსმეტჯერ აღმოჩნდა თამაშგარე. „დილა" ხელოვნურ თამაშგარებში გაწაფულობით ჯერაც ჩამორჩება ბელგიურ „სტანდარდს", მაგრამ საქმეს სასიკეთო პირი უჩანს და თუ ერთმანეთის დაზღვევაც შეუთანხმეს ყოველივეს ქართლელებმა, მერე ნახეთ.

მეორე ტაიმში უკვე სტუმრებმა გაივაკეს. ზედიზედ რამდენიმე კუთხურის შემდეგ ბურთი სტუმართა შორის საუკეთესო ხორგუაშვილმა მოიგდო და...

ამის მერე კი საქმეში მისი უჭუჭყებულესობა ტალახი ჩაერია, იბერიელთა დაცვაც დულაბივით გაამაგრა კაპიტანმა გეგეშიძემ და გუბაზ დოლიძე თითქმის აღარ შეუწუხებიათ გორელებს.

ერთი-ორჯერ მასპინძლებმაც შეუტიეს, სოსო გიგიაძემ და კახა ჯანაშიამ მდივანს სახიფათოდ დაურტყეს, მაგრამ ეს იყო და ეს.

„იბერიამ" პირველი ტალახიანი გამარჯვება მოიპოვა.

# კაკაშვილი ლოკომოტივში

## იური სიომინმა მეორე ქართველიც იშვილა

საქართველოს თექვსმეტ და თვრამეტწლამდელთა ნაკრების ყოფილი წევრი, თექვსმეტწლამდელებში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე, ხოლო ჩვიდმეტწლამდელებში ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების ჩემპიონი ვლადიმერ კაკაშვილი ამიერიდან საფეხბურთო კარიერას მოსკოვის „ლოკომოტივში" გააგრძელებს.

აქამდე კაკაშვილი თბილისის „თბილისში" ირიცხებოდა. ყოფილა „დინამოში", მაგრამ თავის გამოჩენის საშუალება არ მისცემია, უმეტესად ძირითად თერთმეტეულს მიღმა რჩებოდა. თამაშობდა პოლიციელთა „აკადემიაში", მოსკოვში გამგზავრებამდე „ვიტ ჯორჯიაში" ვარჯიშობდა.

1980 წელს დაბადებული ქართველი მოსკოვის „ლოკომოტივის" თავკაც იური სიომინს მოეწონა და თითქმის ორთვიანი გასინჯვისა და დაკვირვების შემდეგ იგი გუნდში აიყვანა.

ლადომ მოსკოველ რკინიგზელებთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ყველა აუცილებელი საბუთი მზადაა, სადაოც არავის არაფერი აქვს.

კაკაშვილი ორი დღით იყო ჩამოსული. მასთან ინტერვიუს უახლოეს „სარბიელში" შემოგთავაზებთ, მანამდე კი გეტყვით, ჩვენებური გუშინვე გაემგზავრა მოსკოვს, მალე კი „ლოკომოტივს" დასკვნითი შეკრება დაეწყება სოჭში. შეგახსენებთ, რომ კაკაშვილი, ზაზა ჯანაშიას შემდეგ, „ლოკომოტივის" მეორე ქართველი გახდა.

**მამუკა ქვანტალიანი**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ფედერაციის ფინანსური დირექტორის, გერა ხეცურიანის ოთახიდან 42 ათასი ლარი დაიკარგა. შეალო ოთახის კარი და... არა, არანაირი ყაჩაღობა, დირექტორმა თანხა მაგიდის უჯრაში შეინახა, კარი გამოიხურა, დერეფანში გავიდა და... ფულიც ფაფუ.

# 42 000 ლარი: იყო, აღარ არის!..

ფედერაციის პრესსამსახურმა გაავრცელა ცნობა, რომ დაკარგული ფული ხელფასების დასარიგებლად იყო გამოყოფილი. პრესსამსახურისვე ინფორმაციით, ამ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

**კობა ინასარიძე**

# ინგლისი

## XXVIII ტური

### უიმბლდონი 2:1 ლესტერი

1:0 ერდლი (33პ), 1:1 ტაგარტი (55), 2:1 კორტი (87)
უიმბლდონი: ჰელდი, კანინგემი, ვილმოტი, ანდერსენი, კიმბლი, ერდლი (ს. ჰიუზი 82), ერლი, იუელი, გეილი, კორტი, ლუნდი (ანდრესენი 80)
მწვრთნელი: ეგილ ოლსენი
ლესტერი: ფლაუერსი, იმპი, მ. ელიოტი, ა. სინკლერი, ტაგარტი, გაპი, ლენონი, იზეტი, სევიჯი (ჯილკრისტი 51), კოტი (მარშალი 65), კოლიმორი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
მსაჯი: ალკოკი
14 319 მაყურებელი

### ტოტენჰემი 7:2 საუთჰემპტონი

0:1 ტესემი (26), 1:1 რიჩარდსი (28 ს.კ.), 1:2 ელ ხალეჯი (33), 2:2 ანდერტონი (39), 3:2 არმსტრონგი (41), 4:2 ივერსენი (45), 5:2 არმსტრონგი (64), 6:2, 7:2 ივერსენი (78, 90)
ტოტენჰემი: უოკერი, კარი, პერი (იანგი 29), სოლ კემპბელი, ტარიკო, ლეონარდსენი, ანდერტონი, ფროინდი, ჟინოლა, ივერსენი, კ. არმსტრონგი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
საუთჰემპტონი: ჯონსი, ელ ხალეჯი, რიჩარდსი, ბენალი, ტესემი, ოუკლი, კაჩლული (ლე ტისიე 68), მარსდენი, ბრიჯი, მარკ ჰიუზი, პახარსი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: ფროინდი, კარი, ბენალი, კაჩლული
მსაჯი: ჰელსი
36 024 მაყურებელი

### მიდლსბრო 2:1 არსენალი

1:0 ინსი (48), 2:0 რიკარდი (63), 2:1 ბერხკამპი (70)
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ვიკერსი, კუპერი, ციგე, მედისონი (მასტო 79), ინსი, სამერბელი, ე. კემპბელი (ჟუნინიო 85), დინი, რიკარდი
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
არსენალი: სიმენი (მანინგერი 46), ლუჟნი, გრიმანდი, პეტი, სილვინიო, პარლოუ (შუკერი 79), ვიეირა, ლიუნგბერგი (ბერხკამპი 60), უინტერბერნი, კანუ, ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: უინტერბერნი
მსაჯი: ჰარისი
34 244 მაყურებელი

### ბრედფორდი 1:2 ლიდსი

0:1, 0:2 ბრიჯისი (12, 63), 1:2 ბიგრი (75)
ბრედფორდი: საუთჰოლი, მაკკოლი, ვეზეროლი, ლოურენსი, უელი (კადეტე 65), ბიგრი, ობრაიენი, უინდასი, ჰალე (ბლეიკი 65), ჯაკობსი, სონდერსი
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ჰარტი, ჰაალანდი, რადებე, ბრიჯისი (ჰაკერბი 90), ბოიერი, მაკფეილი (ჰოპკინი 73), უილკოქსი, ა. სმიტი, ბაკე
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ვეზეროლი, ჯაკობსი, ჰარტი, უინდასი, ჰაალანდი, ლოურენსი
მსაჯი: დარკინი
18 276 მაყურებელი

### მანჩესტერი 3:1 დერბი ქაუნთი

1:0 იორკი (12), 1:1 შტრუპარი (66), 2:1, 3:1 იორკი (70, 72)
მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, ბერგი, სილვესტრი, ფ. ნევილი, ბექემი, როი კინი (უოლვორკი 75), სქოულზი, ფორჩუნი (ბათი 71), იორკი, სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
დერბი ქაუნთი: პოომი, ლაურსენი, კარბონარი, ს. ელიოტი, დორიგო (სტარიჯი 74), დელაპი, ერანიო, ჯონსონი, შნური (შტრუპარი 46), კრისტი, ქინქლაძე
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: ჯონსონი, დორიგო
მსაჯი: უინტერი
61 619 მაყურებელი

### ნიუკასლი 1:0 უოტფორდი

1:0 გალაჰერი (59)
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, ჰაუი, დაბიზასი, ა. ჰიუზი (დომი 45), სოლანო, ლი, სპიდი, გალაჰერი, შირერი, დ. ფერგიუსონი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
უოტფორდი: ჩემბერლენი, კოქსი, პალმერი, პეიჯი, რობინსონი, ვუტერი (უილიამსი 78), ჰიდი, ჯონსონი (ბონოტი 87), კენედი, სმარტი, ჰელგუსონი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
მსაჯი: უილი
36 433 მაყურებელი

### ლივერპული 1:1 სანდერლენდი

1:0 ბერგერი (2პ), 1:1 ფილიპსი (77პ)
ლივერპული: ვესტერველდი, მატეო, ჰიიპია, ენჩოსი, სონგი (კამარა 82), ბერგერი, ჰამანი, კარაგერი, ჯერარდი (მერფი 46), მეიერი (ოუენი 76), ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, უილიამსი, კრადოკი, ჰოლოვეი, კილბეინი, შვარცი, რაე, ტირლველი, ფილიპსი, ნ. ქუინი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: ჯერარდი, კარაგერი, უილიამსი, ტირლველი
მსაჯი: პოლი
44 693 მაყურებელი

### შეფილდ უენსდი 3:1 ვესტ ჰემი

0:1 ლამპარდი (10), 1:1 კროსველი (55), 2:1 ჰინჩკლიფი (63), 3:1 ალექსანდერსონი (66)
შეფილდ უენსდი: სრნიჩეკი, ნოლანი, აზერტონი, უოლკერი, ჰინჩკლიფი, ალექსანდერსონი, იონკი (სონერი 80), ჰასლამი, მ. ქუინი, დე ბილდე, სიბონი (კროსველი 46)
მწვრთნელი: დენი უილსონი
ვესტ ჰემი: ფორესტი, შტიმაცი, რ. ფერდინანდი, რადოკი, ტ. სინკლერი, ლომასი, ფოე, ლამპარდი, მონკუ (ჯ. კოული 68), ვანჩოპე, დი კანიო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: იონკი, სინკლერი, რადოკი
მსაჯი: ჯონსი
21 147 მაყურებელი

### ასტონ ვილა 1:0 ქოვენთრი

1:0 ეჰიოგუ (45)
ასტონ ვილა: ენკელმანი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, ბერი, დილანი, ტეილორი, ბოატენგი, მერსონი (სტოუნი 80), ა. რაიტი, ჯოუჩიმი (რ. უოკერი 87), კარბონე
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
ქოვენთრი: ჰედმანი, გუსტაფსონი, შოუ, ჰენდრი, ფროგატი, ოსტიჩი (ბოროუზი 74), ჩიპო, მაკალისტერი, მ. ჰაჯი, რობი კინი (ველანო 45), რუსელი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: ეჰიოგუ, რაიტი, ჰაჯი, ურსელი
მსაჯი: რენიე
33 177 მაყურებელი

### ჩელსი 1:1 ევერტონი

1:0 უაიზი (29), 1:1 კადამარტერი (69)
ჩელსი: დე გუი, ფერერი, ბაბაიარო, ტომე, ლებეფი, ჰარლი (პოიეტი 72), დი მატეო, უაიზი, მორისი, სატონი, ძოლა (ფლო 46)
მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
ევერტონი: ჟერარი, დანი, გუგი, ვეირი, კოლინზი, ბარმბი, შავიერი, მაიკლ ჰიუზი, პემბრიჯი, კადამარტერი, მური
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: გუგი, ბარმბი
მსაჯი: ელერეი
35 113 მაყურებელი

# ტრინიდადელი მჩვრეტელი



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — დერბი 3:1. მანჩესტერელი დევიდ ბექემი და დერბელი სეთ ჯონსონი (მარცხნივ)

„მანჩესტერ იუნაიტედმა" „დერბი ქაუნთი" დაამარცხა „ოლდ ტრეფორდზე", „ლიდსმა" კი სტუმრად მოუგო „ბრედფორდს". ჩემპიონობისა და ლიგაში დარჩენისათვის მებრძოლ გუნდებს შორის ექვსივე ქულა ცხრილის სათავეში მოქცეულმა კლუბებმა წაიღეს.

„მანჩესტერ იუნაიტედმა" იაპ სტამის, დენის ირვინის, რაიან გიგზისა და ენდი კოულის გარეშე ითამაშა. სამაგიეროდ სასტარტოში იყვნენ ტრავმამოშუშებული პოლ სქოულზი, ბორდოში ჯადოგოლის გამტანი ოლე გუნარ სოლსკიაერი და ღრმა დუბლიორი, სამხრეთაფრიკელი კვინტონ ფორჩუნი. აქვე იყო დუაიტ იორკიც, ვისაც 26 დეკემბრის შემდეგ არ გაეტანა სალიგო გოლი.

მატჩის გმირი სწორედ ტრინიდადელი შეიქნა, რომელმაც ბარე სამთვიან ჩრდილში ყოფნას ჰეთ-თრიკით დაუსვა წერტილი. იორკმა 12-ე წუთზე გახსნა ანგარიში: დერბიელთა მეკარე მარკ პოომს უხეირო გადაცემა ჩაუჭრა, მეკარე ჩამოიცილა და ბურთი კარში შეაგდო. ეს პოომის ერთადერთი შეცდომა იყო, თორემ მერე პენალტიც კი დაუჭირა სქოულზს.

„დერბი" კი რა? „დერბი" ვიცით, მებრძოლი გუნდია, ჰყავს გიორგი ქინქლაძე, მალკოლმ კრისტი, რორი დელაპი და ხანდახან ბრანკო შტრუპარიც. კრისტის კი უნდა გაეტანა ერთი. თანაც, ბოლო წლებია „დერბი" „ოლდ ტრეფორდზე" ღირსეულად ირჯება. დაუმატეთ ამას ქინქლაძის სოლიდური თამაში, მისი მახვილგონიერი საგოლე პასი და შტრუპარის ზუსტი დარტყმა და მანჩესტერიდან ქულის წამოღებაზე ფიქრიც შეიძლებოდა. სტუმრებმა შეხვედრის დასასრულამდე 24 წუთით ადრე გაიტანეს საპასუხო, მაგრამ სრულ ექვს წუთში უკვე 1:3-ს აგებდნენ — ეს იორკმა ისარგებლა ფორჩუნისა და როი კინის გადაცემებით და თავიცა და ფეხიც ჩინებულად მოიხმარა.

„დერბის" უშუალო მდევრად ალქმული „ბრედფორდი" შინაურ „ველიზე" მეორე დღეს მასპინძლობდა „ლიდსს". ამასობაში ლიგაში დარჩენისათვის მებრძოლთა შორის თავი ამოჰყო გლენ ჰოდლის „საუთჰემპტონმაც", რომელმაც 2:7 წააგო ლონდონში „ტოტენჰემთან". წმინდანებს („საუთჰემპტონს" უწოდებენ შინაურობაში) დიდად ეიმედებოდა „ბენფიკადან" გადაყვანილი მაროკოელის, ტაჰარ ელ ხალეჯისა, ვინც გაიტანა კიდეც „ვაით ჰართ ლეინზე" ცხრა გოლიდან ერთერთი. მხოლოდ ერთ-ერთი და არა ერთადერთი. „საუთჰემპტონი" ორჯერ იგებდა, მაგრამ პირველი ტაიმის თვრამეტწუთიან მონაკვეთში ექვსი გოლი გავიდა და ჰოდლმა თქვა: „პირველმა ტაიმმა გამაოცა, ჩვენ უკეთ ვირჯებოდით, გოლები კი მათ გაჰქონდათ".

ასეა, თუ ისე, „საუთჰემპტონი" „დერბის" გაუმეზობლდა, „უიმბლდონმა" კი როგორლაც სძლია „ლესტერს" და წმინდანებს გადაუსწრო. ბრედფორდში კი იშვიათი იორკშირული ჯახი გაიწია — ლიდსელები ბოლო 80 წელიწადში ოდენ მეცხრედ სწვევოდნენ ახლომდებარე ქალაქს. მასპინძლებს თავიდანვე ერთი დიდი უხეირობა სჭირდათ: ტრავმირებული დევიდსონის ნაცვლად კარში ეყენათ 41 წლის, უელსელი ნევილ საუთჰოლი. ოდესღაც საუთჰოლი კარგი მეკარე იყო, ბოლო ათ წელიწადს კი ერთი სქელუა და ზონზროხა ვინმე. გაირკვა, რომ საუთჰოლი კიდევ უფრო გასუქებულა. თმა გაცვენია და ულვაშიც შევერცხლია. რომ გადამხტარიყო, უეჭველად გასკდებოდა. მაიკლ ბრიჯესი ხომ ასეთების წამალია. დუბლი შეასრულა, მასპინძელთა დაცვა დაბლანდა და ჰარი კიუელის არყოფნაში ხალხს ათქმევინა, ფინტები „ლიდსში" სხვასაც ჰქონიაო. „ბრედფორდის" თავგანწირვა დაჯილდოვდა ბიგრის ულამაზესი გოლით. ეს ის ბიგრია, ქინქისთან ერთად „სიტიში" რომ ირიცხებოდა და მერე ჯერსის კუნძულზე პაბი დალეწა, რის გამოც პატარა ქართველს სასამართლოში დაატარებდნენ ჩვენების მისაცემად, შენც იქ იყავი და გვითხარი, რა მოხდაო. „ლიდსმა" კი 2:1 მოიგო.

ზედიზედ მეშვიდე საშინაო შეხვედრის მოგებას ეშურებოდა „ჩელსი", და ტრადიციად ქცეული დენის უაიზის ერთი კინკილა დარტყმით იგებდა კიდეც, მაგრამ „ევერტონმა" ძველი ინგლისური სტილის დიდი ცოდნა გამოავლინა და აუტიდან ჩამოწოდებულ, საჯარიმოში უშნოდ მოტრიალე ბურთს დანი კადამატერიმ უპოვნა გზა. კვირას საერთოდაც წააგო „არსენალმა", რომელიც მიდლსბროში მოგებით მესამე ადგილს დაიჭერდა, ახლა კი მეხუთეა და „ჩელსის" 2 ქულით ჩამორჩება. „ბორომ", ძირითადში დაბრუნებულმა კაპიტანმა პოლ ინსმა და მისმა ამხანაგებმა მგონი საბოლოოდ გადაუკეტეს ჟანგბადი სამეულისთვის მებრძოლ მეთოფეებს.

„ჩელსისა" და „არსენალს" შუა კი ასევე ორქულადაკარგული „ლივერპული" გაეკვეთა. მერსისაიდელებმა შინ ვერაფერი დააკლეს „სანდერლენდს". გუნდებმა პენალტები გაუცვალეს ერთმანეთს. „ენფილდი" დიდი ტაშით შეეგება წითელ სამოსში გამოწყობილ ემილ ჰესკის, რომლის „ლესტერიდან" გადმოყვანაც 11 მილიონი გირვანქა დაჯდა. ჰესკი ერთ კვირაში მეორედ ხვდებოდა „სანდერლენდს" (წინა ტურში გოლიც გაუტანა პიტერ რიდის გუნდს) და მეორე წუთზე პენალტიც გაახერხა. პატრიკ ბერგერმა ანგარიში გახსნა და ამ ორმხრივ ღია თამაშში ანგარიში ძალიან დიდხანს არ შეცვლილა. შეხვედრის დასასრულამდე 13 წუთიღა რჩებოდა, როცა პრემიერლიგის მთავარმეგოლე კევინ ფილიპსმა მაინც მიიღო თავისი წილი — ლივერპულელთა მეკარე სანდერ ვესტერველდს პენალტი დასტყუა და თავადვე აქცია იგი გოლად. შეცვლაზე შესულმა მაიკლ ოუენმა კინაღამ ჩარხი უკუღმა დაატრიალა, მაგრამ მაინც ფრე — 1:1.

მასპინძელთა მწვრთნელი ჟერარ ულიე კმაყოფილიც იყო და უკმაყოფილოც: „ბიჭები შემეცოდნენ, ბრწყინვალედ ითამაშეს და ვერ მოიგეს, ბევრი შანსი გვქონდა, მათ კი მხოლოდ ერთი. ჰესკიმ ახალი ძალა მოიტანა გუნდში. დებიუტის პირობაზე მშვენივრად ითამაშა. მალე ის და ოუენი ძლიერ წყვილს შეადგენენ".

ჰესკი — ოუენი მართლაც შიშისმომგვრელად ჟღერს, არა?

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 28 | 18 | 7 | 3 | 63:35 | 28 | 61 | 15 | 11 | 4 | 0 | 42:12 | 30 | 37 | 13 | 7 | 3 | 3 | 21:23 | -2 | 24 |
| 2 | ლიდსი | 28 | 18 | 3 | 7 | 44:30 | 14 | 57 | 14 | 10 | 1 | 3 | 21:10 | 11 | 31 | 14 | 8 | 2 | 4 | 23:20 | 3 | 26 |
| 3 | ჩელსი | 28 | 14 | 8 | 6 | 39:25 | 14 | 50 | 14 | 9 | 3 | 2 | 25:9 | 16 | 30 | 14 | 5 | 5 | 4 | 14:16 | -2 | 20 |
| 4 | ლივერპული | 27 | 14 | 7 | 6 | 40:23 | 17 | 49 | 14 | 9 | 2 | 3 | 24:10 | 14 | 29 | 13 | 5 | 5 | 3 | 16:13 | 3 | 20 |
| 5 | არსენალი | 28 | 14 | 6 | 8 | 48:30 | 18 | 48 | 14 | 10 | 2 | 2 | 30:11 | 19 | 32 | 14 | 4 | 4 | 6 | 18:19 | -1 | 16 |
| 6 | ტოტენჰემი | 28 | 12 | 6 | 10 | 43:32 | 11 | 42 | 14 | 8 | 2 | 4 | 30:17 | 13 | 26 | 14 | 4 | 4 | 6 | 13:15 | -2 | 16 |
| 7 | ასტონ ვილა | 28 | 11 | 9 | 8 | 33:25 | 8 | 42 | 14 | 6 | 6 | 2 | 17:8 | 9 | 24 | 14 | 5 | 3 | 6 | 16:17 | -1 | 18 |
| გალათასარაი | 24 | 20 | 3 | 1 | 57:16 | 63 |
| ბეშიქთაში | 24 | 16 | 4 | 4 | 47:14 | 52 |
| ფენერბაჰჩე | 24 | 11 | 10 | 3 | 40:29 | 43 |
| გაზიანთეფი | 24 | 11 | 9 | 4 | 34:18 | 42 |
| ტრაბზონი | 24 | 10 | 7 | 7 | 33:25 | 37 |
| სამსუნი | 24 | 11 | 3 | 10 | 36:31 | 36 |
| გენჩლერბირ. | 24 | 9 | 7 | 8 | 32:33 | 34 |
| დენიზლი | 24 | 9 | 6 | 9 | 37:41 | 33 |
| ალთაი | 24 | 9 | 5 | 10 | 28:29 | 32 |
| ანთალია | 24 | 8 | 6 | 10 | 27:38 | 30 |
| ადანა | 24 | 8 | 5 | 11 | 29:35 | 29 |
| ანკარაგიუჯიუ | 24 | 7 | 7 | 10 | 31:39 | 28 |
| ერზურუმი | 24 | 7 | 7 | 10 | 26:38 | 28 |
| ქოჯაელი | 24 | 7 | 5 | 12 | 33:41 | 26 |
| ბურსა | 24 | 7 | 5 | 12 | 31:40 | 26 |
| ისთანბული | 24 | 5 | 10 | 9 | 24:30 | 25 |
| გიოზთეფე | 24 | 5 | 5 | 14 | 17:34 | 20 |
| ვანი | 24 | 3 | 4 | 17 | 26:56 | 13 |

## ჩეხეთი

მე-20 ტური. ტეპლიცე — ბუდეიოვიცე 3:0; დუკლა — სპარტა 1:3; ვიკტორია — ბანიკი 3:1; იაბლონეცი — ბრნო 0:0; ოპავა — ბოჰემიანსი 0:0; სლავია — ბლშანი 2:1; დრნოვიცე — ჰ. კრალოვე 1:0; სიგმა — ლიბერეცი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 20 | 16 | 4 | 0 | 35:9 | 52 |
| სპარტა | 20 | 14 | 4 | 2 | 51:18 | 46 |
| დრნოვიცე | 20 | 11 | 3 | 6 | 28:19 | 36 |
| ბოჰემიანსი | 20 | 7 | 8 | 5 | 18:17 | 29 |
| ტეპლიცე | 20 | 7 | 6 | 7 | 28:29 | 27 |
| ბუდეიოვიცე | 20 | 8 | 3 | 9 | 25:28 | 27 |
| ბლშანი | 20 | 7 | 4 | 9 | 21:33 | 25 |
| ბანიკი | 20 | 6 | 6 | 8 | 28:30 | 24 |
| დუკლა | 20 | 6 | 6 | 8 | 21:27 | 24 |
| ბრნო | 20 | 6 | 5 | 9 | 21:23 | 23 |
| სიგმა | 20 | 4 | 11 | 5 | 24:27 | 23 |
| ლიბერეცი | 20 | 5 | 8 | 7 | 13:16 | 23 |
| ოპავა | 20 | 5 | 6 | 9 | 24:26 | 21 |
| ვიკტორია | 20 | 5 | 6 | 9 | 28:36 | 21 |
| იაბლონეცი | 20 | 4 | 5 | 11 | 15:31 | 17 |
| ჰ. კრალოვე | 20 | 3 | 7 | 10 | 17:28 | 16 |

## ავსტრია

24-ე ტური. შტურმი — გრაცერი 6:1; ავსტრია — ლუსტენაუ 1:0; რიდი — ტიროლი 1:2; ზალცბურგი — ლინცერი 1:2; ბრეგენცი — რაპიდი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 24 | 14 | 4 | 6 | 39:19 | 46 |
| ტიროლი | 23 | 14 | 4 | 5 | 35:20 | 46 |
| შტურმი | 24 | 12 | 7 | 5 | 45:20 | 43 |
| რიდი | 24 | 10 | 6 | 8 | 36:25 | 36 |
| ავსტრია | 24 | 10 | 6 | 8 | 31:28 | 36 |
| გრაცერი | 24 | 10 | 4 | 10 | 30:33 | 34 |
| ზალცბურგი | 24 | 8 | 8 | 8 | 24:24 | 32 |
| ლინცერი | 24 | 6 | 5 | 13 | 25:36 | 23 |
| ლუსტენაუ | 23 | 4 | 5 | 14 | 16:40 | 17 |
| ბრეგენცი | 24 | 4 | 5 | 15 | 16:52 | 17 |

## პორტუგალია

XXV ტური

**ალვერკა 1:1 მარიტიმუ**

1:0 მილინკოვიჩი (5), 1:1 მარიანო (90)

**ბოავიშტა 1:1 ბენფიკა**

0:1 კანდაუროვი (29), 1:1 მაგალაეში (90)

**კამპომაიორენსე 2:0 ლეირია**

1:0 ბეკე (43), 2:0 კონსტანტინუ (55)

**ფარენსე 0:0 სეტუბალი**

**ჟილ ვისენტე 2:0 სალგეირუში**

1:0 კუნია (54), 2:0 ფიგუიერო (90)

**რიუ ავე 3:0 ბელენენსეში**

1:0 რამოსი (20), 2:0, 3:0 კონტრაუ (45, 88)

**პორტუ 2:1 გიმარაეში**

1:0 დომინგუში (57), 2:0 ჟარდელი (77), 2:1 ედმილსონი (90)

**ბრაგა 0:2 სპორტინგი**

0:1 აევუ (75), 0:2 პრატესი (90)

**ამადორა — სანტა კლარა**

წუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 25 | 17 | 6 | 2 | 49:14 | 57 |
| სპორტინგი | 25 | 16 | 7 | 2 | 42:19 | 55 |
| ბენფიკა | 25 | 15 | 6 | 4 | 39:20 | 51 |
| გიმარაეში | 25 | 13 | 4 | 8 | 38:26 | 43 |
| ჟილ ვისენტე | 25 | 10 | 7 | 8 | 33:27 | 37 |
| მარიტიმუ | 25 | 9 | 9 | 7 | 28:25 | 36 |
| ბოავიშტა | 25 | 10 | 6 | 9 | 24:22 | 36 |
| ამადორა | 24 | 7 | 11 | 6 | 27:24 | 32 |
| ალვერკა | 25 | 8 | 7 | 10 | 27:34 | 31 |
| ბელენენსეში | 25 | 6 | 12 | 7 | 27:28 | 30 |
| რიუ ავე | 25 | 7 | 7 | 11 | 28:35 | 28 |
| კამპომაიორენსე | 25 | 7 | 7 | 11 | 23:33 | 28 |
| ბრაგა | 25 | 8 | 3 | 14 | 29:35 | 27 |
| ლეირია | 25 | 6 | 8 | 11 | 23:28 | 26 |
| სალგეირუში | 25 | 7 | 5 | 13 | 20:32 | 26 |
| ფარენსე | 25 | 5 | 9 | 11 | 22:47 | 24 |
| სანტა კლარა | 24 | 5 | 8 | 11 | 24:33 | 23 |
| სეტუბალი | 25 | 4 | 6 | 15 | 17:38 | 18 |

## შოტლანდია

გადადებული მატჩი

**სელტიკი 4:1 სენტ ჯონსტონი**

1:0 ბერჩილი (17), 1:1 კონოლი (34), 2:1, 3:1 ვიდუკა (65, 68), 4:1 ბერჩილი (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 24 | 18 | 5 | 1 | 65:18 | 59 |
| სელტიკი | 25 | 16 | 2 | 7 | 70:26 | 50 |
| მოზერუელი | 24 | 9 | 8 | 7 | 33:41 | 35 |
| ჰართსი | 23 | 9 | 6 | 8 | 34:30 | 33 |
| დანდი იუნ. | 23 | 9 | 4 | 10 | 25:36 | 31 |
| ჰიბერნიანი | 25 | 7 | 9 | 9 | 36:43 | 30 |
| სტ. ჯონსტონი | 25 | 7 | 8 | 10 | 25:31 | 29 |
| დანდი | 25 | 7 | 3 | 15 | 30:51 | 24 |
| აბერდინი | 24 | 6 | 4 | 14 | 30:64 | 22 |
| კილმარნოკი | 24 | 3 | 11 | 10 | 25:33 | 20 |

### თასის მეოთხედფინალი

***დანდი იუნ.* 0:1 *აბერდინი***

0:1 ეონ ჯესი (83)

***რეინჯერსი* 4:1 ჰართსი**

1:0 ბ. ფერგიუსონი (11), 2:0 ნუმანი (15), 2:1 კ. კამერონი (333), 3:1 ლ. ამორუზო (68), 4:1 დოდსი (793)

***ეირი* 2:0 პარტიკ თისტლი**

1:0 ნ. დაფი (25), 2:0 ტარანტი (50)

***ჰიბერნიანი* 3:1 ფალკირკი**

1:0 ლატაპი (25), 1:1 ლოური (32), 2:1 ლატაპი (433), 3:1 მაკგინლი (90)

### ნახევარფინალის წილისყრა

ჰიბერნიანი — აბერდინი; ეირი — რეინჯერსი

მატჩები გაიმართება 8-9 აპრილს

## პოლონეთი

მე-17 ტური. რაძიონკოვი — პოლონია 0:2; გროცლინი — სტომილი 3:2; პოგონი — ლეხი 4:3; ლეგია — გურნიკი 0:0; ოდრა — ლკს 2:0; პლოცკი — ვისლა 1:1; ვიძევი — რუხი 1:0; ამიცა — ზაგლებე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონია | 17 | 10 | 4 | 3 | 26:17 | 34 |
| რუხი | 17 | 9 | 6 | 2 | 31:14 | 33 |
| ვისლა | 17 | 8 | 6 | 3 | 30:19 | 30 |
| პოგონი | 17 | 8 | 6 | 3 | 28:22 | 30 |
| ლეგია | 17 | 6 | 10 | 1 | 31:18 | 28 |
| ამიცა | 17 | 6 | 8 | 3 | 28:21 | 26 |
| ზაგლებე | 17 | 6 | 6 | 5 | 15:17 | 24 |
| სტომილი | 17 | 6 | 6 | 5 | 20:25 | 24 |
| გურნიკი | 17 | 4 | 8 | 5 | 27:22 | 20 |
| პლოცკი | 17 | 5 | 5 | 7 | 20:25 | 20 |
| ოდრა | 17 | 5 | 4 | 8 | 20:23 | 19 |
| ვიძევი | 17 | 4 | 6 | 7 | 22:27 | 18 |
| რაძიონკოვი | 17 | 5 | 3 | 9 | 15:27 | 18 |
| ლკს | 17 | 3 | 7 | 7 | 14:18 | 16 |
| ლეხი | 17 | 3 | 5 | 9 | 23:32 | 14 |
| გროცლინი | 17 | 2 | 2 | 13 | 12:33 | 8 |

## საფრანგეთი

XXVIII ტური

**ლანსი 0:1 ტრუა**

0:1 საიფი (77)

**ნანსი 1:0 ლიონი**

1:0 ზე ალჩინო (69)

**ოსერი 0:2 მონაკო**

0:1 ლეონარი (49), 0:2 გალიარდო (64)

**სედანი 1:1 პსჟ**

1:0 მიონე (44), 1:1 კრისტიანი (60)

**მარსელი 0:2 ბორდო**

0:1 დიუგარი (20), 0:2 ლასლანდი (84)

**ბასტია 1:0 მონპელიე**

1:0 დაიე (90)

**ნანტი 3:1 სტრასბური**

1:0 კარიერი (11), 2:0 სიბიერსკი (45), 2:1 ჰემდანი (76), 3:1 მეჰდი ლერუა (81)

**ლე ავრი 1:0 მეცი**

1:0 დენიო (37)

**სენტ ეტიენი 1:0 რენი**

1:0 პოტილიონი (53)

ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე მარსელის „ოლიმპიკი" საშინაო ჩემპიონატში წარმატებებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. ერთ დროს სახელოვანი გუნდი ცხრილის ქვედა საფეხურებზე იმყოფება, მეტიც, გასავარდნი ზონიდან მხოლოდ ქულა აშორებს.

მორიგ ტურში მასრელელებმა ამჟამინდელ ჩემპიონ „ბორდოს" უმასპინძლეს, გუნდს, რომელიც „ოლიმპიკის" მსგავსად ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობს, მაგრამ ჯგუფიდან გასვლის შანსი უკვე დაკარგა. „ველოდრომზე" ჩემპიონატის 39 შეხვედრიდან „ბორდოს" მხოლოდ ერთხელ მოეგო, შაბათს კი მეორედ გაიმარჯვა. ექსმარსელელი კრისტოფ დიუგარისა და ლილიან ლასლანდის ორმა გოლმა სტუმრებს მეტად საჭირო მოგება მოუპოვა.

„ბორდოს" ვერაფერი მოვუხერხეთ, მათ აშკარად გვაჯობეს. თუმცა ისიც გავიხსენოთ, რომ „ოლიმპიკს" ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შემდეგ ძალების აღსადგენად მხოლოდ სამი დღე ჰქონდა" — განაცხადა „ოლიმპიკის" დირექტორმა ერიკ დი მეკომ და დასძინა — მარცხის მიუხედავად, ფარხმალის დაყრას არ ვაპირებთ, ისლა დაგვრჩენია, ვიბრძოლოთ და კრიზისს თავი დავაღწიოთ".

კრისტოფ დიუგარიმ 55 ათასი გულშემატკივრის თვალწინ თავის ყოფილ სტადიონზე ყოფილ გუნდს გაუტანა — მე-20 წუთზე ლილიან ლასლანდის ჩაწოდებული ბურთი თავით „მარსელის" კარში გადაგზავნა. 84-ე წუთზე კი საგოლე პასის ავტორმა ლასლანდმა გამოიჩინა თავი და საბოლოოდ „ბორდომ" 2:0 მოიგო.

თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის ჩემპიონატში ტურის ორ დღედ დაყოფა ტრადიციად იქცა. გამონაკლისი არც საფრანგეთი გახლდათ, შაბათს ექვსი, ხოლო კვირას სამი შეხვედრა გაიმართა. კვირადღის ყველაზე საინტერესო მატჩი ოსერში ჩატარდა იქაურ „ოსერსა" და გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ „მონაკოს" შორის. უეფას თასზე „მალიორკასგან" ძლეულმა „მონაკომ" მთელი ჯავრი „ოსერზე" იყარა, სტუმრად 2:0 დაამარცხა და გათამაშების ცხრილში 13-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიში „მონაკოს" ბელგიელმა მცველმა ფილიპ ლეონარმა გახსნა, 64-ე წუთზე არგენტინელმა მარსელო გალიარდომ კი ორამდე გაზარდა. საბოლოოდ „მონაკომ" გაიმარჯვა 2:0.

მატჩის შედეგით კმაყოფილმა „მონაკოს" თავკაცმა კლოდ პიუელმა განაცხადა: „ლამაზად ვითამაშეთ და კიდეც მოვიგეთ. უეფას თასზე განცდილი მარცხის შემდეგ წარმატება ნამდვილად გვჭირდებოდა, გუნდს თავისი ძალების უნდა ერწმუნა".

„ოსერის" თავდამსხმელი სტივ მარლე ამბობს: „მონაკო" მართლაც დიდებული გუნდია, იგი წლეულს სრულიად დამსახურებულად გახდება ჩემპიონი. ამაში ეჭვი, ალბათ, აღარავის ეპარება, დღევანდელმა მატჩმა ამ კლუბის სიძლიერე კიდევ ერთხელ დაადასტურა".

უეფას თასის მეოთხედფინალში მოხვედრილი „ლანსი" კი საკმაოდ მოულოდნელად შინ აუტსაიდერ „ტრუასთან" დამარცხდა 0:1. თუმცა გუნდის მთელი ყურადღება უეფას თასისკენაა მიპყრობილი, სადაც ვიგოს „სელტასთან" დაპირისპირება ელის.



REUTERS მარსელიდან

მარსელი — ბორდო 0:2. კოჯო აფანუ (მარჯვნივ) და სირილ პუჟე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 28 | 18 | 4 | 6 | 56:25 | 58 |
| ლიონი | 28 | 13 | 6 | 9 | 35:35 | 45 |
| პსჟ | 28 | 12 | 8 | 8 | 40:34 | 44 |
| სედანი | 28 | 12 | 7 | 9 | 38:36 | 43 |
| ოსერი | 28 | 12 | 6 | 10 | 30:30 | 42 |
| ბორდო | 28 | 11 | 8 | 9 | 42:35 | 41 |
| ბასტია | 28 | 10 | 10 | 8 | 35:30 | 40 |
| სენტ ეტიენი | 28 | 11 | 6 | 11 | 39:42 | 39 |
| ლანსი | 28 | 10 | 7 | 11 | 31:30 | 37 |
| რენი | 28 | 10 | 7 | 11 | 36:36 | 37 |
| მეცი | 28 | 7 | 15 | 6 | 32:27 | 36 |
| სტრასბური | 28 | 10 | 6 | 12 | 34:44 | 36 |
| ნანტი | 28 | 10 | 5 | 13 | 35:35 | 35 |
| მარსელი | 28 | 8 | 11 | 9 | 34:34 | 35 |
| ნანსი | 28 | 9 | 7 | 12 | 32:35 | 34 |
| ლე ავრი | 28 | 9 | 7 | 12 | 27:39 | 34 |
| ტრუა | 28 | 10 | 2 | 16 | 27:45 | 32 |
| მონპელიე | 28 | 5 | 8 | 15 | 30:41 | 23 |

### მეორე დივიზიონი

29-ე ტური. ლორიანი — კრეტეი 3:0; ლილი — კაენი 3:2; ამიენი — ლე მანი 2:0; გენგამი — ნიორი 1:1; ნიცა — ლუანი 2:0; ნიმი — ტულუზი 3:0; სოშო — კანი 1:0; ლავალი — ვასკეალი 0:1; გენიონი — ვალანსი 0:0; აიაჩო — შატორუ 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 29 | 21 | 4 | 4 | 43:18 | 67 |
| გენგამი | 29 | 14 | 9 | 6 | 51:35 | 51 |
| ტულუზი | 29 | 14 | 6 | 9 | 41:24 | 48 |
| აიაჩო | 29 | 13 | 5 | 11 | 29:29 | 44 |
| ლავალი | 29 | 11 | 10 | 8 | 32:28 | 43 |
| ლე მანი | 29 | 10 | 12 | 7 | 35:32 | 42 |
| სოშო | 29 | 12 | 6 | 11 | 35:34 | 42 |
| კაენი | 28 | 9 | 13 | 6 | 35:24 | 40 |
| ლორიანი | 29 | 11 | 7 | 11 | 28:28 | 40 |
| ნიმი | 29 | 10 | 9 | 10 | 36:32 | 39 |
| გენიონი | 28 | 7 | 15 | 6 | 31:26 | 36 |
| კანი | 29 | 8 | 11 | 10 | 22:26 | 35 |
| ამიენი | 29 | 7 | 13 | 9 | 28:30 | 34 |
| შატორუ | 29 | 8 | 10 | 11 | 29:34 | 34 |
| ნიცა | 29 | 6 | 16 | 7 | 20:26 | 34 |
| კრეტეი | 29 | 8 | 9 | 12 | 26:36 | 33 |
| ნიორი | 29 | 6 | 13 | 10 | 26:34 | 31 |
| ვასკეალი | 29 | 6 | 11 | 12 | 23:34 | 29 |
| ლუანი | 29 | 5 | 8 | 16 | 22:46 | 23 |
| ვალანსი | 29 | 3 | 13 | 13 | 24:40 | 22 |

## საბერძნეთი

23-ე ტური. პრუდეფტიკი — პანაჰაიკი 2:2; ირაკლისი — პანათინაიკოსი 1:3; პანიონიოსი — ქსანტი 4:0; პანილიაკოსი — პაოკ 0:4; ოლიმპიაკოსი — აეკ 3:0; კავალა — არისი 1:0; იონიკოსი — ტრიკალა 5:1; კალამატა — ეთნიკოსი 1:0; აპოლონი — ოფი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 23 | 21 | 0 | 2 | 65:14 | 63 |
| პანათინაიკოსი | 23 | 19 | 3 | 1 | 59:15 | 60 |
| ოფი | 23 | 14 | 6 | 3 | 39:26 | 48 |
| არისი | 23 | 11 | 5 | 7 | 33:25 | 38 |
| აეკ | 23 | 11 | 4 | 8 | 38:30 | 37 |
| ირაკლისი | 23 | 11 | 3 | 9 | 40:38 | 36 |
| პაოკ | 23 | 9 | 8 | 6 | 40:28 | 35 |
| პანიონიოსი | 23 | 11 | 1 | 11 | 37:42 | 34 |
| ქსანტი | 23 | 8 | 8 | 7 | 24:28 | 32 |
| იონიკოსი | 23 | 7 | 10 | 6 | 29:26 | 31 |
| პანილიაკოსი | 23 | 8 | 4 | 11 | 28:30 | 28 |
| ეთნიკოსი | 23 | 7 | 3 | 13 | 19:34 | 24 |
| კავალა | 23 | 6 | 4 | 13 | 22:41 | 22 |
| კალამატა | 23 | 5 | 7 | 11 | 22:41 | 22 |
| პანაჰაიკი | 23 | 4 | 8 | 11 | 23:34 | 20 |
| პრუდეფტიკი | 23 | 3 | 7 | 13 | 16:35 | 16 |
| ტრიკალა | 23 | 4 | 4 | 15 | 20:47 | 16 |
| აპოლონი | 23 | 3 | 5 | 15 | 16:36 | 14 |

LEVON TRAVEL

ლევონ თრეველი გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის ფინალზე დასწრებას

- გაატარეთ 6 დაუვიწყარი დღე პარიზში, 20-26 მაისს.
- ცხოვრება სამვარსკვლავიან სასტუმროში საუზმით, ექსკურსია პარიზსა და მის შემოგარენში, ავია და მატჩზე დასასწრები
- ბილეთები, დახვედრა-გაცილება.
- საგზურის ღირებულება 1190 აშშ. დოლარის ექვივალენტი ლარებში. საბუთების შემოტანის ბოლო ვადაა 29 მარტი.

ადგილები შეზღუდულია

მის: ჭავჭავაძის გამ. 20, ტელ. 25 00 10/25 00 60, მობ. 8 99 53 78 45

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ჰოლანდია

XXV ტური

**პსვ 2:1 უტრეხტი**
1:0 ბოუმა (34), 1:1 ვან დერ ჰააგი (74), 2:1 ბოუმა (82)

**მაასტრიხტი 0:2 გრააფსხაპი**
0:1 აქსი (19), 0:2 ვისკაალი (66)

**ტილბურგი 2:3 ჰერენვენი**
0:1 ლურლინგი (12), 0:2 ტალანი (56), 1:2, 2:2 სეკტიუ (70პ, 77), 2:3 ლურლინგი (85)

**ტვენტე 1:0 კამბური**
1:0 დე ვიტე (23)

**როდა 4:1 სპარტა**
1:0 ვან დერ მეერი (11ს.კ.), 1:1 ა. ნილსენი (16), 2:1 ჩუტანგი (24), 3:1, 4:1 ვან ჰუდტი (65, 87)

**ფეიენოორდი 3:0 დენ ბოსხი**
1:0 ხულიო კრუზი (21), 2:0, 3:0 დალ ტომასონი (68, 77)

**ნაიმეგენი 1:2 სიტარდი**
1:0 რენფურმი (45), 1:1 ამოა (65), 1:2 როესტი (86)

**ალკმარი 4:0 ვალვაიკი**
1:0 რიკსენი (21), 2:0 ჰიუბერტსი (36), 3:0 ფერტუტი (81), 4:0 ფ. ერნანდესი (90)

გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა პსვ-მ ცხრილის შუაადგილოსან „უტრეხტს“ უმასპინძლა და ვილფრედ ბოუმას დუბლის წყალობით 2:1 დაამარცხა. უახლოეს მდევრებს — „ფეიენოორდსა“ და „ტვენტეს“ ეინდჰოვენური კლუბი კვლავ 10 ქულით უსწრებს და დარჩენილ 9 ტურში უპირატესობას ალბათ აღარც დათმობს.

„უტრეხტთან“ მატჩში პსვ-ს საკმაოდ სერიოზული დანაკლისი ჰქონდა. შემტევმა დუეტმა — რუუდ ვან ნისტელროიმ და ლუკ ნილისმა ტრავმის გამო ვერ ითამაშეს, თუმცა მათ არყოფნაში ვილფრედ ბოუმამ იყოჩაღა და დუბლი გაახერხა.

სტუმრებმა მატჩი ენერგიულად დაიწყეს და რონალდ ვატერეუსის კარს პირველივე წუთებიდან შეუტიეს. შეგახსენებთ, რომ გუნდს ცოტა ხნის წინ ახალი თავკაცი დაენიშნა, ფრანს ადელაარი, რომელმაც მარკ ვოტე შეცვალა.

„უტრეხტის“ აქტიურობა მალე თვალსა და ხელს შუა გაქრა და ინიციატივას პსვ დაეუფლა. 34-ე წუთზე იონას კოლკამ და ვილფრედ ბოუმამ ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც ბოუმას ზუსტი დარტყმით დაგვირგვინდა. აღსანიშნავია, რომ ლუკ ნილისის ნაცვლად სასტარტო შემადგენლობაში გამოჩენილი ბოუმა საკმაოდ აქტიურობდა და მეტოქე მცველებს ხშირად აწიოკებდა.

74-ე წუთზე „უტრეხტმა“ გათანაბრება მოახერხა — პსვ-ს ყოფილმა მცველმა ვან დერ ჰააგმა ზუსტი თავური დარტყმით წონასწორობა აღადგინა — თუმცა ანგარიში მაინც ვერ შეინარჩუნა და ბოუმასგან მეორე გოლიც გაუშვა. დუბლის ავტორს მეტი აღარ დასცალდა, მატჩის მიწურულს დაშავდა და შეცვალეს.

ჩემპიონობის ტიტულის კიდევ ერთმა მაძიებელმა და პსვ-ს დაუძინებელმა მტერმა „ფეიენოორდმა“ აუტსაიდერ „დენ ბოსხს“ უმასპინძლა და 3:0 დაამარცხა. ლეო ბეენჰაკერმა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა, რადგან როტერდამულ გუნდს დღეს ჩემპიონთა ლიგის პრინციპული მატჩი ელის.

21-ე წუთზე ანგარიში ხულიო კრუზმა გახსნა, რასაც იონ დალ ტომასონმა კიდევ ორი გოლი მიაყოლა და შეხვედრის საბოლოო შედეგი — 3:0 დააფიქსირა.

ლიდერთა შორის გამოჩნდა „ტვენტეც“, რომელმაც „კამბური“ დაამარცხა 1:0. ჰოლანდიური ფეხბურთის კიდევ ერთი გრანდი „აიაქსი“ კი მეხუთე ადგილზეა, თუმც აღსანიშნავია, რომ ამსტერდამელებმა ორი მატჩით ნაკლები ჩაატარეს და გამოტოვებული შეხვედრების მოგების შემთხვევაში მეორე ადგილზე მყარად დამკვიდრდებიან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 25 | 19 | 2 | 4 | 75:21 | 59 |
| ფეიენოორდი | 25 | 14 | 7 | 4 | 49:29 | 49 |
| ტვენტე | 25 | 13 | 10 | 2 | 41:21 | 49 |
| ჰერენვენი | 25 | 15 | 3 | 7 | 47:29 | 48 |
| აიაქსი | 23 | 14 | 5 | 4 | 56:32 | 47 |
| ალკმარი | 26 | 14 | 4 | 8 | 56:41 | 46 |
| ვიტესი | 25 | 12 | 8 | 5 | 48:36 | 44 |
| როდა | 25 | 12 | 4 | 9 | 43:35 | 40 |
| ტილბურგი | 25 | 11 | 5 | 9 | 41:46 | 38 |
| უტრეხტი | 25 | 10 | 3 | 12 | 41:46 | 33 |
| ვალვაიკი | 25 | 10 | 3 | 12 | 34:50 | 33 |
| სპარტა | 25 | 9 | 3 | 13 | 36:51 | 30 |
| გრააფსხაპი | 25 | 6 | 8 | 11 | 32:38 | 26 |
| სიტარდი | 24 | 5 | 7 | 12 | 31:39 | 22 |
| ნაიმეგენი | 25 | 5 | 4 | 16 | 29:48 | 19 |
| მაასტრიხტი | 25 | 4 | 6 | 15 | 31:54 | 18 |
| კამბური | 25 | 2 | 6 | 17 | 20:52 | 12 |
| დენ ბოსხი | 25 | 2 | 6 | 17 | 22:64 | 12 |




პსვ — უტრეხტი 2:1. უტრეხტელი ცვანცეიკი და ეინდჰოვენელი ვილფრედ ბოუმა (უკან)

# ბერნაბეუზე უკალაძეოდ

CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი. V ტური

### C ჯგუფი

**რეალი — დინამო**

მადრიდელებს ძვირად ნაყიდმა ფრანგმა თავდამსხმელმა, ნიკოლა ანელკამ შეურაცხყოფა მიაყენა, ვარჯიში გაუცდინა და თავადაც მორიგ სკანდალში გაეხვა, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის — „რეალი“ კიევის „დინამოსთან“ დღევანდელი მატჩისთვის ემზადება.

ეს მატჩი ესპანელთათვის გადამწყვეტია, აუცილებლად უნდა მოიგონ. ჯგუფს ხომ „ბაიერნი“ ლიდერობს, რომელსაც 10 ქულა აქვს, ხოლო „რეალს“ და „დინამოს“ ექვს-ექვსი. ბოლოში ერთადერთქულიანი „რუსენბორგია“.

„რეალისა“ და „დინამოს“ შარშანდელი, მეოთხედფინალური ამბავი თუ გახსოვთ, იოლად წარმოიდგენთ შურისძიების როგორი გრძნობით ანთებულნი ელიან მადრიდელი ფანები, კლუბის ხელმძღვანელები და თავად მოთამაშეები უკრაინელ სტუმრებს. ერთი წლის წინ „დინამომ“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 1:1 ითამაშა, ხოლო შინ 2:0 სძლია ჩემპიონთა თასის შვიდგზის მფლობელს.

კაცმა რომ თქვას „რეალმა“ ნაწილობრივ უკვე იძია კიდეც შური. მიმდინარე გათამაშების პირველ შეხვედრაში მან კიევში 2:1 გაიმარჯვა, მაგრამ, აკი მოგახსენეთ, რომ ახლა საქმე მეოთხედფინალში გასვლაზე დგას.

მასპინძელთა მწვრთნელი, ვისენტე დელ ბოსკე დღევანდელ დაპირისპირებას ოპტიმისტურად უყურებს. იგი დარწმუნებულია, რომ ზუსტად იგივე შემადგენლობა, რომელმაც წინა ორ ტურში „ბაიერნისგან“ მარცხი იწვნია, ახლა გაიმარჯვებს და საკუთარი ძლიერების რწმენას აღიდგენს.

რამ შეიძლება შეუშალოს მოედანზე იმავე შემადგენლობის გაყვანაში დელ ბოსკეს ხელი? კამერუნელი ჯერემი ნჯიტაპის მარჯვენა კოჭმა, რომელიც შაბათს, „სევილიასთან“ შეხვედრაში იტკინა? არა, რადგან კლუბის ექიმები ირწმუნებიან, რომ უკრაინელებთან თამაშისთვის აფრიკელი ჯანმრთელი იქნება.

და მაინც, თუ ჯერემი ფეხის ტკივილს ვერ დაიამებს, ვინ შეავსებს მის ნაცვლად თერთმეტ კაცს? აქ დელ ბოსკეს დაფიქრება მართებს — სტივ მაკმანამანსა და მანუელ სანჩისს შორის აქვს ასარჩევი.

ივან ელგერას, რომელმაც კვლავ და კვლავ სევილიელებთან შეხვედრაში ფეხი დაიზიანა, არაფერი უჭირს. მოკლედ, როგორც ჩანს, „რეალს“ მოედანზე მართლაც არ ექნება ცვლილება. აი, სათადარიგოთა სკამზე კი სიახლეებია მოსალოდნელი და ეს ანელკას საქციელთან იქნება დაკავშირებული. ფრანგის ნაცვლად იქ დავიდ აგანსო დაიკავებს ადგილს, მით უფრო, რომ მან შაბათს „სევილიასთან“ ცოტა ხნით უკვე მოსინჯა ძალა.

რაც შეეხება კიეველებს, მათ ხუთი ფეხბურთელი აკლიათ, რომელთა შორის გახლავან ცენტრალური მცველი ვლადისლავ ვაშჩუკი, განაპირა მცველი ვიტალი კოსოვსკი და ერთი შეხვედრით დისკვალიფიცირებული კახა კალაძე. წინა ტურში, „რუსენბორგის“ წინააღმდეგ თამაშის დროს აქილევსის მყეს დაზიანებული ალექსანდრ გოლოვკო, ალბათ, მოედანზე დაბრუნებას შეძლებს. ყოველ შემთხვევაში, სერგეი ფიოდოროვი მის შესაცვლელად მზად არის. კითხვის ნიშნის ქვეშ გახლავთ მარცხენა მცველის, იური დმიტრულინის თამაშიც.

გაფრთხილებულნი
რეალი: ჟულიო სეზარი (2), გუტი, ივან ელგერა, იერო, ივან კამპო, კარანკა, კარემბუ, რობერტო კარლოსი
დინამო: კოსოვსკი (2), შაცკიხი (2), გერასიმენკო, გოლოვკო, გუსინი, იაშკინი, კარდაში, ხაცკევიჩი, კორმილცევი, რებროვი, ვაშჩუკი

დისკვალიფიცირებულნი
რეალი: არავინ
დინამო: კალაძე (1 მატჩი)

**ბაიერნი — რუსენბორგი**

„ჩვენ მხოლოდ მეოთხედფინალში გასვლა არ გვყოფნის, აუცილებელია ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავოთ, რათა იმავ მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრა შინ ჩავატაროთ“ — აცხადებს „ბაიერნის“ მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი.

და „რუსენბორგს“ რაღა სურს? მას ხომ პლეი-ოფის სტადიაზე მოხვედრის შანსი აღარ აქვს. ნორვეგიელებს, ალბათ, ამოცანად ბოლო ადგილისთვის თავის დაღწევა და ეროვნული ჩემპიონატისთვის მომზადება აქვთ დასახული.

მოსალოდნელია, რომ ჰიცფელდი კაპიტან შტეფან ეფენბერგსა და მცველ ბიქსენტ ლიზარაზუს დაასვენებს, ხოლო ბავარიელთა დაცვის წინამძღოლობას ლოთარ მათეუსის ამერიკაში გადაბარგების შემდეგ შვედი პატრიკ ანდერსონი გასწევს.

ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია დაუსრულდა იენს იერემისს, რომელსაც, სავარაუდოდ, ჰიცფელდი ეფენბერგის ფუნქციის შესრულებას დააკისრებს. „გერმანელთა თავდასხმაში კარსტენ იანკერის, პაულო სერჟიოსა და მეჰმეთ შოლის ტრიოს გამოჩენაა მოსალოდნელი.

გაფრთხილებულნი
ბაიერნი: ბაბელი (2), შოლი (2), ეფენბერგი, ელბერი, კუფური, იანკერი, შტრუნცი, ტარნატი
რუსენბორგი: ბრაგსტადი (2), მინი-იაკობსენი (2), ო. ბერგი, კარეუ, იამტფალი, სორენსენი

დისკვალიფიცირებულნი
ბაიერნი: არავინ
რუსენბორგი: არავინ



REUTERS

ჯანლუკა ვიალის დაშავებული არავინ ჰყავს და მეოთხედფინალში ვადამდე გასვლას გეგმავს

### D ჯგუფი

**ფეიენოორდი — ჩელსი**

ამ წყვილში გამარჯვებული მეოთხედფინალში გადის. ფრე ან წაგება როგორც როტერდამელთა, ასევე ლონდონელთა ბედს შემდეგ ეტაპზე გასვლისა და ჯგუფში ჩარჩენის სასწორზე შეაგდებს. კიდევ, „ფეიენოორდი“, ალბათ, პირველ შეხვედრაში ნაწნევი 1:3-ისთვის შურისძიებასა და თან შინ დაუმარცხებელი სვლის განვრცობას შეეცდება.

როტერდამელთა მწვრთნელი ლეო ბეენჰაკერი: „იმედი მაქვს, რომ ბონავენტურე კალუ თამაშისთვის გამოჯანმრთელებული იქნება. იგი და ჩვენი ექიმები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა ეს ასეც მოხდეს.“

მოგეხსენებათ, კალუ „ფეიენოორდის“ თავდამსხმელია.

ბეენჰაკერი 4-4-2 განლაგებას მიმართავს, მცველი, ულრიხ ვან გობელი კი ლონდონელებს პირველ შეხვედრასთან შედარებით გაცილებით ხისტ ფეხბურთს ჰპირდება:

„იმ დროისგან განსხვავებით ჩვენ სხვანაირ ფეხბურთს ვთამაშობთ. გუნდური სულისკვეთება შეცვლილია და ფეხბურთელები მოედანზე გაცილებით მეტ სამუშაოს ვასრულებთ.“

„ბოლო ორი კვირის განმავლობაში, „მარსელთან“ და „ლაციოსთან“ გამართულ შეხვედრებში ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ძალიან ორგანიზებულად ვიცავთ თავს და ინდივიდუალურ თვისებათა წყალობით შეტევაშიც მწვავედ შეგვიძლია თამაში“ — დასძენს მეორე მცველი კის ვან ვონდერენი.

რაც შეეხება „ჩელსის“, იგი „მარსელთან“ 1:0 გამარჯვების წყალობით ჯგუფში პირველ ადგილზეა, ხოლო ინგლისის პრემიერლიგაში, „ევერტონთან“ 1:1 ნათამაშევ შეხვედრაში ტრავმირებული არავინ შემატებია.

მოსალოდნელია, რომ „ევერტონთან“ ჩატარებული შეხვედრისგან განსხვავებით, „ფეიენოორდის“ წინააღმდეგ ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონები, მარსელ დესაი და დიდიე დეშამპი ითამაშებენ.

ლონდონელთა მთავარი საწუხარი კი თავდამსხმელთა დაბალი შედეგიანობა გახლავთ. მაგალითად, კრის სატონმა „ბლექბერნიდან“ 10 მილიონ გირვანქად გადასვლის შემდეგ, 22 შეხვედრაში მხოლოდ სამი გოლი გაიტანა, ხოლო ჯანფრანკო ძოლამ იგივე 31 თამაშში შეძლო.

ერთადერთი, ვინც ბოლოხანს „ჩელსის“ მეტოქეთა კარს ლაშქრავს, დენის უაიზია.

გაფრთხილებულნი
ფეიენოორდი: დე ვისერი (2), კალუ (2), პაუვე (2), ვან გასტელი (2), ხულიო კრუზი, დე ჰაანი, დუდეკი, კონტერმანი, კორნეევი, ვან გობელი, ვან ვონდერენი, ვან ფოსენი
ჩელსი: ფერერი (2), ლებეფი (2), ბაბაიარო, დესაი, დეშამპი, უაიზი, ძოლა

დისკვალიფიცირებულნი
ფეიენოორდი: არავინ
ჩელსი: არავინ

**ლაციო — მარსელი**

რომაელებს, რომლებიც სეზონის დაწყებამდე შეჯიბრების ფავორიტებად იყვნენ შერაცხულნი, გადამწყვეტი პერიოდი უდგათ. სვენ გორან ერიკსონის გუნდმა ორივე დარჩენილი შეხვედრა უნდა მოიგოს, რათა მეოთხედფინალში გააღწიოს.

„ლაციომ“, მოგეხსენებათ, იტალიის პირველობის ბოლო ტურში შინ „ინტერთან“ 2:2 ითამაშა.

„ამ სეზონში ასე კარგად ჯერ არ გვითამაშია — იმედიანად განაცხადა ერიკსონმა — მეტოქის მეორე გოლს ძალიან სწრაფად ვუპასუხეთ და, მერწმუნეთ, დრო რომ გვქონოდა, მოვიგებდით კიდეც. რაც შეეხება იმას, თუ მაინც რატომ ვერ მოვიგეთ, ვერ აგიხსნით. „ლაციო“ ხომ ორივე ფრთიდან უტევდა, უტევდა შუიდანაც და კარშიც ძალიან ხშირად არტყამდა.“

„მარსელმა“ კი საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ბორდოსთან“ 0:2 წააგო და მე-14 ადგილზე ჩასრიალდა. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, აქ მას ჯერ კიდევ აქვს მეოთხედფინალში გასვლის თეორიული შანსი.

„ჩვენ იმ გუნდის რეპუტაცია გვაქვს, რომელიც თავს იცავს — ამბობს მარსელელთა მწვრთნელი ბერნარ კაზონი — საფრანგეთის ჩემპიონატში საქმე ცუდად მიგვიდის და ამიტომ მთელი ყურადღება ლიგის დარჩენილი შეხვედრებისკენ უნდა მივმართოთ.“

გაფრთხილებულნი
ლაციო: ნესტა (2), ფერნანდო კოუტუ, ფავალი, ლომბარდო, მარკეჯანი, მიხაილოვიჩი, ნედვედი, ნეგრო, სენსინი, სიმეონე, დ. სტანკოვიჩი
მარსელი: ბერიზო (2), მორისი (2), დალმა, ლუქსენი, პორატო, ფიშერი, პუფე

დისკვალიფიცირებულნი
ლაციო: ვერონი (1 მატჩი)
მარსელი: არავინ

## ბელგია

XXVI ტური

**მეხელენი 0:0 ლოკერენი**

**ჰარელბეკე 1:0 ბეერსხოტი**

1:0 ვან დე ვალე (87)

**შარლერუა 2:3 ბევერენი**

1:0 როხასი (43), 2:0 დ. ბრონო (73), 2:1 ნუპი (80), 2:2 დე ვიუსტი (82), 2:3 ტარაჩულსკი (85)

**ანდერლეხტი 4:1 აალსტი**

1:0 ზეტერბერგი (29), 2:0 კოლერი (33), 2:1 დიმბალა (39), 3:1 ზეტერბერგი (45პ), 4:1 სტოიჩა (91)

**სტანდარდი 3:1 ლიერსი**

0:1 კავენსი (26), 1:1 გუსენსი (38), 2:1 ვან ბუიტენი (50), 3:1 დიასი (93)

**გენკი 1:2 ლომელი**

0:1 მენესი (34), 1:1 ჰენდრიქსი (75), 1:2 ზუაუი (82)

**მუსკრონი 3:1 გეელი**

0:1 დელენი (21), 1:1 დაელემანსი (60ს.კ.), 2:1 ლოური (62), 3:1 ტანგე (63)

**ვესტერლო 3:2 სენტ ტრუიდენი**

0:1 ფიერსი (2პ), 1:1 დე კონინკი (18), 1:2 ფიერსი (58), 2:2 დე კონინკი (70), 3:2 ტ. ბრონო (74პ)

**გენტი 2:0 ბრიუგე**

1:0 დალუმი (32), 2:0 აარსტი (89პ)

ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპის „გენკი" ისევ დამარცხდა. ჩემპიონებმა ამჯერად შინ აუტსაიდერ „ლომელთან" წააგეს. გუნდთან, რომელსაც მიმდინარე სეზონში სტუმრად ჯერ არ მოეგო და „გენკთან" მიღწეული წარმატებით სამმატჩიანი წაგების სერია დაასრულა.

„გენკმა" შეხვედრა საკმაოდ ენერგიულად დაიწყო და პირველ წუთებზე რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა, თუმცა სულ მალე გუნდის მეკარე იშტვან ბროკჰაუზერი მოედნიდან გააძევეს — მან საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა და მსაჯმაც უყოყმანოდ უჩვენა წითელი ბარათი. ამან „გენკი" გატეხა და მასპინძლებმა 34-ე წუთზე გოლი გაუშვეს, საჯარიმოს მისადგომებიდან ზუსტი დარტყმით ვიმ მენესმა „ლომელი" დააწინაურა.

ათი კაცით დარჩენილმა „გენკმა" ანგარიშის გათანაბრება 75-ე წუთზე მოახერხა. შეცვლაზე შესულ ფერენც ჰორვატს ალფ ჰენდრიქსმა მხარი აუბა და „ლომელის" კარი დალაშქრა. თუმც ალი ზუაუიმ ჩემპიონებს ქულის მოპოვების იმედი გადაუწურა, როდესაც ზუსტი დარტყმით მეორედ გაუტანა. საბოლოოდ — 2:1.

გელა შეყილაძის „ლიერსი" სტუმრად „სტანდარდთან" დამარცხდა 1:3. ქართველ ლეგიონერს ამჯერად არ უთამაშია. „სტანდარდმა" კი მორიგი სამი ქულა მიითვალა. გუნდი ბოლო ხანს წარმატებით ასპარეზობს, ცხრილში მეორე ადგილზეა და 10 ქულით ჩამორჩება ლიდერ „ანდერლეხტს", რომელმაც შინ „აალსტს" სძლია 4:1.

იყოჩაღა „გენტმაც", რომელმაც შინ „ბრიუგეს" მოუგო 2:0. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ოლე მარტინ აარსტმა მატჩის მიწურულს გამოიჩინა თავი და მიმდინარე სეზონში თავისი 24-ე ბურთი გაიტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 26 | 19 | 6 | 1 | 71:25 | 63 |
| სტანდარდი | 26 | 17 | 2 | 7 | 60:37 | 53 |
| გენტი | 26 | 16 | 1 | 9 | 63:45 | 49 |
| ბრიუგე | 26 | 14 | 4 | 8 | 54:27 | 46 |
| მუსკრონი | 26 | 14 | 4 | 8 | 56:38 | 46 |
| ლიერსი | 26 | 13 | 5 | 8 | 54:34 | 44 |
| გენკი | 26 | 12 | 6 | 8 | 52:44 | 42 |
| ბეერსხოტი | 26 | 12 | 6 | 8 | 43:37 | 42 |
| ვესტერლო | 26 | 11 | 6 | 9 | 48:57 | 39 |
| ლოკერენი | 26 | 9 | 7 | 10 | 44:50 | 34 |
| მეხელენი | 26 | 10 | 4 | 12 | 40:56 | 34 |
| აალსტი | 26 | 10 | 2 | 14 | 46:55 | 32 |
| ჰარელბეკე | 26 | 8 | 4 | 14 | 43:52 | 28 |
| ბევერენი | 26 | 7 | 6 | 13 | 38:50 | 27 |
| სტ. ტრუიდენი | 26 | 6 | 4 | 16 | 29:56 | 22 |
| შარლერუა | 26 | 5 | 6 | 15 | 31:53 | 21 |
| გეელი | 26 | 3 | 9 | 14 | 21:48 | 18 |
| ლომელი | 26 | 2 | 10 | 14 | 25:54 | 16 |

### ფეხბურთის რუკასთან



**იტალიურმა** „იუვენტუსმა" „სარაგოსაში" მოთამაშე იუგოსლაველ ფორვარდს, სავო მილოშევიჩს დაადგა თვალი და სეზონის ბოლოს შესაძლოა გადაიბიროს კიდეც. თავდამსხმელი „სარაგოსაში" საკმაოდ წარმატებულ სეზონს ატარებს და გუნდის საუკეთესო ბომბარდირია. შეგახსენებთ, რომ მილოშევიჩი ესპანეთში 1997 წელს „ასტონ ვილადან" გადაბარგდა. „იუვენტუსის" აღმასრულებელი დირექტორი ლუჩანო მოჯი „სარაგოსას" პრეზიდენტ ალფონსო სოლანს ეწვევა და ფეხბურთელის შესაძლო ტრანსფერზე გაესაუბრება.

**ინგლისურმა „ევერტონმა" შესაძლოა, „საუთჰემპტონის" უელსელი ლეგიონერი მარკ ჰიუზი გადაიბიროს. კლუბთან მიმდინარე კონტრაქტი ფეხბურთელს მალე ეწურება, „საუთჰემპტონმა" მას შეთანხმების გახანგრძლივება შესთავაზა, მაგრამ მხარეები ვერ მორიგდნენ და უელსელი, ალბათ, ახალ გუნდს მოძებნის. ჰიუზს საკმაოდ შთამბეჭდავი კარიერა აქვს, იგი „ბარსელონას", „ბაიერნისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" ღირსებას იცავდა. გამოცდილ ფეხბურთელს უელსის ნაკრების თავკაცობაც შესთავაზეს, მაგრამ ჰიუზი არ დათანხმდა და განაცხადა, რომ თამაშს მინიმუმ ერთი წელი კიდევ აპირებს.**

**იტალიურმა** „პარმამ" „ლაციოს" პორტუგალიელი ლეგიონერის, სერჟიო კონსეისაოს შეძენა მოისურვა. ფეხბურთელი „ლაციოში" საკმაოდ წარმატებულად ასპარეზობს და გუნდის ერთ-ერთ ძირითად წევრად ითვლება. მოსალოდნელია, რომ ევროპის მომავალ ჩემპიონატზე იგი პორტუგალიის ნაკრებში ითამაშებს. „პარმას" ხელმძღვანელობა ვალენსიელ ნახევარმცველ გაისკა მენდიეტასაც ადევნებს თვალს. სერჟიო კონსეისაოს შეძენას სეზონის ბოლოსთვის მილანის „ინტერიც" ცდილობს. იტალიური პრესის ცნობით, „ლაციო" პორტუგალიელ ნახევარმცველში მინიმუმ 9 მილიონ გირვანქას ითხოვს.

**ჰოლანდიის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის" თავდამსხმელ დენის ბერხკამპს ევრო 2000-ის ფინალური ეტაპის შემდეგ სანაკრებო კარიერის დასრულება სურს. ინგლისური სააგენტოების ცნობით, „არსენალი" 30 წლის ფეხბურთელთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს. ოფიციალური შეთანხმება ჯერჯერობით არ გაფორმებულა, თუმც მოსალოდნელია, ლონდონში დარჩენის შემთხვევაში ბერხკამპმა ხელფასის გაზრდა მოითხოვოს.**

**იტალიის** ჩემპიონმა „მილანმა" „პარმას" ოლივერ ბირჰოფში და ერნან კრესპოს გაცვლა შესთავაზა და დამატებითი თანხაც შეაძლია. კრესპოს „პარმასთან" კონტრაქტი 2002 წლამდე აკავშირებს, არგენტინელის გაყიდვის შემთხვევაში „პარმა" დაახლოებით 18 მილიონ გირვანქას მიიღებს. ბირჰოფი კი იტალიური კარიერის დასრულების შემდეგ სავარაუდოდ მიუნხენის „ბაიერნში" გადაბარგებას აპირებს. „მილანმა" კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს დაადგა თვალი: ბრაზილიური „პალმეირასის" მცველ როკე ჟუნიორსა და „მონაკოში" მოასპარეზე მცველებს — მარტინ ჯეტუსა და ფილიპ კრისტენვალს, რომლებიც სეზონის ბოლოს, შესაძლოა გადაიბირონ კიდეც.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია **საქტელექომ პლუსი**

☎ 99 67 67, 98 30 20

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ჩემპიონთა ლიგა. მე-5 ტური

14 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | ბაიერნი-რუსენბორგი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 502 | რეალი-დინამო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 503 | ფეიენოორდი-ჩელსი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 504 | ლაციო-მარსელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

15 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 505 | ბარსელონა-ჰერტა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 506 | პორტუ-სპარტა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 507 | ბორდო-ვალენსია | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 508 | მანჩესტერი-ფიორენტინა | 1,5 | 3,3 | 6,0 |

უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები

16 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 509 | არსენალი-ვერდერი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 510 | ლიდსი-სლავია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 511 | სელტა-ლანსი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 512 | მალიორკა-გალათასარაი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

ინგლისი. პრემიერლიგა

15 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | ქოვენთრი-ევერტონი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 002 | ლივერპული-ასტონ ვილა | 1,6 | 3,2 | 5,0 |

ინგლისი. I დივიზიონი

14 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 003 | სტოკპორტი-ბოლტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

ინგლისი. II დივიზიონი

14 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 004 | ჯილინგემი-ბარნლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 005 | პრესტონი-ოქსფორდი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 006 | პრესტონი-ოქსფორდი | 1,9 | 3,4 | 2,4 |

ინგლისი. III დივიზიონი

14 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 007 | ტორკი-ჩელტენემი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 008 | პლიმუთი-ლინკოლნი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

ჰოლანდია

15 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 009 | სიტარდი-აიაქსი | 4,7 | 3,3 | 1,6 |

შოტლანდია

15 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 010 | დანდი იუნ.-კილმარნოკი | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| 011 | სენტ ჯონსტონი-ჰართსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

ავსტრია

14 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 012 | ლუსტენაუ-ტიროლი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

პოლონეთი. მე-18 ტური

15 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 013 | ლკს პლოცკი ($17^{00}$) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 014 | ზაგლებე-ლეგია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 015 | პოლონია-გროცლინი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 016 | პოლონია-გროცლინი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 017 | ვისლა-ვიძევი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 018 | ვისლა-ვიძევი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 019 | სტომილი-პოგონი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 020 | რუხი-რაძიონკოვი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 021 | რუხი-რაძიონკოვი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 022 | გურნიკი-ოდრა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 023 | ლეხი-ამიცა | 2,1 | 2,9 | 3,2 |

ბელგია. ლიგის თასი

14 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 024 | ლიერსი-მუსკრონი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

კალათბურთი. NBA

14 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | ნიუ იორკი-ჰიუსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 802 | ორლანდო-ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 803 | მაიამი-მილუოკი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 804 | ტორონტო-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 805 | კლივლენდი-ფილადელფია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 806 | დალასი-ინდიანა | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 807 | სან ანტონიო-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 808 | ფინიქსი-მინესოტა | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 809 | კლიპერსი-დენვერი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 810 | პორტლენდი-საკრამენტო | 1,2 | 12,0 | 3,5 |

15 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 811 | ბოსტონი-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 812 | შარლოტი-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 813 | ატლანტა-ინდიანა | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 814 | დეტროიტი-ორლანდო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 815 | საკრამენტო-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

16 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 816 | ვაშინგტონი-ლეიკერსი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 817 | მაიამი-ფილადელფია | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 818 | კლივლენდი-იუტა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 819 | მილუოკი-ჰიუსტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 820 | სან ანტონიო-დალასი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 821 | პორტლენდი-მინესოტა | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 822 | სიეტლი-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

ჰოკეი. NHL

14 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 823 | მონრეალი-ტამპა ბეი | 1,25 | 4,0 | 4,4 |
| 824 | დეტროიტი-ნეშვილი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 825 | კოლორადო-ანაჰაიმი | 1,5 | 4,0 | 3,0 |

15 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 826 | ნიუ ჯერსი-დალასი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 827 | ვაშინგტონი-აილენდერსი | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 828 | ტორონტო-ჩიკაგო | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 829 | რეინჯერსი-ტამპა ბეი | 1,25 | 4,0 | 4,4 |
| 830 | კაროლინა-ედმონტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 831 | კალგარი-ოტავა | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 832 | ფინიქსი-სენტ ლუისი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 833 | ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 834 | სან ხოსე-ბუფალო | 1,8 | 4,0 | 2,2 |

16 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 835 | ფილადელფია-მონრეალი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 836 | პიტსბურგი-ფლორიდა | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 837 | ატლანტა-აილენდერსი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 838 | დეტროიტი-ტორონტო | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 839 | ჩიკაგო-ბოსტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 840 | კოლორადო-ნეშვილი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 841 | ვანკუვერი-ბუფალო | 1,9 | 4,0 | 2,1 |

უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა

701 არსენალი (1,3)-ვერდერი (2,8)
702 ლიდსი (1,15)-სლავია (4,0)
703 სელტა (1,3)-ლანსი (2,8)
704 მალიორკა (1,5)-გალათასარაი (2,3)

გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლისას მიუთითეთ მხოლოდ ის გუნდი, რომელიც გავა შემდეგ ეტაპზე

(წყვილის სრულად დაწერა საჭირო არ არის)

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ვითა და სტუ დროსა და ემოციებში ვერ ჩაეტივნენ...

**საქართველოს ჩემპიონატი 21 ტური**

ვერის ბაღი. 12 მარტი

**გორი 77:85 დინამო**

I ტაიმი 42:37
გორი: ნინოშვილი (25), ცაცებაშვილი (13), გრძელიშვილი (6), ფსუტური (17), მანველიშვილი (10); კურტანიძე (4), აბრამაშვილი (2), დ. იაშვილი
დინამო: ნიკოლაძე (27), ორდენიძე (4), ახვლედიანი (10), უჩუმბეგაშვილი (8), ზერეკიძე; მეგრელიშვილი (27), ენდელაძე (2), ყველაშვილი (7)
მსაჯები: მაკა კუპატაძე, თემურ სადღობელაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

**საქართველოს ჩემპიონატი 21 ტური**

ვერის ბაღი. 12 მარტი

**ვითა 103:110 სტუ**

I ტაიმი 41:42. ძირითადი დრო 78:78. I ოვერტაიმი 91:91
ვითა: უსტიაშვილი (5), ტურაშვილი (16), შანიძე (20), კოკოლიშვილი (28), ახალკაცი (17); ტვაშაკიძე, გ. გაგნიძე (17), ქირაქაძე
სტუ: თორთლაძე (17), მოისწრაფიშვილი (10), ჩუბინიძე (21), ორმოცაძე (3), მინაშვილი (18); ტულუში (10), კორძაძე (2), ოთიურიძე (3), ლოსაბერიძე (15), მიქაძე (11)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**გიორგი ბიკაშვილი**

ფრედ დამთავრებული ძირითადი დრო, მთლიანობაში ძალიან დაძაბული თამაში ორი ოვერტაიმით, ამგვარ სიტუაციებში თანმხლები დავა-კამათითა და შეხლა-შემოხლით — კარგა ხანია, ვერის ბაღს მსგავსი ემოციები არ მოსძალებია. იქაურ სარბიელზე, ბრძოლის ველს რომ დამსგავსებოდა, თითქმის ორ საათს გაგრძელდა ვნებათაღელვა, ნერვების წყვეტა, რაც გნებავთ, ის დაარქვით.

ჩემპიონ „ვითასა“ და ბრინჯაოს პრიზიორ სტუ-ს დაპირისპირება სპორტულმა ჯებირებმა ვერაფრით დაიტია. მოედანზე ნამდვილი ომი იყო, ბრძოლა არსებობისთვის...

შეხვედრა მეტად დრამატული გამოდგა, რასაც მისი პრინციპულობა დაედო საფუძვლად. მეტოქეები ერთ ქულაზე დაობდნენ, ქულაზე, რომელმაც დღეს არა და ხვალ იქნებ გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინოს ორივე მათგანისთვის. „ვითას“ და სტუ-ს სამეულში ადგილის დამკვიდრება სურთ. ურთიერთშეხვედრაში წარმატების მიღწევა სწორედ ამის გარანტი გახლდათ. მეცხრე ეროვნული ნელ-ნელა გადამწყვეტ სტადიაში შედის და სამეულში მომაგრება პლეი ოფში მრისხანე „ბასკოს“ მეტოქეობას აცილებს ამ გუნდებს.

საწყისი წუთები სტუდენტთა კარნახით წარიმართა, „ვითამ“ პერსონალური მეურვეობა კი ირჩია, მაგრამ მოთამაშეები ერთმანეთს დროულად ვერ აზღვევდნენ და ჩუბინიძის ზუსტი სროლის შემდეგ სტუ 6:0 დაწინაურდა. ამის შემდეგ გამოერკვა „ვითა“, დაცვაში თამაში შეათანხმა და შეტევებსაც ორგანიზებული სახე მისცა, რასაც უმეტესად მათი ცენტრი, გულივერ ახალკაცი აგვირგვინებდა. სტუ-ს მწვრთნელის, ნუგზარ ჭეიშვილის გადაწყვეტილებამ, გულივერისთვის გამოცდილი ორმოცაძე მიემაგრებინა, ხოლო ცენტრი მინაშვილი — შანიძისთვის, ნაყოფი არ გამოიღო. შანიძე ფრთაზე მოქმედებდა, რის შედეგადაც მისი მეურვე მინაშვილი ფარს მოსწყდა და ახალკაცსაც ოდენ ორმოცაძე შერჩა. ჩემპიონთა გამთამაშებელ დავით უსტიაშვილს ეს არ გამოჰპარვია და მთლიანად ახალკაცზე ააგო თამაში. მისი ძალისხმევით „ვითამ“ მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, შუაგული ტაიმისთვის კი პირველად დაწინაურდა — 16:15.

ჭეიშვილს საფიქრალი მას შემდეგ მოეძალა, როცა გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა ამროსი ორმოცაძემ ოთხი პერსონალური მიიღო. მწვრთნელმა იგი სასწრაფოდ შეცვალა, მის ნაცვლად კი მიქაძე გაამწესა. ზვიადი უკანა ხაზში შეუწყვილდა თორთლაძეს, ჩუბინიძემ ფარქვეშ შეიწია და მინაშვილთან ერთად ახალკაცის თარეშის ალკვეთას შეუდგა. მიქაძის გამოჩენამ მნიშვნელოვნად ააჩქარა სტუდენტთა შეტევები, „ვითამ“ კი ყურადღება მოადუნა და მომდევნო ეპიზოდი 0:9 წააგო

ამის შემდეგ ქაოსური თამაში გაჩაღდა, ორივე მხრიდან უამრავი ხარვეზი წარმოჩნდა. ჭეიშვილმა ცვლილებებს მოუხშირა და ისე გამოვიდა, რომ მალე „ვითას“ მეტოქის მეორე ხუთეული შერჩა ხელთ. ამით ისარგებლა ჩემპიონმა, განსაკუთრებით ახალკაცმა, რომელიც ახლა უკვე სრულად გაბატონდა ფარზე და როცა მას კოკოლიშვილმა და შანიძემაც ხელი შეაშველეს, ანგარიში გათანაბრდა 26:26.

ტაიმის ბოლომდე თამაში ქულა ქულაზე გაგრძელდა. უპირატესობის მოპოვებას ვერც ერთი გუნდი ახერხებდა, სტუ-მ საამისოდ ზონური დაცვაც მოსინჯა, მაგრამ უსტიაშვილმა ამასაც ალღო აუღო და კონტრიარაღი, სწრაფი პასი აამოქმედა. სტუდენტთაგან მიქაძე და ლოსაბერიძე გამოირჩეოდნენ, ვითელთაგან კი კვლავინდებურად ახალკაცი და კოკოლიშვილი, რომელთაც შეცვლაზე შესულმა გაგნიძემაც კარგად აუბა მხარი. ტაიმს უეჭველად „ვითა“ მოიგებდა, სულ ბოლო წამს ლაშა ლოსაბერიძეს სასწაულებრივად რომ არ ჩაეგდო.



ვითა — სტუ 103:110. სტუდენტ ვახტანგ მინაშვილის შედეგიან შეტევას მეტოქენი მხოლოდღა შესცქერიან

შეხვედრა ანალოგიური სცენარით გაგრძელდა. მოწინააღმდეგეებმა რამდენიმე შედეგიანი შეტევა გაცვალეს, რის შემდეგაც „ვითამ“ იძალა და ძირითადი დროის დამთავრებამდე თორმეტი წუთით ადრე კოკოლიშვილმა სამიანით სხვაობა შვიდქულიანი გახადა თავისიანთა სასარგებლოდ — 55:48. ამ დროისათვის ორივე გუნდს შვიდი გუნდური ჯარიმის მიღება მოესწრო. კალათბურთელები ხშირად არღვევდნენ თამაშის წესს, თუმც ყოველივე სტუდენტთა წისქვილზე ასხამდა წყალს, რადგან საჯარიმოს ხაზიდან ვითელები ძალიან ბევრს სცოდავდნენ. ეს საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რათა სტუ-ს საკუთარი ძალის ერწმუნა. ჭეიშვილის გუნდმა ერთიორად მწვავედ შეუტია და საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე სასწორი კვლავაც თავისკენ გადახარა — 67:66. ერთ ეპიზოდში „ვითა“ ექვსი ქულითაც ჩამორჩა მეტოქეს და თითქოს გამარჯვებულის ვინაობაც გაცხადდა, მაგრამ კრიტიკულ მომენტში გუნდი ჩემპიონური შემართებით ამოქმედდა, ორნახევარწუთიანი მონაკვეთი 8:0 მოიგო და კვლავ წინ გაიჭრა — 76:74.

სულ ბოლოს, 76:76-ზე, მოისწრაფიშვილი შანიძეს ეუხეშა და ამ უკანასკნელმაც ორი საჯარიმოს სროლის უფლება მოიპოვა. თამაშის დამთავრებას შვიდი წამი უკლდა, რაც შანიძეს ფსიქოლოგიურად თრგუნავდა. მიუხედავად ამისა, ირაკლის ორივე ნასროლმა მიზანს უწია და სტუ მარცხის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამ დროს კი მშველელად დავით თორთლაძე მოევლინათ ტექნიკოსებს. მან თავის თავზე აიღო თამაში, უსწრაფესი დრიბლინგით მთელი მოედანი გაირბინა, ბოლო წამზე საშუალო მანძილიდან ესროლა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა.

დამატებით ხუთწუთეულში სტუ კვლავაც მდევრის როლში აღმოჩნდა. ახალკაცი და კოკოლიშვილი ოთხი წუთის მანძილზე ლიდერობას უნარჩუნებდნენ თავისიანთ, თუმც მარცხს არ ურიგდებოდა დავით თორთლაძე, რომელმაც ზედიზედ ორი სამიანი ჩააგდო და სტუ ერთი ქულით დააწინაურა — 88:87. მატჩის ბედის გადაწყვეტა ამ შემთხვევაშიც უკანასკნელ წამებს დაეკისრა. ანგარიში 91:91 იყო, ხუთი წამიღა რჩებოდა, როცა თორთლაძე გიორგი გაგნიძეზე დაჯარიმდა. გაგნიძეს ორივე საჯარიმო გაუცუდდა, რის შემდეგაც მისმა თანაგუნდელმა შანიძემ ფარზე გაიბრძოლა და...

მსაჯ ზაზა მაჩალაძის სასტვენს არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. არბიტრმა შანიძე წესის დარღვევაში დაადანაშაულა, რამაც „ვითა“ მეტისმეტად აღაშფოთა. ათიოდ წუთი ამ ეპიზოდის გარჩევას დაეთმო, საქმეში მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე მურმან ქურიძეც ჩაერია და საბოლოო სიტყვაც მან თქვა. შანიძე მართლაც დაჯარიმდა, ოღონდ თავდასხმაში და სტუ ჯარიმებს კი არ ესვრის, ბურთს გვერდიდან შემოიტანსო — ამგვარი იყო განაჩენი. ყოველივე კი მეორე ოვერტაიმს მოასწავებდა.

აქ კი საბოლოოდ გატყდა „ვითა“. ხუთი პერსონალურის გამო მოედანი შანიძესაც დაეტოვებინა და ახალკაცსაც. უიმათოდ კი ჩემპიონმა ველარაფერი გააწყო გრძელი სკამით განებივრებულ სტუ-სთან...

კვირასვე „გორი“ — „დინამოს“ დაუპირისპირდა. თავიდან ქართლელებმა იმძლავრეს და ტაიმიც თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს, თუმც შემდეგ მეგრელიშვილის წინამძღოლობით „დინამომ“ მდგომარეობა გამოისწორა და მოწადინებულ „გორს“ ორი ქულა არ დაანება.

**საქართველოს ჩემპიონატი 21 ტური**

ვერის ბაღი. 11 მარტი

**შევარდენი 93:64 სსუ**

I ტაიმი 45:30
შევარდენი: ორჯონიკიძე (8), აკოლაშვილი (11), შ. გაგნიძე (19), გიგაური (29), თაბუაშვილი (8); ფრანგიშვილი (6), გულხადარაშვილი (2), ალავიძე (6), მესხი (4)
სსუ: გ. ჟღენტი (7), თოდუა (4), ლაცუზბაია, ლ. ვაშაკიძე (18), ბ. ქვილითაია (8); ბ. ბერიშვილი (23), ერქვანია, ფენდერავა, სორდია (4)
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ზაზა მაჩალაძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**საქართველოს ჩემპიონატი 21 ტური**

ვერის ბაღი. 11 მარტი

**ასკ 39:105 მაკაბი**

I ტაიმი 22:58
ასკ: მ. მარკოიშვილი (16), ნათობაძე (2), დ. საყვარელიძე (6), ჯანელიძე, ათუაშვილი (1); რუსია (1), ზანგურაშვილი (2), ღვინაშვილი (5), მ. ფიცხელაური (6)
მაკაბი: დ. ბერიშვილი (16), ი. ბერიშვილი (17), ტალაბაძე (12), ფერიაშვილი (8), შენგელია (13), მჭედლიშვილი (2), ბ. ნოზაძე (21), დავარაშვილი (3), ლასარეიშვილი (2), ფიცხელაური (2), კრიხელი (6), ზ. ჩაჩუა (3)
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, გია მოლოდინაშვილი
კომისარი: ნოდარ დარახველიძე

**როლანდ ლაბუჩიძე**

მეტად უინტერესო აღმოჩნდა შაბათის შეხვედრები. იმდენად, რომ რამდენიმე კალათბურთელმა მატჩზე გამოცხადებაც კი არ ისურვა. მათგან ზოგიერთი შუაგულ ტაიმში შეუერთდა გუნდს, ერთი კი მატჩის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე. ამჯერად შეგნებულად არ ვასახელებთ ამ მოთამაშეთა სახელებს, რადგან ისინი ძალიან ახალგაზრდები, პერსპექტიულებიც კი არიან, მაგრამ თუ ისინი მომავალშიც ასე გააგრძელებენ, ჯობია, სხვა საქმეს ეწიონ, ასეთი დამოკიდებულებით ხომ წარმატების მიღწევა ერთობ გაუჭირდებათ.

გამართული მატჩებიდან აღსანიშნავია არმიელებისა და „მაკაბის“ შეხვედრა, რომელშიც ორი ანტირეკორდი დამყარდა. მიმდინარე ჩემპიონატში ასკ-მ ყველაზე დიდი ანგარიშით, 66 ქულის სხვაობით წააგო. ერთ შეხვედრაში 39-ზე ნაკლები ქულაც მანამდე არავის გაეკეთებინა.

მატჩის პირველ წუთებს არმიელთათვის ურიგო სულაც არ ეთქმოდა. ათუაშვილის მიერ საჯარიმო ხაზიდან დაწინაურებულ ასკ-ს, მართალია, მაკაბელმა შენგელიამ მალე გაუთანაბრა, მაგრამ მანუჩარ მარკოიშვილის ზუსტი სამქულიანი სროლის შემდეგ არმიელები კვლავ წინ გავიდნენ — 4:1. „მაკაბი“, რომელსაც ბოლო ტურში უაღრესად მნიშვნელოვანი შეხვედრა ელის ექვსეულში ადგილის მოცილე თსუ-სთან, მეტოქისგან ასეთ წინააღმდეგობას ნამდვილად არ ელოდა. როცა დავით ბერიშვილმა ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო, ახლა უკვე ასკ აღმოჩნდა მდევრის როლში. სასტარტო ხუთეულისა და ბექა ნოზაძის ძალისხმევით „მაკაბის“ უპირატესობა სულ უფრო აშკარა ხდებოდა, ხოლო ეულად მებრძოლი მარკოიშვილის იმედად მყოფი ასკ სავალალო სიტუაციაში აღმოჩნდა. როდესაც ტაიმის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე შენგელიამ ეფექტური ჩატენვით ანგარიშში სხვაობა 30 ქულამდე გაზარდა, ყველაფერი გაცხადდა.

თუ სსუ-ს ლიდერი ბუბა ბერიშვილი წინა ტურში სდასუ-სთან მიღებული ხელის ტრავმის გამო „შევარდენის“ წინააღმდეგ თამაშს ვერ შეძლებდა, ისედაც ფავორიტად მიჩნეული საავიაციოქარხნელთა უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა გახდებოდა.

ერთი კვირის უვარჯიშებელი და ჯერაც მოუშუშებელი ხელით შეცვლაზე შესული ბუბა ბერიშვილი მაინც ერთ-ერთი საუკეთესო იყო. თუ მის შედეგიანობას ვინმე ბურთთან ხშირი ყოფნით ხსნის, არა მგონია, სამქულიანების, განსაკუთრებით კი საჯარიმოების პროცენტულობას რაიმე დაუპირისპიროს. ასე იყო ამჯერადაც — ოთხი ცდიდან სამი სამქულიანი და შვიდი შესაძლებლობიდან ყველა გამოყენებული საჯარიმო. როგორც ყოველთვის, სტუდენტთაგან ყველაზე შედეგიანი ბერიშვილი გახლდათ. ერთადერთი, ვინც გვერდში ედგა მას, ლევან ვაშაკიძე იყო. „შევარდენი“ კი ჯერ ისე არ დაჩანაკებულა, ორი კაცის იმედად მყოფ გუნდთან წააგოს.

შეხვედრაში ანგარიში, მართალია, ვაშაკიძის ზუსტი სროლის შემდეგ სსუ-მ გახსნა, მაგრამ მალე სოხუმელები მდევრის როლში აღმოჩნდნენ. სტუდენტებს ვერც ლაცუზბაიას ნაცვლად შეცვლაზე შესულმა ბერიშვილმა უშველა. როდესაც ბუბამ საჯარიმოებით სამ ქულამდე დაიყვანა სხვაობა, თოდუას გათანაბრების შანსიც მიეცა, მაგრამ მისმა ნასროლმა სამქულიანმა მიზანს ვერ მიაღწია. ამას სტუდენტთა მღელვარება და მაჩალაძის ტექნიკურებიც დაერთო, წინ გასულ „შევარდენს“ კი ტაიმის თავის სასარგებლოდ დასრულება აღარ გასჭირვებია.

საავიაციოქარხნელთა უპირატესობა შესვენების შემდეგ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. სტუდენტთა ფარს გაშინაურებულ თამაზ გიგაურს საბოლოოდ ყველაზე მეტი — 29 ქულა დაუგროვდა. სსუ-ელთაგან კი ტრავმირებულმაც არ დათმო პირველობა ბუბა ბერიშვილმა.

**საქართველოს ჩემპიონატი 21 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 20 | 20 | 0 | 1947:1533 | 40 |
| აზოტი | 21 | 17 | 4 | 1935:1584 | 38 |
| სტუ | 21 | 15 | 6 | 1856:1523 | 36 |
| სდასუ | 21 | 14 | 7 | 1754:1605 | 35 |
| ვითა | 21 | 14 | 7 | 1783:1643 | 35 |
| თსუ | 21 | 12 | 9 | 1835:1798 | 33 |
| მაკაბი | 21 | 12 | 9 | 1803:1565 | 33 |
| შევარდენი | 21 | 8 | 13 | 1551:1720 | 29 |
| დინამო* | 21 | 7 | 14 | 1508:1703 | 27 |
| სსუ | 21 | 2 | 19 | 1488:1938 | 23 |
| ასკ | 21 | 1 | 20 | 1495:2008 | 22 |
| გორი* | 20 | 3 | 17 | 1219:1554 | 20 |

*დინამოს დაკლებული აქვს ერთი ქულა, გორს — სამი ქულა

საქართველოს ჩემპიონატი

21 ქული

რუსთავი. 12 მარტი

**აზოტი 105:78 თსუ**

I ტაიმი 51:36

**აზოტი:** ა. ღლენტი (9), გაბისონია (4), გოგობერიშვილი (28), ბაბიაშვილი (26), მ. ბერუაშვილი (18); ნიკლაური (10), ჯიმშელეიშვილი (8), დანელიანი (2), კოჭლამაზაშვილი, ა. ბოისა, ლ. ჩაჩუა, გოგოლაძე

**თსუ:** ვეფხვაძე (2), ხეცურიანი (11), მარკოიშვილი (17), არსიაშვილი (15), გ. ბერუაშვილი (14); წოწელია (19), მშვილდაძე, სანიკიძე

**მსაჯები:** გია მოლოდინაშვილი, ზურაბ აბაშიძე

**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

**ირაკლი ფირაშვილი** რუსთავიდან

თსუ კარგი გუნდია. ბევრი კლუბისგან განსხვავებით, მიმდინარე ჩემპიონატში მას კიდევ შერჩენია მოტივაცია და მიზანი:

„მაკაბის" მეექვსე ადგილისთვის ებრძვის და ამდენად, მისთვის ყოველი ქულა ოქროდ ფასობს. მაგრამ როგორც უნდა ეცადონ სტუდენტები, თუ ამას რუსთავის „აზოტი" არ მოინდომებს, ვიცე-ჩემპიონებს მაინც ვერ მოერევიან. „აზოტს" ჰყავს უკეთესი შემადგენლობა და მეტოქეზე ერთიორად გამოცდილია, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ შინ თამაშობდა.

მეტალურგთა ქალაქში ნასტუმრებ სტუდენტებს, მკვიდრ რუსთაველებთან ერთად, დახვდნენ ერთ დროს თსუ-ს ლიდერები — არჩილ ღლენტი და ზვიად ბაბიაშვილი, რომლებმაც ლომის წილი დაიდეს თავიანთი ყოფილი გუნდის ძლევაში.

მასპინძელთა შემოტევებს თსუ-მ ზონური დაცვა დაახვედრა. სტუმრები ცდილობდნენ, რუსთაველთათვის სათარეშო სივრცეები შეეზღუდათ, თან ერთობ მჭიდროდაც ეთამაშებოდნენ მათ, მაგრამ ამით ვერ იხეირეს. ფარქვეშ „აზოტის" ცენტრი მიხეილ ბერუაშვილი სჯობდა თავის მხცოვან მოგვარეს, გიორგის, ჩვეულად აქტიურობდა ზვიად ბაბიაშვილიც. სწორედ ამ ორის გაჩერებას შეალიეს სტუმრებმა საწყისი ათი წუთი და ამ დროისთვის უკვე მეშვიდე გუნდური ჯარიმა მიიღეს. მათმა დაცვამ შედეგი ვერ მოიტანა, მასპინძლები 29:13 გავიდნენ წინ.

აქ ათამაშდა სტუმარი გოჩა წოწელია. მისი მონდომების წყალობით თსუ-მ პირველად მატჩში ზედიზედ ორი ბურთი ჩააგდო და ოთხი ქულა გაქვითა, მაგრამ თავგამოდება ასე არ უნდაო და...

გამთამაშებელმა ღლენტმა ჯერ ფარქვეშიდან ჩააგდო, ამას სამქულიანი მიაყოლა, მომდევნო ეპიზოდში ბურთი ჩაჭრა და ჯიმშელეიშვილი გარღვევაზე გაიყვანა, რის შემდეგაც „აზოტი" უკვე 19 ქულით დაწინაურდა. როცა ღლენტმა სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა სხვაობა უკვე 23 ქულას უწევდა 43:20. მასპინძლებს ნახევარი საქმე მოთავებული ჰქონდათ და თავს მოდუნების უფლება მისცეს, რითაც თსუ-მ იხეირა და ტაიმის ბოლოს სხვაობა 15 ქულამდე დაიყვანა.

მეორე ტაიმიც პირველივით წარიმართა. „აზოტი" იოლად ახერხებდა უპირატესობის შენარჩუნებას, ხან წინ გაიჭრებოდა, ხანაც მეტოქეს რამდენიმე ბურთის ჩაგდების საშუალებას აძლევდა. ბოლო ათი წუთი კი რუსთაველთა ლიდერის, გოგობერიშვილისა იყო. რამაზს პირველ ტაიმში მხოლოდ ოთხი ქულა ჰქონდა და დანაკლისი ბოლო ათ წუთში აინაზღაურა, როცა ერთბაშად ოთხი სამქულიანი მიითვალა და ტაიმში სულ 24 ქულა დააგროვა. მისი სამიანის შემდეგ „აზოტი" პირველად დაწინაურდა 30 ქულით — 94:64. ყველაფერი ნათელი იყო და რუსთაველთა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ ყველა სათადარიგოს მისცა თამაშის საშუალება.

საქართველოს ჩემპიონატი

21 ქული

ბათუმი. 13 მარტი

**ბასკო 86:65 სდასუ**

I ტაიმი 27:29

**ბასკო:** მაისურაძე (9), აბრამიძე (10), დავითულიანი (26), ბეჟანიშვილი (18), ვ. კილაძე (12). ბაქრაძე, ა. კილაძე, კეშელავა (8), ჭეიშვილი (3)

**სდასუ:** ხოშტარია (21), უძილაური (15), ლ. აბულაძე (2), გ. ჩხეიძე (7), მაჭარაძე (18); ნ. ნოზაძე (2), ანდღულაძე

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**მერაბ რატიშვილი** ბათუმიდან

ბათუმში სიახლეა. წინა კვირაში ფიბა-ს ახლანდელი სტანდარტების შესაბამისი ფარები და ელექტროტაბლო ჩამოიტანეს „ბასკოს" მესვეურებმა. ახალი ტექნიკა და ინვენტარი ამ მატჩისთვის დაამონტაჟეს და რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ბათუმურ მატჩს აქაური საკალათბურთო დარბაზი ამ ნამატით შეხვდა. ფარების თავზე ორი ელექტროსაათია, ერთი მათგანი მატჩის, ხოლო მეორე ბურთის ფლობისთვის განკუთვნილ დროს ალნუსხავს.

მატჩის ორშაბათისთვის გადადების მიზეზი „ბასკოს" თურქული ტურნე გახლდათ. გუნდი შაბათს ღამე დაბრუნდა ბათუმში და ერთდღიანი დასვენების შემდეგ სათამაშოდ წარსდგა. სდასუ-მ მოისაკლისა მთავარი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი, რომელიც დედის გარდაცვალების გამო გუნდს თან არ ახლდა. თბილისელები სათამაშოდ მოსეშვილის თანაშემწეებმა — პავლე არჩვაძემ და ზაზა ცაგარეიშვილმა გამოიყვანეს.

სდასუ-ს განაცხადში გამოჩნდა გიგი ნაცვლიშვილი, მაგრამ მას ტრავმა ბოლომდე არ მოუშუშებია და მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე ყოფნა იკმარა. თავის მხრივ „ბასკოც" კაცნაკლული იყო: ლევან ქარაბაკმა გრიპი ჯერაც ვერ მოირჩინა.

სდასუ-მ ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ „ბასკოს" ტიპის გუნდების წინააღმდეგ სავსებით გამართლებული ტაქტიკა აირჩია — ნელი ტემპი, ბურთის თითქმის 30 წამიანი გათამაშება და მხოლოდ უეჭველი პოზიციიდან სროლა. „ბასკო" უფრო პირველ შეტევებს ეძალებოდა, მაგრამ სისწრაფის ხარჯზე მიღებულ უპირატესობას არაზუსტი სროლებით ფლანგავდა. სდასუ მეექვსე წუთზე 13:8 დაწინაურდა, თუმცა ბათუმელებმა ერთწუთიანი მონაკვეთი 7:0 მოიგეს და სტუმრებს ლიდერობა წაართვეს.

„ბასკოს" თითქოს უპირატესობა უნდა მოეპოვებინა, მაგრამ სდასუ-მ არ შეცვალა ტაქტიკა და სასროლ პოზიციებზე ხოშტარიას და მაჭარაძის გაყვანა დაიწყო. ამათაც ივარგეს და თავიანთი გუნდი დააწინაურეს. „ბასკოს" თამაშში ბევრი წუნი შეიმჩნეოდა, განსაკუთრებით შორი სროლების და პასების დროს. ამან ის მოიტანა, რომ თბილისელებმა ტაიმი ორი ქულით მოიგეს.

სდასუ-მ მეორე ტაიმი გაცილებით აგრესიულად დაიწყო და ექვსქულიანი დაწინაურებაც მოახერხა. ბათუმელმა ბაქრაძემ კი შეუზღუდა სამოქმედო არე ხოშტარიას, მაგრამ თბილისელთა ლიდერობა მაჭარაძემ ითავა და ფარქვეშ რამდენჯერმე გონივრულად გაისარჯა.

ექვსქულიანი ჩამორჩენისას „ბასკომ" მკაცრ პრესინგს მიმართა, რამაც უმალ გამოიღო შედეგი: თბილისელებმა ბურთის დაკარგვას მოუხშირეს, ხოლო ბათუმელმა ალეკო დავითულიანმა რამდენიმე დარღვევა განახორციელა. საერთოდ, დავითულიანი, რომელსაც გუშინწინ 26 წელი შეუსრულდა, მეორე ტაიმში მეტად სასარგებლოდ ათამაშდა. შესვენების შემდეგ გაკეთებულ 20 ქულას თავი რომ დავანებოთ, ალეკომ ჯერ მაისურაძეს ჩააგდებინა სამქულიანი, შემდეგ ბეჟანიშვილი დატოვა მარტო ფარქვეშ. დამთავრებამდე 11.42 წუთით ადრე „ბასკო" 50:42 დაწინაურდა.

ზღვისპირელთა უპირატესობა სულ უფრო და უფრო კი იზრდებოდა, მაგრამ სდასუ ფარ-ხმალს არ ყრიდა. თბილისელები ყურადღებით იყვნენ. საკმარისი იყო ბათუმელები ოდნავ მოდუნებულიყვნენ და სტუმრები მაშინვე შეახსენებდნენ-ხოლმე თავს. მერე კი ხოშტარიას ძალღა დაეტყო, სდასუელთა სროლებს მიზანი მოაკლდა და „ბასკოს" მოთამაშეებმა დარბაზში მრავლად მოსული მაყურებელი ნაირგვარი საკალათბურთო ელემენტებით გაახალისეს.

რეგულარული ჩემპიონატი

NBA

# სიეტლს ქვეწარმავლები შეესივნენ

10 მარტი

**სიეტლი 99:85 გოლდენ სტეიტი**

სიეტლი: პეიტონი (27 ქულა, 16 პასი), ბერი (10), პატერსონი (11 ქულა, 10 მოხსნა), ბეიკერი (9), გრანტი (13 ქულა, 10 მოხსნა); ლუისი (13), ფოსტერი (6), დევისი (5), მაქსველი (3), მაკკოი (2), ვილიამსი, სტეფანია (1 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი: ბლეილოკი (8 ქულა, 10 პასი), ჰიუზი (26), მარშალი (27 ქულა, 12 მოხსნა), კეფი (9), ფოილი (12); დამპიე (3), ოუენსი, ჯეკობსონი

12 მარტი

**სიეტლი 97:99 ტორონტო**

სიეტლი: პეიტონი (22 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი), ბერი (8), პატერსონი (11), მაკკოი (2), გრანტი (13 ქულა, 12 მოხსნა); ლუისი (28 ქულა, 11 მოხსნა), მაქსველი (11), დევისი (2), ფოსტერი, შ. ვილიამსი

ტორონტო: კრისტი (13), მაკგრეიდი (19), კარტერი (34), ოკლი (7), ა. დევისი (2); ვილისი (9 ქულა, 13 მოხსნა), კარი (5), ა.ვილიამსი (4), ბ[illegible]ნი (3), ბოგსი (3)

ამ ბოლო დრო[illegible] [illegible]ჯუმრად თამაშებით გადაღლილ „სიეტლ სუპერსონიქსს" შინ ბურთაობის ჯერი დაუდგა. ამ სამი დღის განმავლობაში ორჯერ ითამაშა მშობლიურ „კი არენაში" და მომდევნო რვა შეხვედრიდანაც შვიდს აქვე ჩაატარებს. რაც შეეხებათ გულშემატკივრებს, „სიეტლის" შინაურ თამაშებზე ისინი ალბათ იშვიათად შეავსებენ დარბაზს, რადგან „სონიქსი" ჯეროვან პატივს არ მიაგებს ერთგულ ქომაგებს და შინ საკმაოდ ხშირად აგებს. აი, ამ კვირას „ტორონტოსთანაც" წააგო. „ვინ არის „ტორონტო"? — მას ხომ არასდროს არ მოუგია სიეტლში. თუ მაგათ (სიეტლი იგულისხმება) თავმოყვარეოდა აქვთ, ასეთ გუნდებთან შინ არ უნდა აგებდნენ" — ბობოქრობდა ერთი სიეტლელი ფანი, ვისაც „რეპტორზთან" მარცხის მონელება უჭირდა. „ტორონტო" ასოციაციაში თავის მეხუთე სეზონს ატარებს და წელიწადში ერთხელ სტუმრობს სიეტლს (ისევე როგორც ყველა დასავლელ გუნდს), სადაც თამაში არ მოუგია. მაგრამ იმ უზარმაზარ ცვლილებებს თუ გავითვალისწინებთ, რომელიც გუნდმა ამ ახლო წარსულში განიცადა, თან მის სატურნირო ვითარებას თუ შევხედავთ „სიეტლის" მარცხი ამ კანადურ გუნდთან აღარ გაგვიკვირდება. „რეპტორზი" უკვე მეოთხე გუნდია აღმოსავლეთში, თანაც დიდად ამოუცნობი და არასტაბილური. იგი იმ სამი გუნდიდან ერთ-ერთია, რომელსაც ამ სეზონში უკვე დაუმარცხებია ოთხივე დივიზიონის ლიდერი და წაუგია სუსტ გუნდებთან. სხვათა შორის, იმ სამეულში „სიეტლიც" შედის.

„რეპტორზმა" თავიდანვე რიხიანად დაიწყო. „ქვეწარმავლებმა" პირველ მეოთხედში გვარიანად დააფრთხეს „ზებგერითები". მათმა წინამძღოლმა, „მფრინავმა რეპტილიამ" ვინს კარტერმა პირველ მეოთხედში რამდენჯერმე ლამაზად ჩაუტენა მასპინძლებს და თავის ანგარიშზე 13 ქულა ჩაიწერა. მისმა ლაღმა და ამავე დროს ჟინიანმა ბურთაობამ თანაგუნდელებიც აიყოლია და როცა კარტერმა პირველი მეოთხედის ბოლოს სამქულიანი ჩააგდო, გუნდებს შორის სხვაობამ 17 ქულას უწია (31:14) „ტორონტოს" სასარგებლოდ. ფანებმა ეს ველარ აიტანეს და თავიანთი გუნდის უფხო თამაშს სტვენით, ლანძღვით და გინებით უპასუხეს. შერცხვათ მასპინძლებს, ძალა მოიკრიბეს და გულიანად მიეძალნენ სტუმართა ფარის მისადგომებს. რიგიანად ირჯებოდა შეცვლაზე შესული რაშიდ ლუისი. სწორედ მან აიყოლია თანაგუნდელები, რომელთაც კარგად აუბეს მხარი ამ ჭაბუკს და უკვე პირველ ნახევარშივე შეძლეს სხვაობის სამ ქულამდე დაყვანა — 47:50. მეორე ნახევარში თამაში შედარებით თანაბარი იყო, ახლა უკვე პეიტონმა გამოიდო თავი. მან ის თამაში შეუცვლელად, მთელი 48 წუთი ითამაშა და სამმაგი დუბლიც გაახერხა, მაგრამ სამაგიეროდ სროლები არ წაუვიდა. თამაშში 23 სროლიდან 15 ააცილა, მათ შორის ერთი საფინალო სირენამდე 6,5 წამით ადრე, როცა „ტორონტო" 98:97 იგებდა. მასპინძლებს ისღა დარჩენოდათ, სტუმარ მაქსი ბოგსზე დაჯარიმებულიყვნენ. ამანაც ერთი საჯარიმო ჩააგდო და თამაშს წერტილი დაუსვა.



სიეტლი — ტორონტო. აი აზარტი: სიეტლელი რუბენ პატერსონი (მარცხნივ) და ტრეისი მაკგრეიდი ბურთის მეტს ვერაფერს ხედავენ

რაც შეეხება 10 მარტის თამაშს „გოლდენ სტეიტთან", „სიეტლმა" აქ იოლად დაამარცხა მეტოქე. აღსანიშნავია „ზებგერითების" რიგებში ქართველი ცენტრის, ვლადიმერ სტეფანიას გამოჩენა. ვოვამ მხოლოდ ერთი წუთი დაჰყო მოედანზე, ერთი ბურთი მოხსნა, მაგრამ ამ ერთ წუთში ერთხელ დაჯარიმება და ორჯერ ბურთის დაკარგვაც მოასწრო, რის შემდეგაც მწვრთნელმა პოლ ვესტფოლმა უკან გაიხმო. „ტორონტოსთან" კი სულ არ უთამაშია სტეფანიას. „სიეტლს" თავდამსხმელი ვინ ბეიკერი აკლდა, რომელსაც „გოლდენ სტეიტთან" მხარი უტკენია და ამ თამაშში ტრავმის გართულებას მოერიდა. ვესტფოლმა ბეიკერის ნაცვლად ჯელანი მაკკოი შეიყვანა სასტარტო ხუთეულში. სტეფანია კი ერთადერთი სათადარიგო იყო, ვისაც „ტორონტოსთან" მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

10 მარტი

**საკრამენტო 103:88 ტორონტო**

საკრამენტო: ვებერი (25 ქულა, 12 მოხსნა), ვილიამსონი (24)

ტორონტო: კარტერი (25)

**კლიპერსი 101:118 შარლოტი**

კლიპერსი: ანდერსონი (24), ნესბი (20), ოდომი (10 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა)

შარლოტი: კოულმენი (31 ქულა, 12 მოხსნა), ჯონსი (21)

**ფინიქსი 96:99 იუტა**

ფინიქსი: ჰარდევეი (28)

იუტა: მელოუ[illegible] (29), რასელი (22), სტოქტონი (17 ქულა, 12 პასი)

**მილუოკი 80:108 ნიუ ჯერსი**

მილუოკი: ტომასი (19)

ნიუ ჯერსი: ბარელი (19)

**დეტროიტი 111:97 ვანკუვერი**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (27), ჰილი (27)

ვანკუვერი: ჰარინგტონი (25)

**მაიამი 96:88 დენვერი**

მაიამი: მურნინგი (28 ქულა, 10 მოხსნა, 6 დაფარება), მაშბურნი (23)

დენვერი: კლარკი (28)

**კლივლენდი 92:95 ინდიანა**

კლივლენდი: მიურეი (24 ქულა, 11 მოხსნა)

ინდიანა: მილერი (28)

**ვაშინგტონი 99:106 სან ანტონიო**

(ძირითადი დრო 95:95)

ვაშინგტონი: ჰოვარდი (29 ქულა, 12 მოხსნა), რიჩმონდი (22)

სან ანტონიო: დანკანი (23), რობინსონი (21 ქულა, 11 მოხსნა)

**ფილადელფია 77:82 ნიუ იორკი**

ფილადელფია: აივერსონი (30)

ნიუ იორკი: იუინგი (19 ქულა, 21 მოხსნა)

**ბოსტონი 104:74 ჩიკაგო**

ბოსტონი: ანდერსონი (16)

ჩიკაგო: ბრენდი (16)

11 მარტი

**ორლანდო 110:107 დენვერი**

ორლანდო: ამაჩი (31), არმსტრონგი (23)

დენვერი: მაკდაიესი (35), მაკლაუდი (25)

**ჰიუსტონი 86:100 მინესოტა**

ჰიუსტონი: ფრენსისი (19)

მინესოტა: ბრენდონი (24), გარნეტი (17 ქულა, 15 მოხსნა, 7 პასი)

**დალასი 104:99 ფინიქსი**

დალასი: სტრიკლენდი (36), ფინლი (22), ბრედლი (17 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება)

ფინიქსი: რობინსონი (29), კიდი (19 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი)

**დეტროიტი 94:99 პორტლენდი**

დეტროიტი: ჰილი (30), სტეკჰაუზი (22)

პორტლენდი: ვოლესი (24), პიპენი (18)

**ატლანტა 91:86 ვანკუვერი**

ატლანტა: ჯექსონი (22), ჰენდერსონი (20)

ვანკუვერი: ბიბი (20)

12 მარტი

**გოლდენ სტეიტი 103:112 კლიპერსი**

გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (30 ქულა, 10 მოხსნა), მარშალი (22)

კლიპერსი: ოდომი (29 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი)

**ვაშინგტონი 86:102 პორტლენდი**

ვაშინგტონი: რიჩმონდი (18)

პორტლენდი: საბონისი (15 ქულა, 13 მოხსნა)

**ნიუ იორკი 93:80 სან ანტონიო**

ნიუ იორკი: სპრიუელი (24), იუინგი (21 ქულა, 15 მოხსნა), ჰიუსტონი (20)

სან ანტონიო: რობინსონი (22)

**ინდიანა 96:105 მაიამი**

ინდიანა: მილერი (26), როუზი (21)

მაიამი: მურნინგი (35), ჰარდევეი (22 ქულა, 12 პასი), მაშბურნი (21)

**ნიუ ჯერსი 129:91 ორლანდო**

ნიუ ჯერსი: ნიუმენი (26)

ორლანდო: არმსტრონგი (15)

**მილუოკი 103:72 კლივლენდი**

მილუოკი: ტომ[illegible]სი (22)

კლივლენდი: [illegible]ეი (16)

**ბოსტონი 93:77 ფილადელფია**

ბოსტონი: პირსი (29), უოლკერი (25 ქულა, 13 მოხსნა)

ფილადელფია: აივერსონი (21)

**ლეიკერსი 109:106 საკრამენტო**

ლეიკერსი: ბრაიანტი (40 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), ონილი (38 ქულა, 20 მოხსნა)

საკრამენტო: ვებერი (24), სტოიაკოვიჩი (22)

„ლეიკერსმა" ზედიზედ მეთვრამეტე გამარჯვება იზეიმა შაკილ ონილისა და კობი ბრაიანტის წყალობით. ამ უკანასკნელმა 40 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა და სულ ორი პასი დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

„ლეიკერსისგან" განსხვავებით, არ გაუმართლა აღმოსავლეთის ლიდერ „ინდიანას", მას აღმოსავლეთის მეორე გუნდმა, „მაიამიმ" მოუგო და 25 თამაშიანი შინ ზედიზედ მოგებების სერია შეაწყვეტინა.

პლეიოფის შარშანდელი ფინალი ტრავმის გამო გამოტოვა „ნიუ იორკის" ცენტრმა პატრიკ იუინგმა. „სან ანტონიოზე" ახლაღა იყარა ჯავრი ბებერმა იუინგმა და თავისიანებს შინ დამაჯერებლად მოაგებინა. იუინგმა გული იმითაც მოიოხა, რომ ამ თამაშში გაკეთებული 21 ქულის შემდეგ 15-წლიან კარიერაში 23 334 ქულა მოუგროვდა, რის შედეგადაც გადაასწრო მე-14 ადგილზე მყოფ რობერტ პერიშს. ახლა იუინგის წინ თითქმის მისი თანატოლი ჩარლზ ბარკლია თავისი 23 775 ქულით.

**ირაკლი ფირაშვილი**

# შუმი ძმურად და გუნდურად

კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო. ძნელი სათქმელია, რამდენად ზუსტად მიესადაგება ეს ძველი ხალხური სიბრძნე ფორმულის 17-ეტაპიან სეზონს, მაგრამ ის, რომ პირველი რბოლის მომგები მეტოქეებზე იმედიანად და რიხით შეუდგება რვათვიან მარათონულ გზას, უეჭველია. მით უმეტეს, რაკი სტატისტიკაც ამაზე მეტყველებს — ბოლო ათ ჩემპიონატში რვაჯერ სწორედ სასტარტო ეტაპის მომგებმა დაიდგა გვირგვინი.

სარბოლო უქმეები სამ დღეს გრძელდება — პარასკევს 30 წრეზე თავისუფალი ვარჯიშია, რასაც მეორე დღეს ოფიციალური ერთსაათიანი კვალიფიკაცია მოსდევს, კვირას კი რბოლაა, რომლის დისტანციაც საშუალოდ 305 კმ-ია და რომელიც ასევე საშუალოდ 100 წუთი გრძელდება.

წლევანდელი, 51-ე ჩემპიონატი ტრადიციულად მწვანე კონტინენტის დიდი პრიზის გათამაშებით დაიწყო. მელბურნის „ალბერტ-პარკის" ულამაზეს შემოგარენში გაყვანილმა ტრასამ მეხუთედ უმასპინძლა „სამეფო რბოლებს". ხუთკილომეტრიანი წრე საკმაოდ სწრაფია — სიჩქარის რეკორდი — 210,6 კმ/სთ სამი წლის წინ დაამყარა ჰანც-ჰარალდ ფრენცენის „უილიამსმა".

პარასკევს ვარჯიშისას ავარია შეემთხვა ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატს მიხაელ შუმახერს — მისი „ფერარი" მოსახვევში კარგა გვარიანად მოსრიალდა და ძველი საბურავების ბარიერს მიენარცხა. მართალია, მძღოლი არ დაშავებულა, მაგრამ ახალთახალი ბოლიდი სანახევროდ დაიმტვრა. ასეთი დასაწყისი კი სასიამოვნო სულაც არ გახლავთ. თუმცა საბოლოოდ სწორედ შუმი აღმოჩნდა ვარჯიშზე გამარჯვებული — ხსენებულ შემთხვევამდე მას 15 წრის გავლა მოესწრო და მისი საუკეთესო დრო ვერავინ დაძლია.

მეორე დღეს საკვალიფიკაციო შეჯიბრებას იმდენი მაყურებელი ჰყავდა, რამდენიც ზოგ ქვეყანაში რბოლასაც კი არ ესწრება. საყოველთაო ყურადღება, ცხადია, „მაკლარენ" — „ფერარის" დაპირისპირებისკენ იყო მიმართული. წლევანდელი ჩემპიონატი უხნესმა მონაწილემ, 35 წლის ჟან ალეზიმ გახსნა. იგი პირველი გავიდა ტრასაზე და სწორედ მისი დრო გახდა ორიენტირი დანარჩენებისთვის. ერთი საათის მანძილზე ყოველ მრბოლს 12 წრის გავლის უფლება ეძლევა და საუკეთესო შედეგის მიხედვით იკავებს ადგილს კვირას რბოლის სტარტზე. გრანდებიდან ჯერ მიკა ჰაკინენმა სცადა ძალა და, რასაკვირველია, წრეც უსწრაფესად გაიარა — 90,96 წამში. შუმახერი წამის მეათედით ჩამორჩა. მეორე ცდის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო დევიდ კულჰარდმა, თუმცა მცირე ხნით — მიკამ ორჯერ საუკეთესო



REUTERS მელბურნიდან

მიხაელ შუმახერმა წლევანდელი სეზონი ტრიუმფალური წრით დაიწყო

დრო აჩვენა და საბოლოოდ საკუთარ შედეგს წამის ოთხი მეათედი ჩამოაკლო. შუმი ჩემპიონს ნახევარი წამით ჩამორჩა და მესამე ადგილს დასჯერდა. კულჰარდი კვალიფიკაციის მიწურულს კიდევ ერთხელ შეეცადა თანაგუნდელის შედეგის გაუმჯობესებას, მაგრამ ერთ-ერთ ჩქაროსნულ მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა და საშინელი ძალით მიენარცხა ბეტონის კედელს. „მაკლარენი" ჯართად იქცა, თავად მრბოლი კი ბედზე გადაურჩა ტრავმას, როცა შეჯახებისას მომტვრეული უკანა ფრთა მის ცხვირწინ დაეცა მანქანაზე...

პილოტები სტარტზე სუბორდინაციის დაცვით განლაგდნენ. ჰაკინენის კარიერაში ეს 22-ე პოულია (მე-9 შედეგი ფორმულის ისტორიაში). საოცარი დამთხვევაა — პირველი ხუთეული ზუსტად იმავე თანმიმდევრობით იდგა, როგორც შარშან.

რბოლაში ყველაზე მნიშვნელოვანია სტარტი. როდესაც ერთდროულად 22 მანქანა იძვრის ადგილიდან და უკეთესი პოზიციის დასაკავებლად პირველ მოსახვევში თავპირისმტვრევით შერბის, ზედახორა თითქმის გარდაუვალია. ხშირად რამდენიმე ბოლიდი ეჯახება ერთმანეთს, გზას ხერგავს და რბოლაც დროებით წყდება. ამჯერად ყველაფერმა მშვიდობიანად, უავარიოდ ჩაიარა. ძალიან იყოჩაღა ფრენცენმა, რომელმაც ოსტატურად აუარა გვერდი ბარიკელოს და მიხაელ შუმახერს ჩაუდგა კვალში, ლიდერობა კი „მაკლარენის" დუეტმა არავის დაანება.

სულ რამდენიმე წუთი გაძლეს ახალშექმნილი „იაგუარის" პილოტებმა — ჯონი ჰერბერტი მეორე წრეზე გამოეთიშა ბრძოლას, ედი ირვინი კი მეექვსეზე დე ლა როსას „ეროუზთან" შეჯახების შემდეგ.

დასაწყისშივე პრობლემები შეექმნა კულჰარდს, რის გამოც უკვე მე-11 წრეზე მოუხდა ბოქსებში დაბრუნება. მექანიკოსები ძალიან დიდხანს — 44 წამი წამლობდნენ მისი „მაკლარენის" ძრავს და ტრასაზე დააბრუნეს კიდეც, მაგრამ მხოლოდ ერთი წრის გავლაღა მოახერხა, მერე კი ძრავი კვლავ აუბოლდა და შოტლანდიელისთვის ყველაფერი დამთავრდა. ეტყობა ავსტრალიურმა სიცხემ „ვერცხლისფერ ისრებზე" ცუდად იმოქმედა, რადგან სულ რამდენიმე წუთში თანაგუნდელის ხვედრი ჰაკინენმაც გაიზიარა ზუსტად იმავე მიზეზით. საინტერესოა, რომ ორივე „მაკლარენი" შარშანაც ასევე უსახელოდ, დასაწყისშივე გამოეთიშა ასპარეზობას — კულჰარდი მე-13, ჰაკინენი კი მე-20 წრეზე.

ასე სწრაფად და მოულოდნელად შუმახერს ორივე უმთავრესი მეტოქე ჩამოეცალა გზიდან, უახლოესი მდევარი ფრენცენი კი კარგა ბლომად, მთელი 16 წამით ჩამორჩა. ბარიკელო აქტიურად ცდილობდა გერმანელის გასწრებას, მაგრამ უშედეგოდ. მეოთხე პოზიციაზე იარნო ტრული მიდიოდა, მომდევნო ადგილებზე ჟაკ ვილნევი და მიკა სალო, ოდნავ უკან — რიკარდო ზონტა.

შუმახერი ყოველ წრეზე ზრდიდა თავის უპირატესობას და უკვე შუა რბოლისას ნათელი გახდა, რომ თუ მანქანა არ უმტყუნებდა, მისი დამწევი არავინ იყო. შუმის ერთი პიტ-სტოპი ჰქონდა დაგეგმილი, ამიტომაც დადხანს — 12 წამით შეყოვნდა საწვავის ჩასამატებლად. ცოტა ხანში ფრენცენის „ჯორდანმაც" აურია და, ბოქსებში მიღებული დახმარების მიუხედავად, მე-40 წრეზე შეწყვიტა წინააღმდეგობა. სამაგიეროდ, ჩინებულად წარმართა თავისი 50-ე რბოლა უმცროსმა შუმახერმა და მალე მესამე პოზიციაზეც აღმოჩნდა.

ფრენცენის გამოთიშვის შემდეგ ბურთი და მოედანი საბოლოოდ „ფერარებს" დარჩათ. 46-ე წრეზე, თითქმის ცარიელი ავზით უფრო მსუბუქად მავალი თანაგუნდელი მიხაელმა წინაც გაუშვა, თუმცა ორიოდ წუთში ისევ დაიბრუნა ლიდერობა. ამის შემდეგ მნიშვნელოვანი ალარაფერი მომხდარა და „ფერარიმ" სასტარტო ეტაპი დამაჯერებლად მოიგო დუბლით. რალფ შუმახერმა შარშანდელი შედეგი გაიმეორა — ფინიშთან მესამე მივიდა. გასულ სეზონში კატასტროფული ჩავარდნის შემდეგ, როგორც იქნა, გამოცოცხლდა BAR-ი. ვილნევმა და ზონტამ შარშან ერთი ქულის მოპოვებაც ვერ შეძლეს. „სუპერტეკის" უხეირო ძრავის „ჰონდათი" შეცვლამ კი წლეულს უკვე პირველივე რბოლაში გამოიღო ნაყოფი და 1997 წლის ჩემპიონმა მეოთხე ადგილზე დაასრულა ასპარეზობა. ქულა იშოვა ზონტამაც. მართალია, ბრაზილიელი ფინიშზე მეშვიდე იყო, სალოს შემდეგ, მაგრამ ფინელს შედეგი გაუუქმეს ბოლიდში კონსტრუქტორული დარღვევის გამო და ზონტაც ექვსეულში აღმოჩნდა.

მიხაელ შუმახერი, რომელმაც პირველად გაიმარჯვა ავსტრალიაში, პოდიუმზე უკეთეს მეზობლებს ვერც ინატრებდა: ერთ მხარეს გვერდს თანაგუნდელი უმშვენებდა, მეორეს — ღვიძლი ძმა. ბარიკელოსთვისაც ეს პირველი საპრიზო ადგილია მელბურნის ტრასაზე. თანაც უსწრაფესი წრეც მას ეკუთვნის. ასე რომ, „ფერარიში" გადასვლა რუბინიოს ყოველმხრივ მოუხდა.

მეორე წელია, „სისხლისფერი ბედაურები" სეზონს მწვანე კონტინენტზე გამარჯვებით იწყებენ. შარშან ედ ირვინმა იმარჯვა და გუნდმაც საბოლოოდ კონსტრუქტორთა თასი დაისაკუთრა. ახლანდელი ორმაგი წარმატება კი გაცილებით შთამბეჭდავია და მათ ურიცხვ ფანებს უკეთესი ფინიშის იმედს უსახავს.

ირაკლი ნიკოლაძე

## რბოლის შედეგები

**ავსტრალიის დიდი პრიზი**

12 მარტი. მელბურნი

დისტანცია — 58 წრე — 307.574 კმ

1. მ. შუმახერი (ფერარი) 1:34.01,987 (196,254 კმ/სთ) 10 ქულა
2. ბარიკელო (ფერარი) 1:34.13,402 6 ქულა
3. რ. შუმახერი (უილიამსი) 1:34.21,996 4ქულა
4. ვილნევი (BAR) 1:34.46,434 3 ქულა
5. ფიზიკელა (ბენეტონი) 1:34.47,152 2 ქულა
6. ზონტა (BAR) 1:34.48,455 1 ქულა
7. ვურცი (ბენეტონი) 1:34.48,902
8. ჟენე (მინარდი) ჩამორჩა 1 წრით
9. ჰაიდფელდი (პროსტი) 2 წრით

**საუკეთესო წრე**

მ. ბარიკელო 1.31,481 (208.685 კმ/სთ)

**ლიდერები**

1-18 წრე ჰაკინენი
19-29 წრე მ. შუმახერი
30-35 წრე ფრენცენი
36-44 წრე მ. შუმახერი
45 წრე ბარიკელო
46-58 წრე მ. შუმახერი

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ბატონი (უილიამსი) | გაიარა 46 წრე |
| დინიცი (ზაუბერი) | 41 |
| მაცაკანე (მინარდი) | 40 |
| ფრენცენი (ჯორდანი) | 39 |
| ტრული (ჯორდანი) | 35 |
| ალეზი (პროსტი) | 27 |
| ჰაკინენი (მაკლარენი) | 18 |
| ვერსტაპენი (ეროუსი) | 16 |
| კულჰარდი (მაკლარენი) | 11 |
| დე ლა როსა (ეროუსი) | 6 |
| ირვინი (იაგუარი) | 6 |
| ჰერბერტი (იაგუარი) | 1 |
| სალო (ზაუბერი) | დისკვალიფიკაცია |

21 მაცაკანე მინარდი 1.34,705
10 ბატონი უილიამსი 1.33,828
8 ჰერბერტი იაგუარი 1.33,638
16 დინიცი ზაუბერი 1.33,378
20 ჟენე მინარდი 1.33,261
14 ალეზი პროსტი 1.33,197
23 ზონტა BAR 1.33,117
15 ჰაიდფელდი პროსტი 1.33,024
12 ვურცი ბენეტონი 1.32,775
18 ვერსტაპენი ეროუსი 1.32,447
19 დე ლა როსა ეროუსი 1.32,323
9 რ. შუმახერი უილიამსი 1.32,220
17 სალო ზაუბერი 1.32,018
11 ფიზიკელა ბენეტონი 1.31,992
22 ვილნევი BAR 1.31,968
7 ირვინი იაგუარი 1.31,514
6 ტრული ჯორდანი 1.31,504
5 ფრენცენი ჯორდანი 1.31,359
4 ბარიკელო ფერარი 1.31,102
3 მ. შუმახერი ფერარი 1.31,075
2 კულჰარდი მაკლარენი 1.30,920
1 ჰაკინენი მაკლარენი 1.30,556

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 12.03.00 | ბრაზილია 26.03.00 | სან-მარინო 9.04.00 | დ.ბრიტანეთი 23.04.00 | ესპანეთი 7.05.00 | ევროპა 21.05.00 | მონაკო 4.06.00 | კანადა 18.06.00 | საფრანგეთი 2.07.00 | ავსტრია 16.07.00 | გერმანია 30.07.00 | უნგრეთი 13.08.00 | ბელგია 27.08.00 | იტალია 10.09.00 | აშშ 24.09.00 | იაპონია 8.10.00 | მალაიზია 22.11.00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | 10 |
| 2 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 3 რ.შუმახერი უილიამსი, გერმანია | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 4 ვილნევი BAR, კანადა | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | 3 |
| 5 ფიზიკელა ბენეტონი, იტალია | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | 2 |
| 6 ზონტა BAR, ბრაზილია | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | 1 |
| 7 ვურცი ბენეტონი, ავსტრია | – | | | | | | | | | | | | | | | | | – |
| 8 ჟენე მინარდი, ესპანეთი | – | | | | | | | | | | | | | | | | | – |
| 9 ჰაიდფელდი პროსტი, გერმანია | – | | | | | | | | | | | | | | | | | – |
| 10 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 16 | | | | | | | | | | | | | | | | | 16 |
| 2 უილიამსი | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 3 BAR | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 4 ბენეტონი | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | 2 |
| 5 | - | | | | | | | | | | | | | | | | | - |

# ფართო გზაზე



ლეიტონ ჰიუიტი

სკოტსდეილი. აშშ. „ფრანკლინ ტემპლტონ ტენის კლასიკი". ჰარდი.
საპრიზო 350 ათასი $

**მეოთხედფინალი:** **ლეიტონ ჰიუიტი** (6, ავსტრალია) — მარსელო რიოსი (3, ჩილე) 7:6 (7:5), 4:2 — ტრავმა; **ტიმ ჰენმანი** (5, ინგლისი) — ნიკოლას ლაპენტი (4, ეკვადორი) 6:3, 6:2; **ალბერტ კოსტა** (7, ესპანეთი) — ალექს კორეტხა (ესპანეთი) 6:2, 4:6, 7:6 (8:6); **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:4, 3:6, 6:3.

**ნახევარფინალი:** **ჰენმანი** — კოსტა 6:3, 6:3; **ჰიუიტი** — ფერერო 6:4, 6:2.

**ფინალი:** ჰიუიტი — ჰენმანი 6:4, 7:6 (7:2).

19 წლის ლეიტონ ჰიუიტის შეჩერება ახალ ათასწლეულში ლამის შეუძლებელი გახდა. ავსტრალიელ თინეიჯერს სეზონში ფენომენალური მაჩვენებელი — 20 მოგება და ერთადერთი წაგება აქვს და უკვე 3 ტიტულს ითვლის.

„სიმართლე გითხრათ, აქ რომ ჩამოვედი, დიდ წარმატებებს არც კი ველოდი, უბრალოდ მინდოდა, მასტერსის სერიის ტურნირების წინ გავვარჯიშებულიყავი. მაგრამ მოვლენები ისე წარიმართა, რომ მოულოდნელად ჩემპიონობის რეალური შანსი გამიჩნდა (ჰიუიტი პიტ სამპრასისა და ანდრე აგასის ადრეულ გავარდნებს გულისხმობს), ამის ხელიდან გაშვება კი არ იქნებოდა".

მაინც რით აიხსნება ქერა ოზის მიღწევები? ერთი შეხედვით მას განსაკუთრებული არაფერი აქვს — ჩვეულებრივი ბექჰენდით, საშუალოზე უკეთესი ფორჰენდითა და ზუსტი, მაგრამ არცთუ მძლავრი მოწოდებით თანამედროვე ჩოგბურთში შორს ვერ წახვალ.

თუმცა ჰიუიტის მთავარი ძალა რომელიმე ტექნიკურ ელემენტში კი არა, დიდ სისწრაფესა და მებრძოლ ხასიათშია. ავსტრალიელი დაუღალავად დარბის კორტის ერთი კიდიდან მეორეში, გამოუვალ სიტუაციებშიც არ ნებდება და ადრე თუ გვიან მეტოქეს აიძულებს, შეცდომა დაუშვას.

თუმცა, ჯობია ფინალში დამარცხებული ტიმ ჰენმანის შეფასებას მოვუსმინოთ: „მასთან თამაში ძნელია, მაგრამ ლეიტონის წინააღმდეგ ყოველთვის გაქვს შანსი. ის ვერც მოწოდებებით მოგიღებს ბოლოს და ვერც უკანა ხაზიდან დარტყმებით, თუმცა, ამავე დროს, საშინლად ბევრს გარბენინებს და ქანცს გაგაცლის იმისთვის, რომ თითოეული გათამაშება მოუგო. ის კიდევ დიდხანს იქნება საუკეთესოთა შორის. ვფიქრობ, ეს ყველამ იცის".

ერთი სიტყვით, ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჰიუიტი მაიკლ ჩანგის მოდიფიცირებული და გაუმჯობესებული ვარიანტია და სავსებით შესაძლებელია, ამერიკელზე გაცილებით მეტსაც მიაღწიოს კარიერაში.

სკოტსდეილში კი, ნახევარფინალში, ავსტრალიელმა კიდევ ერთ ამომავალ (თუ ამოსულ) ვარსკვლავ ხუან კარლოს ფერეროს აჯობა მეტად პრინციპულ მატჩში.

20 წლის ესპანელი სწრაფ პროგრესს განიცდის და მომავალში ჰიუიტთან, ალბათ, არაერთხელ გადააჭდობს ჩოგანს, ჯერჯერობით კი ოზი გაცილებით დალვინებულ და სტაბილურ ჩოგბურთელად რჩება. ფერეროს მუდმივ აგრესიაზე აგებულ თამაშის სტილს ჰიუიტმა სწრაფად აუღო ალღო, სავარჯიშო კედელივით გაუვალად დადგა და საკმაოდ იოლად იმარჯვა 6:4, 6:2.

„ბევრი შეცდომა დავუშვი და დღევანდელი ასპარეზობით კმაყოფილი სულაც არ ვარ, მაგრამ იქნებ ეს ჩემი კი არა, მისი დამსახურება უფრო იყოს" — აღნიშნა ესპანელმა.

ფინალში, ჰენმანთან შეხვედრის მეორე ხელში, ჰიუიტი თითქოს უიმედოდ, 2:5-ს აგებდა, მაგრამ ცხვირი არ ჩამოუშვა, ორი სეტ-პოინტი გადაარჩინა და საბოლოოდ ტაიბრეიკზე იმარჯვა.

„ისე კარგად ვერ ვითამაშე, როგორც წინა მატჩში, მაგრამ ეს ჰიუიტის ბრალი იყო, მან არ დამანება" — განაცხადა ჰენმანმა, რომელმაც ზედიზედ მეექვსე ფინალში წააგო — „ჰო, ეს სტატისტიკა მაინცდამაინც საამაყო არ გახლავთ, მაგრამ მისი გამოსწორება კიდევ ერთ ფინალში გასვლით შეიძლება. ეჭვიც არ მეპარება, რომ ამას მოვახერხებ".

ჰიუიტს კი გამოსასწორებელი არაფერი აქვს: 20 წლამდე მოპოვებული ხუთი ტიტულის წყალობით ის ისეთ ჩოგბურთელთა კომპანიაში აღმოჩნდა, როგორიც ჯონ მაკინროი, პიტ სამპრასი, ჯიმი კონორსი და სტეფან ედბერგი არიან.

„იმედი მაქვს, მეც მათზე არანაკლები კარიერა მექნება. წინ კიდევ ბევრი სასიამოვნო დღე მელის, არა?"

ბოგოტა. კოლუმბიის ღია პირველობა. თიხნარი.
საპრიზო 350 ათასი $

**მეოთხედფინალი:** **გუსტავო კუერტენი** (1, ბრაზილია) — მარკუს ჰენჩკი (გერმანია) 6:3, 0:6, 7:6 (7:3); **იუნეს ელ აინაუი** (2, მაროკო) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:4, 6:1; **მარიანო პუერტა** (არგენტინა) — ფელიქს მანტია (3, ესპანეთი) 7:6 (7:1), 6:4; **ფერნანდო ვისენტე** (4, ესპანეთი) — არნო დი პასკუალი (5, საფრანგეთი) 6:2, 6:1.

**ნახევარფინალი:** **პუერტა** — კუერტენი 3:6, 6:1, 7:6 (7:3); **აინაუი** — ვისენტე 1:6, 7:6 (7:4), 7:6 (7:3).

**ფინალი:** **პუერტა** — აინაუი 6:4, 7:6 (7:5).

ჰენმანის არ იყოს, ფინალში წაგება არც მარიანო პუერტას ესწავლება. 21 წლის არგენტინელი ნარკობარონთა სამშობლოში გამარჯვებამდე ზედიზედ ორჯერ დამარცხდა გადამწყვეტ მატჩში: მექსიკაში თანამემამულე ხუან ინასიო ჩელასთან, ჩილეში — ბრაზილიელ გუსტავო კუერტენთან.

თუმცა პუერტამ მომდევნო ტურნირებზე თავისი ორივე მჯობნის ჯავრი ამოიყარა, მაღალმთიან ბოგოტაში კი გამოთქმა „მესამე და სამართალიც" გაამართლა და 49 500 დოლარიც ჩაიჯიბა.

ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი.
საპრიზო 4,5 მილიონი $

თუ ინდიან უელსის ქალთა ტურნირს სახელს ვერ უპოვით, არ გაგიკვირდეთ — ამაში თვითონ ორგანიზატორები არიან დამნაშავენი. შარშანდლამდე ქალთა პირველობას „ევერტის თასი" ეწოდებოდა, კაცებისას — „ნიუსუიკის თასი". წლეულს კაცთა მერსედეს სუპერ 9-ის სერიის „მასტერსად" გადაქცევის შედეგად კალიფორნიაში მდებარე ტურნირს ოფიციალურად „მასტერსი-ინდიან უელსი" დაერქვა, მაგრამ რაკიღა დიაცთა WTA ტურს ზემოხსენებულ სერიასთან არაფერი აკავშირებს, ქალები უსათაუროდ დარჩნენ.

პრესტიჟულ ტურნირზე წლეულს ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი ქალი მონაწილეობს ტრავმირებული ვინუს უილიამსის გარდა.

გასულ უქმეებზე მეორე-მესამე წრეების უამრავი მატჩი გაიმართა, რომელთა უკლებლივ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამიტომ მხოლოდ იმ მატჩების ანგარიშებს შეგატყობინებთ, მოულოდნელად რომ დასრულდა, ან რომლებშიც მთავარი ფავორიტები ასპარეზობდნენ.

**მეორე წრე:** **კარა ბლექი** (ზიმბაბვე) — ჯენიფერ კაპრიატი (12, აშშ) 5:7, 6:1, 6:2; **კიმ კლაისტერსი** (ბელგია) — ამელი მორესმო (13, საფრანგეთი) 3:0 — ტრავმა; **ელენა დემენტიევა** (რუსეთი) — ანკე ჰუბერი (14, გერმანია) 6:4, 4:6, 6:4; **დომინიკ ვან რუსტი** (ბელგია) — ამანდა კუტცერი (15, სამხრეთ აფრიკა) 1:6, 6:4, 6:1.

**მეთექვსმეტედფინალი:** **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — აი სუგიამა (იაპონია) 6:1, 6:2; **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:4, 6:2; **სერენა უილიამსი** (3, აშშ) — რიტა გრანდე (იტალია) 4:6, 6:1, 6:2; **კარინა ჰაბსუდოვა** (სლოვაკეთი) — ნატალი ტოზია (4, საფრანგეთი) 6:4, 6:4; **მარი პირსი** (5, საფრანგეთი) — კორინა მორარიუ (აშშ) 6:2, 4:6, 6:2; **კონჩიტა მარტინესი** (6, ესპანეთი) — ელენა დოკიჩი (ავსტრალია) 6:2, 7:6 (7:4); **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — ანა კურნიკოვა (8, რუსეთი) 7:5, 5:7, 7:6 (7:5); **ჩანდა რუბინი** (აშშ) — სანდრინ ტესტიუ (11, საფრანგეთი) 6:4, 2:6, 6:2.

**ავთანდილ სვანიძე**



მარიანო პუერტა






ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასიმ ჰამედს ამჯერად სამხრეთაფრიკელი ვუიანი ბუნგუ ემსხვერპლა

## პრინცს ამერიკის ჯავრი სჭირს

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოსალოდნელი იყო: ბრიტმა პრინც ნასიმ ჰამედმა მეოთხე რაუნდში ნოკაუტით დასცა სამხრეთაფრიკელი ვუიანი ბუნგუ და მეთოთხმეტედ დაიცვა ორგანიზაციის (ვბო) 126 გირვანქიანი დივიზიონის ჩემპიონის ტიტული. ბრძოლის შემდეგ ნასიმი ჩვეულ ტრაბახს მოჰყვა და განაცხადა, ახლა კი დროა, ერიკ მორალესსა და მარკო ანტონიო ბარერას დავუნაყო ცხვირ-პირიო. ცნობილია, რომ ნასიმს ამერიკაში სახელის გავარდნის სურვილი ჰკლავს, ლამის წელიწადი დაჰყო ოკეანის გაღმა და სესარ სოტოს ასოციაციის (ვბა) ქამარიც აართვა, მაგრამ ნოკაუტი ვერ გაახერხა და გულნაკლული დაბრუნდა ლონდონში.

ბარერაცა და მორალესიც მასზე ოთხი გირვანქით მსუბუქნი გახლავან და წონაზე შეთანხმება დროს წაიღებს. თუმცა, მიმომხილველთა თქმით, ნასიმი ბრწყინვალე ფორმაშია და ძნელად რომ ვინმე გადაუდგეს წინ.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



## ფრანგული დრამა გერმანული უძილობით



ანდრეას კლოედენი

ველომრბოლს არამარტო ფეხების, არამედ ტვინის განძრევაც მართებს. ამ სპორტში სტრატეგია და ტაქტიკა არანაკლებ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა და მრავალდღიან რბოლებში საკუთარი ძალების სწორად განაწილება, სასურველი საბოლოო შედეგის მიღებას განაპირობებს. საერთოდ ძნელი სათქმელია, მაინცდამაინც ტაქტიკურმა ხედვამ უმტყუნა ფრანგ ლორან ბროშარს „პარიზი — ნიცის" ველორბოლაზე თუ ფეხებმა დაალალატეს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ თითქმის თავიდანვე მოწინავედ მავალმა ფრანგმა ზედ ბოლო ეტაპებზე დაკარგა ყველაფერი. შაბათის „სარბიელში" ბროშარს რომ ნახევარი სვეტი ვუძღვენით, იმის მერე დღემდე „პარიზი — ნიცის" სამი ეტაპიც გასრულდა და მთლიანად ტურიც. მეექვსე ეტაპი ბროშარისთვის, დიახაც, სასურველად დამთავრდა, იგი მერვე ადგილზე გავიდა და, რაც მთავარია, საერთო ჩათვლაში ახლოს არ გაიკარა გერმანელი ანდრეას კლოედენი, რომელმაც მეორე ადგილიც დაკარგა, რადგან ეტაპის გამარჯვებულმა, მასპინძელმა ფრანსუა სიმონმა გადაუსწრო.

სიჩაუქის გამოცდის ჯერიც დადგა. ლიდერებს კარგად ესმოდათ, რომ სწორედ აქ ემარხა ძაღლის თავი და იქნებ უკანასკნელ, 160,1-კილომეტრიან ეტაპს სულაც ვერაფერი გადაეწყვიტა. 24 წლის ექსაღმოსავლეთგერმანელი კლოედენი, რომელიც პედლების ტრიალის ხელოვნებას იმავე ველოკლუბში ეზიარა, რომელშიც განთქმული იან ულრიხი, სწორედ სიჩაუქის გამოცდის სპეციალისტად ითვლება. მიუხედავად ამისა, ბროშარი მაინც მშვენიერი განწყობით შედგა ათკილომეტრიანი გზატკეცილის სტარტზე, რადგან ის მეტოქე აღარ ჰყავდა, ვისიც ყველაზე მეტად ეშინოდა: მეექვსე ეტაპის შუაწელში ამერიკელმა ბობი ჯულიჩმა კუჭში უქეიფობა იგრძნო და რბოლაზე ხელი აიღო. სიჩაუქის გამოცდამ ბროშარს მაინც იმედგაცრუება არგუნა. მან ერთადერთი კაცი გაუშვა წინ, რომელსაც მთელი 17 წამით ჩამორჩა, იგი უკვე ნახსენები კლოედენი გახლდათ. გერმანელი გამარჯვებამ საერთო ჩათვლის სათავეშიც მოაქცია და მასმედიაც ერთობ დააინტერესა. კლოედენს გამარჯვების შემდეგ თავის თავზე იმდენი არ ულაპარაკია, რამდენიც იან ულრიხზე, რომელმაც თითქმის იმავდროულად ალპებსგადაღმა „ტირენო — ადრიატიკოს" ტურის მეოთხე ეტაპი მოიგო. „მე ულრიხი არა ვარ" — თავმდაბლად თქვა კლოედენმა — „ჩემი მისია უფრო მოკრძალებულად მესახება: ხელი შევუწყო ულრიხს „ტურ დე ფრანსის" მოგებაში". თუ იკითხავთ, რად უნდა შეუწყოსო, გიპასუხებთ, რომ ორივე ველომრბოლი „ტელეკომელია" და რახან ულრიხი მართლაც უფრო მაგარია, ძმა ძმისთვისაო.

ბოლო ეტაპი ბროშარს საიმედოს ბევრს ვერაფერს უქადდა, რადგან კლოედენი აშკარად ჯანზე ჩანდა და ისე გამოიყურებოდა, თითქოს პარიზიდან ამხელა გზა მარტო სხვებს გამოევლოთ. ამასთან, როგორც კლოედენმა უკვე საბოლოო გამარჯვების შემდეგ განაცხადა, ბოლო ეტაპის წინ იგი ფხიზლობდა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. „წინა ღამეს ორ საათზე მეტი არ მიძინია" — მხიარულად დაიწუწუნა კლოედენმა, როცა 160,1-კილომეტრიანი ბოლო ეტაპის ფინიშს გამარჯვებულის რანგში უწია — „რბოლის ყველანაირი სცენარის წარმოდგენა და გარჩევა ვცადე, მერე ულრიხსაც დავურეკე. მისი რჩევები დიდად გამომადგა". საბოლოოდ კლოედენმაც და ბროშარმაც მოწინავე ჯგუფთან ერთად გადაკვეთეს ფინიში და რახან „პარიზი — ნიცის" ბოლო მეტრები პირველმა სულ სხვამ, ბელგიელმა ტომ სტეელსმა დაფარა, ბროშარის პრემიალური 10 წამის იმედიც ქარმა წაიღო და ტურის მოგებისაც, კლოედენმა კი კარიერის პირველ დიდი გამარჯვება იზეიმა.

**დავით გულუა**

**საბოლოო შედეგები**

1. ანდრეას კლოედენი (გერმანია, „ტელეკომი") — 28.19.50
2. ლორენ ბროშარი (საფრანგეთი, „ჟან დელატური") — +7
3. ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, „ბანესტო") — +44
4. ფრანსუა სიმონი (საფრანგეთი, „ბონჟური") — +53
5. ხავიერ — პასკუალ როდრიგესი (ესპანეთი, „კელმე") — +56

# იქ, მაღლა ერთია...

## ნუ გაგიჟდები, სონია!


REUTERS ჰინტერშტოდერიდან

ჰერმან მაიერი: გიგანტთა გიგანტი

აუ, რა სიგიჟეა! — ეს გულიდან ამონახეთქი სიტყვები შაბათს, იტალიურ სესტრიერში თქვა შვეიცარიელმა სონია ნეფიმ, რომელმაც იქ სამთო-მოთხილამურე ქალთა მსოფლიოს თასის გიგანტური სლალომის ეტაპი მოიგო, უკვე მესამედ წლევანდელ სეზონში. გიგანტური სლალომის მოგება არ მოუნათლავს სიგიჟედ სონიას, იგი თავისმა სწრაფმა აღდგომამ შეშალა ჭკუიდან. თითქოს გუშინ იყო, თეძოს ტკივილი რომ ტანჯავდა, დღეს კი ქარივით დაჰქრის და ამ წარმატებამ გიგანტური სლალომის სერთო ჩათვლაში ავსტრიელი მიქაელა დორფმაისტერის ბატონობის დამხობის რიგიანი შანსიც გაუჩინა. „დღევანდელი გამარჯვებით უფლება და სტიმული მოვიპოვე, დორფმაისტერს დიდი ბრძოლა გავუმართო“ — ამბობს ნეფი — „38 ქულას ვაგებ, მაგრამ ეს მისი სანერვიულო უფროა. მე დასაკარგი არაფერი მექნება. ყოველმხრივ შევუტევ და გავრისკავ“.

ერთი ადამიანი ჩანდა კიდევ სესტრიერში კარგ ხასიათზე, რახან მეორე ადგილი დაიკავა და ისეთი შედეგი აჩვენა, მის თანამემამულეებს 1992 წლის მერე რომ არ ჰქონიათ. ესპანელ ქალბატონს, ვინაც ეს შეძლო, კაროლინა რუის კასტილიო ჰქვია, თუმცა მისი გვარის მოსაძებნად საერთო ჩათვლის მოწინავეებში ამაოდ გაირჯებით. რაც შეეხება დორფმაისტერს, სესტრიერში არც მას უქროლია ურიგოდ: პირველი რბოლის მე-13 ადგილს საბოლოოდ წინიდან ერთიანი მოაცალა და თუმცა გიგანტურ სლალომში ნეფი დაიახლოვა, საერთო ჩათვლაში კვლავ შეინარჩუნა ის მიზერული შანსი, თანამემამულე რენატა გოეტჩლის დასაწევად აქამდეც რომ ჰქონდა.

ავსტრიიდან კი, როგორც იქნა, ჰერმან მაიერის საბოლოო და უეჭველი გამარჯვების ამბავი მოვიდა. მორჩა! ამიერიდან, სიკვდილი ღმერთმა აშოროს და გულზე ხელებიც რომ დაიკრიფოს, მისი დამწევი არავინაა, სუპერგიგანტიც ხომ უკვე მოგებული აქვს, გიგანტურ სლალომსა და სწრაფდაშვებასაც ქულათა გვარიანი მარაგებით ლიდერობს. შაბათს, ავსტრიულ ჰინტერშტოდერში, გიგანტურ სლალომში მაიერი მესამე იყო, თუმცა უნდა გითხრათ, რომ თავისი ტრიუმფის გასაფორმებლად ამის ნახევარიც არ სჭირდებოდა, რადგან მისმა ოდენ თეორიულმა მეტოქემ, ნორვეგიელმა კეტილ ანდრე ამოდტმა ჰინტერშტოდერში ვერ ივარგა.

როგორ მოუხდებოდა ჩვენს წერილს შაბათის გიგანტურ სლალომზე საუბრისას ასეთი მშვენიერი სტრიქონი: „მაიერების საგვარეულოს შეუძლია იამაყოს თავისი სახელოვანი შვილებით: ჰერმანითა და კრისტიანით“. თითქოს გვაქვს კიდეც საფუძველი — ჰერმანმა თუ გლობალური გამარჯვება იზეიმა, კრისტიანმა კარიერის მეექვსე გიგანტური სლალომი მოიგო და ამ დისციპლინის საერთო ჩათვლაში მეორე პოზიციაზე დამკვიდრდა, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ისინი ერთი გვარიშვილები არ არიან, კრისტიანის გვარში ერთი იმგვარი იგრეკი ურევია, „ჰერმინატორისაში“ რომ ვერ დალანდავთ და ამდენად, წერილის გალამაზების ზემორე მცდელობაზე ხელი უნდა ავიღოთ. ერთადერთი, რასაც გავაკეთებთ, ის იქნება, რომ წერილის ბოლოს მსოფლიოს თასის ქალთა და კაცთა შეჯიბრის სატურნირო ვითარებას გაგაცნობთ.

**დავით გულუა**

### ქალები

გიგანტური სლალომის ჩათვლა
1. მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 604;
2. სონია ნეფი (შვეიცარია) — 566;
3. ანიტა ვახტერი (ავსტრია) — 425

### საერთო ჩათვლა

1. რენატა გოეტჩლი (ავსტრია) — 1407;
2. დორფმაისტერი — 1180;
3. რეგინა კავანიუ (საფრანგეთი) — 880

### კაცები

გიგანტური სლალომის ჩათვლა
1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) — 520;
2. კრისტიან მაიერი (ავსტრია) — 437;
3. მიხაელ ფონ გრუნინგენი (შვეიცარია) — 426

### საერთო ჩათვლა

1. ჰერმან მაიერი — 1820;
2. კეტილ ანდრე ამოდტი (ნორვეგია) — 1400;
3. იოზეფ შტრობლი (ავსტრია) — 942

### იტალია

სერია B
XXII ტური
ატალანტა 3:3 სამპდორია

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXI ტური
ბერლინი 2:0 კიოლნი

### ზე-12
### მესამე ტური

10 მარტი

კრაისტჩერჩი (ახალი ზელანდია) 32:20 ოკლენდი (ახალი ზელანდია)

კანბერა (ავსტრალია) 51:10 დურბანი (სამხრეთ აფრიკა)

11 მარტი

სიდნეი (ავსტრალია) 51:16 იოჰანესბურგი (სამხრეთ აფრიკა)

დანიდინი (ახალი ზელანდია) 35:19 ველინგტონი (ახალი ზელანდია)

კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა) 19:19 პრეტორია (სამხრეთ აფრიკა)



10 მარტი

**ბუფალო — მონრეალი 2:3**

0:1 2:1 0:1

0:1 დარბი 11'07 (5); 1:1 ვული 25'02 (6); 2:1 ლინდენი 32'30 (12); 2:2 აფინოგენოვი 35'42 (14); 2:3 სავაჟი 49'40 (14)

**ედმონტონი — კოლორადო 2:4**

2:1 0:2 0:1

0:1 ბურკი 3'13 (11), 1:1 სელივანოვი 10'47 (22); 2:1 ლარაქი 16'27 (8); 2:2 ბურკი 23'18 (12); 2:3 დედმარში 34'15 (17); 2:4 საკიკი 55'43 (20)

**ნეშვილი — დეტროიტი 1:3**

1:2 0:0 0:1

0:1 ვერბიკი 16'59 (20); 1:1 ჩელბერგი 17'27 (22); 1:2 აიზერმანი 18'25 (29); 1:3 მოლტბი 42'56 (4)

**ტამპა — ფლორიდა 3:4**

0:0 2:0 1:4

1:0 მ. ჯონსონი 28'24 (16); 2:0 კუბინა 34'39 (8); 2:1 ჰედიკანი 42'27 (6); 3:1 პეტროვიცკი 44'40 (7); 3:2 უორელი 45'47 (3); 3:3 პ. ბურე 48'03 (46); 3:4 უილსონი 51'42 (4)

**კაროლინა — ბოსტონი 3:5**

1:2 1:0 1:3

0:1 ვან იმპი 2'58 (5); 0:2 ბ. სმიტი 10'17 (1); 1:2 რობერტსი 12'13 (15); 2:2 რობერტსი 28'17 (16); 3:2 კრონი 42'05 (11); 3:3 ბეიტსი 46'42 (4); 3:4 ტორნტონი 58'25 (18); 3:5 როლსტონი 59'16 (12)

**ატლანტა — ნიუ ჯერსი 0:9**

0:4 0:4 0:1

0:1 მედენი 9'15 (12); 0:2 სტივენსი 11'45 (5); 0:3 ელიაში 14'36 (29); 0:4 ნემჩინოვი 19'33 (9); 0:5 პანდო ლეფო 27'20 (5); 0:6 რაფალსკი 30'27 (5); 0:7 მედენი 34'46 (13); 0:8 პანდოლფო 35'00 (6); 0:9 გომესი 48'23 (17)

**დალასი — აილენდერსი 3:4**

1:2 2:0 0:1 0:1

1:0 ნუინდაიკი 3'59 (12); 1:1 სკაჩარდი 7'02 (12); 1:2 ისბისტერი 9'43 (16); 2:2 მოდანო 32'59 (32); 3:2 ლანგენბრუნერი 37'56 (11); 3:3 ნაბოკოვი 41'07 (3); 3:4 იოკინენი 63'32 (9)

11 მარტი

**ვაშინგტონი — ნიუ ჯერსი 4:2**

2:2 0:0 2:0

1:0 საიმონი 3'26 (24); 2:0 ჯ. მერფი 4'31 (10); 2:1 ქუინტი 5'09 (4); 2:2 გომესი 8'02 (18); 3:2 დალინი 41'42 (12); 4:2 კონოვალჩუკი 59'23 (14)

**მონრეალი — ბოსტონი 3:5**

1:1 2:2 0:2

1:0 დარბი 3'00 (6); 1:1 მანი 4'18 (4); 1:2 ბეიტსი 21'48 (5); 2:2 რუჩინსკი 25'47 (22); 2:3 ლააკსონენი 33'46 (2); 3:3 სურეი 38'52 (1); 3:4 როლსტონი 42'13 (13); 3:5 ტორნტონი 59'33 (19)

**სენტ ლუისი — ანაჰაიმი 1:1**

0:0 1:0 0:1 0:0

1:0 დემიტრა 30'43 (27); 1:1 ოლაუსონი 58'02 (11)

**ლოს ანჯელესი — კალგარი 3:1**

2:0 0:1 1:0

1:0 პალფი 12'19 (26); 2:0 კ. ჯონსონი 18'05 (9); 2:1 იგინლა 29'11 (24); 3:1 ბერგი 51'28 (3)

**ფინიქსი — ვანკუვერი 5:0**

2:0 3:0 0:0

1:0 ილონენი 0'32 (6); 2:0 რენიკი 16'20 (32); 3:0 ლეტოვსკი 26'30 (15); 4:0 რენბერგი 27'06 (9); 5:0 ლეტოვსკი 36'39 (16)

**პიტსბერგი — რეინჯერსი 3:1**

1:0 1:1 1:0

1:0 ტიტოვი 5'36 (17); 2:0 ბრაუნი 22'18 (8); 2:1 კამენსკი 39'38 (9); 3:1 დომი 49'53 (2)

**ფლორიდა — ჩიკაგო 2:5**

1:3 1:1 0:1

0:1 პრობერტი 0'55 (2); 1:1 ნიდერმაიერი 4'39 (10); 1:2 მარჰა 12'23 (7); 1:3 ბ. მირონოვი 18'32 (7); 1:4 ერიქსონი 31'37 (2); 2:4 უიტნი 39'02 (25); 2:5 ნიულანდერი 55'56 (19)

**ოტავა — ტორონტო 2:4**

0:1 1:3 1:0


REUTERS ვაშინგტონიდან

ნიუჯერსელმა კლოდ ლემიემ (22) ვაშინგტონელი ჯო რეკი ბორტისკენ გასტყორცნა

0:1 ტომასი 3'30 (19); 0:2 პერო 22'14 (15); 0:3 პერო 22'36 (16); 1:3 დაკელი 30'48 (7); 1:4 ტომასი 36'40 (20); 2:4 სალო 47'41 (5)

12 მარტი

**კაროლინა — ატლანტა 5:1**

1:1 2:0 2:0

1:0 ონეილი 1'34 (21); 1:1 სტეპლტონი 11'07 (9); 2:1 კოფი 24'54 (8); 3:1 ბატალია 36'59 (15); 4:1 კაპანენი 44'49 (22); 5:1 ონეილი 52'05 (22)

**ბუფალო — აილენდერსი 4:2**

1:1 1:0 2:1

1:0 მაკი 4'38 (2); 1:1 ნაბოკოვი 11'49 (4); 2:1 ვული 38'20 (7); 3:1 პატრიკი 41'46 (4); 3:2 კონოლი 45'14 (11); 4:2 გრეტონი 59'44 (15)

**ნეშვილი — ედმონტონი 4:3**

1:0 2:2 1:1

1:0 იაჩმენენი 18'57 (14); 2:0 რონინგი 21'16 (22); 3:0 რობიტაილი 22'19 (11); 3:1 რ. სმიტი 26'11 (22); 3:2 მარჩანტი 29'47 (16); 3:3 გრინი 46'17 (9); 4:3 სკრასტინში 47'15 (4)

**დალასი — სენტ ლუისი 4:2**

1:1 2:1 1:0

1:0 ლანგენბრუნერი 10'37 (12); 1:1 ისტვუდი 17'32 (18); 2:1 მოროუ 22'57 (14); 3:1 გეივი 26'46 (7); 3:2 რიშე 35'29 (14); 4:2 მიულერი 58'24 (5)

**ტამპა — ჩიკაგო 1:4**

0:3 0:0 1:1

0:1 ჟამნოვი 4'56 (18); 0:2 ამონტე 6'37 (35); 0:3 ამონტე 18'27 (36); 1:3 უორინერი 50'03 (8); 1:4 ამონტე 59'59 (37)

**კოლორადო — ფილადელფია 3:1**

0:1 2:0 1:0

0:1 ჰალი 9'09 (8); 1:1 პეიდუკი 20'25 (29); 2:1 საკიკი 29'01 (21); 3:1 რიდი 41'51 (10)

### სატურნირო ვითარება

აღმოსავლეთ კონფერენცია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 69 | 39 | 8 | 5 | 22 | 213:166 | 91 |
| ტორონტო | 69 | 39 | 7 | 3 | 23 | 213:180 | 88 |
| ვაშინგტონი | 69 | 36 | 11 | 1 | 22 | 185:163 | 84 |
| ფილადელფია | 68 | 36 | 11 | 2 | 21 | 197:155 | 85 |
| ფლორიდა | 69 | 36 | 5 | 5 | 28 | 204:174 | 82 |
| ოტავა | 68 | 34 | 11 | 2 | 23 | 202:172 | 81 |
| მონრეალი | 69 | 30 | 7 | 3 | 32 | 164:162 | 70 |
| პიტსბურგი | 68 | 28 | 8 | 6 | 32 | 195:200 | 70 |
| კაროლინა | 69 | 30 | 9 | 0 | 30 | 185:190 | 69 |
| რეინჯერსი | 70 | 28 | 10 | 3 | 32 | 194:196 | 69 |
| ბუფალო | 70 | 28 | 10 | 2 | 32 | 174:179 | 68 |
| ბოსტონი | 69 | 21 | 17 | 5 | 31 | 175:204 | 64 |
| აილენდერსი | 69 | 20 | 8 | 1 | 41 | 161:228 | 49 |
| ტამპა | 67 | 15 | 7 | 7 | 45 | 167:253 | 44 |
| ატლანტა | 67 | 12 | 6 | 4 | 49 | 141:256 | 34 |

დასავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 69 | 43 | 9 | 0 | 17 | 210:140 | 95 |
| დალასი | 69 | 37 | 7 | 4 | 25 | 173:153 | 85 |
| კოლორადო | 70 | 33 | 10 | 1 | 27 | 198:177 | 77 |
| დეტროიტი | 69 | 41 | 8 | 1 | 20 | 229:176 | 91 |
| ფინიქსი | 68 | 35 | 7 | 1 | 26 | 202:184 | 78 |
| ლოს ანჯელესი | 68 | 33 | 8 | 3 | 27 | 214:194 | 77 |
| ედმონტონი | 69 | 25 | 15 | 8 | 29 | 190:183 | 73 |
| სან ხოსე | 69 | 28 | 9 | 7 | 32 | 187:179 | 72 |
| ანაჰაიმი | 69 | 28 | 11 | 2 | 30 | 181:190 | 69 |
| კალგარი | 69 | 28 | 8 | 5 | 33 | 182:214 | 69 |
| ვანკუვერი | 69 | 23 | 14 | 7 | 32 | 179:203 | 67 |
| ჩიკაგო | 69 | 26 | 7 | 2 | 36 | 204:217 | 61 |
| ნეშვილი | 69 | 24 | 6 | 6 | 39 | 175:204 | 60 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში ნაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

საქართველოს რაგბის კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მორაგბე

**გია ღურწუმია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ღოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli